CMYK - 1

www.24saati.ge

# 24 საათი

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი 2 დეკემბერი, 2008 წელი. №269 (2013) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი

*2424

### იუშჩენკო საპარლამენტო არჩევნებზე უარს ამბობს

A8



### გერმანულ-რუსული თანამშრომლობა

A8



### მუსიკოსის კარიერა თეატრში - სიკვდილის შემდეგ

A9



# საქართველო ნატო-ში, ასე თუ ისე

დევიდ ჯ. სმიტი

*სპეციალურად „24 საათისთვის„*

დღეს ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრები ბრიუსელში იკრიბებიან, რათა, ნატო-ს 3 აპრილის ბუქარესტის სამიტის განცხადება რომ მოვიშველიოთ, ალიანსში გაწევრიანებისკენ საქართველოს სწრაფვის „პირველი შეფასება“ გაკეთდეს. აგვისტოში საქართველოზე რუსეთის თავდასხმის შემდეგ, როგორც ჩანს, წევრობის სამოქმედო გეგმა (მაპ-ი) დღეისათვის განხილვის საგანი არ იქნება. თუმცა, ალიანსის წევრთა უმრავლესობა უთუოდ მოითხოვს ბუქარესტის სამიტზე გაკეთებული განცხადების დადასტურებას, რომ საქართველო ნატო-ს წევრი გახდება. მეტიც, ეჭვგარეშეა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრები გამონახავენ რაიმე ფორმულას, რომლის მიხედვითაც ნატო და საქართველო ერთობლივად განაგრძობენ მუშაობას რეფორმებსა და ურთიერთქმედუნარიანობაზე, რასაც, საბოლოო ჯამში, წევრობაც მოჰყვება.

**„გაწევრიანებისთვის სხვადასხვა გზები არსებობს,“** - განაცხადა აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეითსმა 13 ნოემბერს ტალინში გამართულ პრესკონფერენციაზე.

**„ეს გახლავთ ბრიტანეთის იდეა, რომლის მიხედვითაც ჩვენ ბუქარესტის დეკლარაციის შესრულების სხვადასხვა ხერხს განვიხილავთ,“** - განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა 26 ნოემბერს.

საქართველომ უნდა მიიღოს ის, რაც ამჟამადაა პოლიტიკურად შესაძლებელი და წინსვლა განაგრძოს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# "MAP": მითი, რეალობა და... ალტერნატივა

გიორგი ასანიშვილი

*საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია რომ პროდასავლურია, ამაზე არც დასავლეთში და არც ჩვენთან არავინ დავობს. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს მხოლოდ ის, თუ რა ფორმით და რა დროში უნდა მოხდეს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ჩვენი ქვეყნის ინტეგრირება. აღნიშნულ საკითხებზე „24 საათს“ საკუთარ მოსაზრებებს უზიარებს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნიკოლოზ რურუა.*

- საზოგადოებაში არსებობდა მოლოდინი, რომ საქართველო-ნატო-ს ურთიერთობების მომდევნო ეტაპი აუცილებლად და მაინცდამაინც მოქმედების სამოქმედო გეგმა („MAP“) იქნებოდა. მოხდა ამ ტერმინის („MAP“) პოლიტიზირება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთლიანად ევროპაში და თავად ნატო-შიც. საქართველოსა და უკრაინისთვის „MAP“-ის მიცემის საკითხში ბუქარესტის სამიტზე ისეთი ჭიდაობა გაიმართა, რომ ცხადი გახდა - „MAP“-მა შეიძინა იმაზე მეტი მნიშვნელობა, ვიდრე მას სინამდვილეში გააჩნია. რეალურად კი, „MAP“-ი წარმოადგენს ტექნიკურ ინსტრუმენტს, იმ კრიტერიუმების ჩამონათვალს, რომელთა შესრულებაც აუცილებელია ნატო-ში გაწევრიანებისთვის.

ალსანიშნავია, რომ „MAP“-ის საფეხური ალიანსის წევრ ყველა ქვეყანას არ გაუვლია. ამდენად, ის არ არის ნატო-ში შესვლის ერთადერთი გზა. სწორედ ამ გარემოებაზე აკეთებენ დღეს აქცენტს ამერიკელები და ბრიტანელები, აგრეთვე საქართველოს სხვა მოკავშირეები.

ბუქარესტის სამიტმა დაადგინა, რომ საქართველო და უკრაინა გახდებიან ნატო-ს წევრები და სწორედ ეს არის მთავარი. მიუხედავად იმისა, რომ ამ მომენტისთვის არსებობს რამდენიმე შემოთავაზება, თავად ჩვენ ამ პროცესებში ჩართვისა და მონაწილეობის დიდი საშუალება არა გვაქვს.

**- „რამდენიმე შემოთავაზება“ ახსენეთ. ვისგან მოდის ისინი და რას გულისხმობს?**

გაგრძელება A4 გვერდზე



*ნიკა რურუა*

# ნატო-ს დილემა

## პრინციპულობა თუ აგრესიის წახალისება?

*დღეს, ბრიუსელში, ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა დაიწყება, რომელზეც ალიანსში საქართველოს ინტეგრაციის მომავალი უნდა გადაწყდეს. ალიანსში ამ საკითხზე ერთიანი აზრი დღემდე არ არსებობს, რამაც ნატო განხეთქილების წინაშე დააყენა. საქართველოსთვის წევრობის სამოქმედო გეგმის მინიჭების ალტერნატივას, რომელსაც ნატო-ს აშშ და ბრიტანეთი სთავაზობენ, ალიანსის დასავლეთევროპელი წევრები უხალისოდ ხვდებიან. ნატო-ს მიერ სისუსტის გამოვლენა რუსეთს კიდევ უფრო საშიშს გახდის - გააფრთხილა ალიანსის წევრები საქართველოს პრეზიდენტმა.*

დიმიტრი ავალიანი

ნატო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები ბრიუსელის მინისტერიალზე დაადასტურებენ არსებულ ვალდებულებას, დროთა განმავლობაში ეს ქვეყნები ალიანსის რიგებში მიიღონ, - ამის შესახებ გუშინ ნატო-ს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ განაცხადა. ამავე დროს, როგორც მან აღნიშნა, არ მიიჩნევს, რომ დღეისთვის ეს ორი ქვეყანა ალიანსის წევრობისთვის მზადაა. **„ნებისმიერი შეფასებებით, მომზადების პროცესი დიდ დროს დაიკავებს,“** - განაცხადა აპატურაიმ.

მისი თქმით, ჯერჯერობით უცნობია, იქნება თუ არა შემუშავებული ახალი მექანიზმი ნატო-ში საქართველოსა და უკრაინის, MAP-ის გვერდის ავლით, გასაწევრიანებლად. აპატურაის განცხადებით, 1999 წლიდან, ალიანსის შიდა განაწესით, ყველა სახელმწიფო ნატო-ში გაწევრიანებამდე MAP-ზე გადადის.

არაოფიციალური ცნობებით, რომელსაც გუშინ მედიის საშუალებები ავრცელებდნენ, ნატო თბილისსა და კიევისთვის ორ ალტერნატიულ ვარიანტს განიხილავს - ყოველწლიურ სამოქმედო გეგმებს ან პროცედურებს ორმხრივი კომისიების ფარგლებში.

გაგრძელება A3 გვერდზე

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

BORJOMI ბორჯომი

GRDC group

ჯი პი აი ვენის სადაზღვევო ჯგუფი

CMYK - 1

# საქართველო ნატო-ში, ასე თუ ისე

პირველი გვერდიდან



ევროატლანტიკური ინტეგრაცია, განსაკუთრებით კი ნატო-ს წევრობა, კვლავაც საქართველოს უფლებაა. როგორც არ უნდა იყოს, საქართველო ნატო-ში თავად ალიანსის სწორი არჩევანი იქნება.

ამის გამო, დღეს ბრიუსელში შეკრებილი საგარეო საქმეთა მინისტრები საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ომზე მესამე პირში ვერ ისაუბრებენ. რუსეთის იერიში აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფნისთვის წინაღობის შექმნასთან და შავ ზღვაზე კონტროლის დაწესებასთან უფრო იყო კავშირში, ვიდრე სამხრეთ ოსეთთან ან თუნდაც საქართველოსთან.

ამ ომთან უფრო მეტი საერთო აქვს ნავთობისა და გაზის მილსადენებს, რომლებიც კასპიის შიდა ზღვას დასავლეთ ევროპის ბაზრებთან აკავშირებს.

საქართველოს, როგორც მილსადენების საყრდენ წერტილს, კასპიის ზღვაზე გასასვლელსა და შავის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე დემოკრატიის შუქურას, უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება რეგიონული სტაბილურობის შენარჩუნებაში, რომელიც აღმოსავლეთ-დასავლეთის ფართო დერეფნისთვისაა საჭირო. აღნიშნული დერეფანი გაცილებით დიდ სავაჭრო პერსპექტივებს გულისხმობს, ვიდრე მხოლოდ ნავთობი და გაზია.

რა თქმა უნდა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მასშტაბები - 1776 კილომეტრი და მილიონი ბარელი დღეში - თავისთავად მეტყველებს მის კლასზე. თუმცა, რეალურად მას გეოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი გვერდს უქცევს მგრძნობიარე რაიონებს, რაც დასავლეთს კასპიის ზღვისა და ცენტრალური აზიის ენერგორესურსებზე მისაწვდომობით უზრუნველყოფს, ხოლო ზღვაზე გასასვლელის არმქონე სახელმწიფოებს კლიენტების არჩევის საშუალებას აძლევს. ის ასევე გვერდს უქცევს საკმაოდ ვიწრო და გადატვირთულ თურქულ სრუტეებს, რაც ეკოლოგიისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პარალელურად, ბუნებრივი გაზი სამხრეთ კავკასიის მილსადენით კასპიის ზღვის შაჰ დენიზის საბადოდან თურქულ ქალაქ ერზერუმამდე მიედინება. შემდეგ ის უერთდება თურქეთის გაზის სადისტრიბუციო სისტემას, რომელიც თურქ და სხვა ევროპელ მომხმარებლებს ამარაგებს.

ერთად ეს მილსადენები ქმნიან კრიტიკულ მასას, რომელიც აღმოსავლეთ-დასავლეთის ფართო სავაჭრო დერეფნის ფუნქციონირებისთვის არის საჭირო. ამ მხრივ, ყარსი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალი გამოირჩევა როგორც მრავალდანიშნულებიანი სატრანსპორტო არტერია, რომელიც არა მარტო დროებით სამშენებლო სამუშაოებსა და სატრანზიტო გადასახადებს ითვალისწინებს, არამედ მისი მარშრუტის გასწვრივ და მის მიღმაც კომერციული განვითარების პერსპექტივებს იძლევა.

იქნება ეს მილსადენის, საავტომობილო გზების, რკინიგზისა თუ ზღვის მეშვეობით - თურქეთის სრუტეებიდან მარსელისკენ ან დუნაისა და რეინის გავლით როტერდამისკენ - ჩვენ გვეძლევა პერსპექტივა, მჭიდროდ დავაკავშიროთ კასპიის ზღვა და ევროპის შუაგული ჩრდილოატლანტიკურ სავაჭრო სისტემასთან, რომელიც აღმოსავლეთში ბათუმიდან და ჯეიჰანიდან დასავლეთში ჰიუსტონამდეა გაშლილი.

ვაჭრობასთან ერთად მოდის ხალხიც. ამდენად, აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფანი იდეების ბილიკიც გახდება, რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პერსპექტივაა.

ეს ისტორიული შესაძლებლობა ყველა ჩვენგანისგან შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე (და, რაც ყველაზე მთავარია, საქართველოში) უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მყარი საფუძვლის შექმნას მოითხოვს.

აღმოსავლეთით თუ შევხედავთ, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ნატო-ს საშუალებას მისცემდა, გასულიყო კასპიის ზღვასა და ცენტრალურ აზიაში (და მის ფარგლებს მიღმაც) ისე, რომ პოტენციურად პრობლემური წერტილებისთვის თავი აერიდებინა. ამგვარი გასასვლელი მნიშვნელოვანია არა მარტო სამხედრო ოპერაციებისთვის, არამედ ნარკოტიკებით, ადამიანებითა და იარაღით ვაჭრობისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისთვისაც.

დასავლეთით თუ შევხედავთ, შავი ზღვის უსაფრთხოებას ნატო-ს დღის წესრიგში მყარად უჭირავს ადგილი. ეს ასახვას ჰპოვებს ალიანსის სამხრეთსა და აღმოსავლეთზე „ცივი ომის“ შემდგომ რეორიენტაციაში, კოსოვოსა და ავღანეთის მსგავს ე.წ. „ზონებს მიღმა“ ოპერაციებში და ალიანსის გაფართოებაში.

ბულგარეთი და რუმინეთი ნატო-ს 2004 წელს შეუერთდნენ. ახლა ორივე მათგანი უნდა იქცეს ნატო-ს ფანჯარად სტაბილურ ტბაზე და არა ციხესიმაგრედ არასტაბილურობის ზღვაში. შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე თურქეთი უნდა გახდეს ნატო-ს ძირითადი დინების ნაწილი და არა მისი უკანასკნელი ავანპოსტი პრობლემურ მსოფლიოში.

საქართველოს უნიკალური გეოსტრატეგიული პოზიცია უჭირავს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. საქართველოს აეროპორტებისა და საზღვაო პორტების გამოყენება და მისი მცირე, მაგრამ კარგი პოტენციალის მქონე სანაპირო დაცვის აღდგენა ნატო-სთვის, საჰაერო და საზღვაო მეთვალყურეობის მხრივ, ძლიერი დანამატი იქნებოდა.

ალიანსი საგრძნობლად იხეირებდა, თუკი ექნებოდა შავ ზღვაზე საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის მოძრაობის ნათელი სურათი, დროული ინფორმაცია, ბულგარეთისთვის, რუმინეთისა და თურქეთისთვის დაცვის დროულად აღმოჩენისა და, საჭიროების შემთხვევაში, რეაგირების უფრო გაზრდილი შესაძლებლობები.

საქართველო ნატო-ში გონივრული გადაწყვეტილებაა არა მარტო საქართველოსთვის, არამედ ალიანსის 26-ვე წევრისთვისაც. გულახდილად რომ ვთქვათ, ეს რუსეთის უსაფრთხოებასა და კეთილდღეობასაც წაადგება, მაგრამ პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინის რუსეთი საკმაოდ ბრმაა იმისთვის, რომ ეს დაინახოს. ერთ დღეს - შესაძლოა, იმაზე მალე, ვიდრე პუტინი ფიქრობს - პროგრესული რუსები ამას დაინახავენ.

იქამდე კი, ნატო-მ ზრდილობიანად, მაგრამ მტკიცედ უნდა აუხსნას მოსკოვს, რომ საქართველო გახდება ნატო-ს წევრი და თანაც მალე.

*დევიდ ჯ.სმიტი არის პოტომაკის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (ვაშინგტონი)*

საქართველოს უსაფრთხოების ანალიზის ცენტრის დირექტორი (თბილისი)

# ევროპელი "მისიონერების" საქმიანობა აქტიურდება

დათო გამისონია

*ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში საქმიანობის დაწყებიდან 2 თვის შემდეგ, რეგიონული ოფისების ქსელს აძლიერებს. ევროგაერთიანების წარმომადგენლებს რესურსების ოპტიმალურად მობილიზება აქვთ გადაწყვეტილი, რათა გაუმკლავდნენ კონფლიქტურ ზონებში და მის შემოგარენში არსებულ გამოწვევებს.*

ევროდამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელი ჰანს იორგ ჰაბერი დამკვირვებლების მუშაობას აფასებს და მიმდინარე პრობლემებზე საუბრობს, **„ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დაწყების დღიდან - 1 ოქტომბრიდან დიდი პროგრესია მიღწეული. თუმცა ბევრი სირთულე ჯერ კიდევ დასაძლევია. ადმინისტრაციულ საზღვართან სიტუაცია არ არის წინასწარ განჭვრეტადი, ინციდენტები ისევ ხდება და კვლავ რჩება მრავალი იძულებით გადადგილებული პირი, რომელმაც თავშესაფარი ზამთრის დადგომამდე უნდა იპოვოს.“**

კონფლიქტის მოწესრიგების ორსაფეხურიან ფორმატში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას ქვედა საფეხური უჭირავს - უმაღლეს საფეხურს ჟენევის მოლაპარაკებები წარმოადგენს. ევროპელი მეთვალყურეები ხშირად რისკის ფასად ახერხებენ მონიტორინგს. ასევე ე.წ. სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ფაქტობრივ ხელისუფლებებთან ცდილობენ კონტაქტების დამყარებას - ძირითადად, საპოლიციო დონეზე. თუმცა სეპარატისტები თანამშრომლობის საკითხის წამოჭრისას წინა პლანზე რუსეთის მიერ აღიარებული რეგიონების სტატუსის თემას წევენ.

ევროპელი მისიონერები სეპარატისტებთან შეთანხმების მიღწევას ვერ ახერხებენ, ხოლო რუსეთის ოკუპაციურ ძალებს მათ თვალწინ აქვთ ჩაკეტილი საქართველოს ადმინისტრაციული საზღვრები. ამის გამო მეთვალყურეები მოქმედებას aაქტიურებენ და თავიანთი ოფისების ადგილმდებარეობას ცვლიან.

**ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ფოთის რეგიონული ოფისი და სწრაფი რეაგირების ჯგუფი ხაშურში გადადის და პასუხისმგებლობას აიღებს სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის დასავლეთ ნაწილზე.**

**ბაზალეთიდან მცხეთაში გადაინაცვლებს თბილისის რეგიონული ოფისი, რათა თავისი პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი მხარის ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ამინდის პირობებში უზრუნველყოს.**

**გორში იგეგმება ოფისის შეცვლა, რისთვისაც უკვე ეძებენ ახალ და უფრო შესაფერის შენობას. ზუგდიდშიც ელიან ახალ სამუშაო სივრცეში გადასვლას.**

„24 საათი“ დაუკავშირდა ევროკავშირის მისიის წარმომადგენელ პამელა პროიშეს. იგი მისიის ასეთი გადაწყვეტილების მიზეზებზე საუბრობს: **„ორთვიანი მუშაობის შემდეგ, მიმდინარე მოვლენების ანალიზმა განაპირობა ჩვენი საველე ოფისებისთვის ადგილების შეცვლა. გვსურს, რომ მონიტორები მიუახლოვდნენ რეგიონებს, რაც მისიითვის განსაკუთრებული ინტერესის საგანია. ვიმედოვნებთ, რომ ევროდამკვირვებლების საველე ოფისების ახალი ადგილსამყოფელი უფრო ეფექტური მუშაობის შესაძლებლობას მოგვცემს.“**

ევროკავშირის შეუიარაღებელი სადამკვირვებლო მანდატი საქართველოს მთელ ტერიტორიას მოიცავს და მას აღმასრულებელი ძალაუფლება არ გააჩნია. მისია მჭიდროდ თანამშრომლობს ეუთო-სა და გაერო-სთან. მას ევალება რეგიონში მონიტორინგი გაუწიოს ჰუმანიტარული კანონისა და ადამიანის უფლებების დაცვას. ასევე აკვირდებიან ბოლოდროინდელი კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნებასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ და უსაფრთხოების ასპექტებს.

საქართველოში კონკრეტული დავალებით მყოფ ევროპელთა საქმიანობას თან ერთვის სირთულეები. პამელა პროიშე მიმოიხილავს მისიის ორთვიან საქმიანობას: **„ევროკავშირის დამკვირვებლები დღე-ღამეში 24 საათის განმავლობაში 15-20 შემოვლას ატარებენ. ბრიუსელსა და ევროპის დედაქალაქებს სისტემატურად მიეწოდებათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ხდება საქართველოში. გარდა ამისა, ევროგაერთიანების მისია ცდილობს, გავლენა მოახდინოს რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ დაკავებული ტერიტორიის მონაკვეთზე, რომელიც აღნიშნულ სამხედროებს 10 ოქტომბრამდე უნდა დაეტოვებიათ.“**

პროიშე ევროკავშირის მისიის შემდგომ ნაბიჯებზე ამახვილებს ყურადღებას; **„ჩვენ დამაჯერებლად ვმოქმედებთ და განვაგრძობთ საკონტროლო-გამშვებ პუნქტებთან მიახლოებას. გარდა ამისა, ვამყარებთ კონტაქტებს ყველა მონაწილე მხარის ხელისუფლებებთან, რათა მნიშვნელოვანი საკითხები მოვაგვაროთ“** - აღნიშნავს პამელა პროიშე.

# "მთავარი მიზანი უცვლელი რჩება"

ვერიკო თევზაძე

*ექსპერტების და პოლიტიკოსების შეფასებით, დასავლეთის ახალი ინიციატივა, რომელიც საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (MAP-ის) ალტერნატიული მექამიზმით ჩანაცვლებას ითვალისწინებს, შექმნილი ვითარებით არის ნაკარნახევი და ერთადერთ მიზანს - საქართველოს ევროატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას ემსახურება.*

საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში ექსპერტ კახა გოგოლაშვილის შეფასებით, ახალი ინიციატივა საერთაშორისო ურთიერთობების გამწვავებაზე უარს ნიშნავს: **„დღევანდელ ვითარებაში საქართველოსთვის MAP-ის მინიჭებას რამდენიმე ფაქტორი აფერხებს. შეერთებული შტატების პოლიტიკა ცვლილების მდგომარეობაშია, ხოლო ევროპაში ნატო-ს წევრ სახელმწიფოებს შორის უთანხმოება კვლავ გრძელდება. ამას ემატება აგვისტოს მოვლენები.“** როგორც გოგოლაშვილი შენიშნავს, MAP-ის თემატიკამ შეიძლება ჟენევის პროცესი ჩაშალოს, რისი ნიშანიც არის რუსეთის მუქარა. ეს კი ყველაზე მეტად საქართველოს დააზარალებს. **„ამ შემთხვევაში საუბარია სხვა საფრთხეებზე. ნატო-ს და ევროპას შეიძლება რუსეთის მუქარის არ შეეშინდეთ, მაგრამ ჩვენ დავზარალდებით. კონფლიქტის მოგვარების პროცესი შეიძლება კიდევ უფრო გართულდეს,“** - განუცხადა „24 საათს“ კახა გოგოლაშვილმა.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას ექსპერტი გოგოლაშვილი გულწრფელად შენიშნავს, რომ MAP-ი საქართველოსთვის სასურველი ვარიანტი იყო: **„ზუსტად გვეცოდინებოდა, რა უნდა გაგვეკეთებინა ნატო-ში გასაწევრიანებლად. თანაც, კანდიდატის სტატუსიც გვექნებოდა.“** გოგოლაშვილის შეფასებით, MAP-ი მეტი სტიმული იქნებოდა ქვეყნისთვის, იგი ჩვენს მოსახლეობას მიმდინარე პროცესებისადმი ნდობას განუმტკიცებდა.

მიუხედავად ამისა, ექსპერტი MAP-ის ალტერნატიული მექანიზმით ჩანაცვლების ფაქტორს დადებით კონტექსტში განიხილავს: **„იგივე ინგლისელების მიერ შემოთავაზებული წლიური სამოქმედო გეგმა ქვეყანას გაწევრიანების კალაპოტში ჩააყენებს. ყოველწლიურად შემოწმდება შედეგები და გაკეთდება ანალიზი, რამდენად ვუახლოვდებით ევროპის კრიტერიუმებს.“**

ექსპერტის განცხადებით, მთავარია, რომ საერთო სურათი უცვლელი რჩება. კერძოდ, გოგოლაშვილის განმარტებით, ახალი მექანიზმის ჩანაცვლება იმას ნიშნავს, რომ **„პოზიტიური ურთიერთობები შენარჩუნდება ნატოს-თან, ევროპასთან და შეერთებულ შტატებთან და უზრუნველყოფილი იქნება მათი მხარდაჭერა ნებისმიერი საფრთხის შემთხვევაში.“**

როგორც „24 საათს“ საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში ექსპერტმა არჩილ გეგეშიძემ განუცხადა, დასავლური ინიციატივა არის **„კომპრომისული ნაბიჯი შექმნილ ვითარებაში.“** გეგეშიძის თქმით, **„საქართველოსთვის MAP-ი, როგორც მთავარი გასავლელი ეტაპი, მოიხსნა. დღეს ჩვენ არ ვიცით, რა ახალი ეტაპები უნდა დავძლიოთ.“** ექსპერტის შეფასებით, MAP-ის სხვა მექანიზმით ჩანაცვლება თითქოს აადვილებს ნატო-სკენ სავალ გზას. თუმცა, არჩილ გეგეშიძე საბოლოო პროგნოზისგან თავს იკავებს და დასძენს, რომ ამ შემთხვევაში უმჯობესია, დაველოდოთ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქარაძემ გუშინ მედიისთვის გაკეთებულ კომენტარებში აღნიშნა, რომ მოკავშირეთა დიდი ნაწილი საქართველოს ნდობას უცხადებს. რაც მთავარია, შენიშნავს ბაქრაძე, თვით სკეპტიკოსი ქვეყნებიც კი აღიარებენ ბუქარესტის გადაწყვეტილებას - რომ საქართველო აუცილებლად უნდა გახდეს ნატო-ს წევრი.

პარლამენტარ დავით დარჩიაშვილის აზრით, საქართველოს ნატო-ში გასაწევრიანებლად ახალი მექანიზმების ძიება ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში თანხმობის და ერთიანობის მიღწევას ისახავს მიზნად. **„მთავარია ნატო-ს წევრობა და არა ის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც შეიძლება ნატო-ში გაწევრიანება,“** - შენიშნავს დარჩიაშვილი.

ქართველი პარლამენტარი გუშინდელ კომენტარებში საგანგებოდ შენიშნავდა, რომ აპრილში MAP-ის დაკარგვამ საქართველოს სახელმწიფოზე სერიოზული გავლენა მოახდინა. კერძოდ, დარჩიაშვილის ვარაუდით, აგვისტოში MAP-ს, შესაძლოა, რუსეთის შემაკავებელი როლი ეთამაშა და ომი თავიდან აგვეცილებინა.

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა ჟვანია ახალ ინიციატივას ოპტიმისტურად უყურებს. **„ნატო დაინტერესებულია, შექმნას მექანიზმები საქართველოსთან თანხმობით.“** ჟვანიას განცხადებით, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი შეძლებს ეფექტური მექანიზმების შემუშავებას საქართველოს ნატო-ში გასაწევრიანებლად.

საქართველოს უსაფრთხოების ანალიზის ცენტრის დირექტორი დევიდ სმიტი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მხარს უჭერს ჩვენი ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანებას. იგი საქართველოსთვის მოქნილი მექანიზმების დაწესების მომხრეა. სმიტი აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის აპრილში საქართველოსთვის MAP-ის არმინიჭება ძალიან დიდი შეცდომა იყო, რასაც შედეგად მოჰყვა აგვისტოში რუსეთის შემოჭრა საქართველოს ტერიტორიაზე.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ნატო-ს დილემა

პირველი გვერდიდან

თუმცა, ვრცელდებოდა ასევე ინფორმაცია, რომ ალიანსში გაწევრიანების ფორმალური პროცედურის შეცვლას გერმანია და საფრანგეთი კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან.

აშშ-სა და ბრიტანეთის ინიციატივას, რომელიც გულისხმობს საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანებას წევრობის სამოქმედო გეგმის გვერდის ავლით, გუშინ გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი გამოეხმაურა. გერმანია საქართველოსა და უკრაინის ალიანსში გაწევრიანების დაჩქარების წინააღმდეგია, - გაახმოვანა კანცლერის აზრი გერმანიის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ტომას შტეგმა. მისი თქმით, თბილისი და კიევი უახლოეს მომავალში ვერ უპასუხებენ იმ პირობებს, რაც ალიანსის პოტენციურ წევრებს მოეთხოვებათ.

ბრიტანეთის მთავრობის თხოვნით, ნატო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა შექმნეს ახალი გეგმა ახალი ფორმულირებებით, რათა საქართველოსა და უკრაინის ალიანსთან კავშირი შეინარჩუნონ, თუმცა გარანტირებული წევრობის გარეშე, - წერს „ნიუ იორკ თაიმსი“.

**„ეს ნაბიჯი აღქმული იქნება, როგორც ხელის კვრა საქართველოსა და უკრაინისთვის და დათმობა მოსკოვისთვის“,** - აღნიშნავს გამოცემა.

გაზეთის ცნობით, დღევანდელ შეხვედრაზე საქართველოს და უკრაინას, MAP-ის ნაცვლად, განსაკუთრებულ პროგრამებს შესთავაზებენ, თუმცა ალიანსში გაწევრიანების რაიმე გრაფიკებისა და ვადების მითითების გარეშე. **„გათვალისწინებული იქნება სამხედროების რეგულარული გაცვლები და გრძელვადიანი დახმარება შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციაში,“** - წერს „ნიუ იორკ თაიმსი“.

გამოცემის აზრით, ამ გადაწყვეტილებას მოსკოვი საკუთარ გამარჯვებად შეაფასებს. **„თუმცა, ნატო-ში ამტკიცებენ, რომ ბუქარესტში აღებულ ვალდებულებას არ გადაუხვევენ და ადრე თუ გვიან საქართველო და უკრაინა ნატო-ს წევრები გახდებიან,“** - წერს „ნიუ იორკ თაიმსი“.

**„ნატო-ში ცხარე კამათი ატყდა საქართველოს ალიანსში დაგეგმილი მიღების გამო,“** - წერს, თავის მხრივ, გერმანული გაზეთი „ჰანდელსბლადტი“. გამოცემა აღნიშნავს, რომ გერმანია და საფრანგეთი ბრიტანეთისა და აშშ-ს წინააღმდეგ გამოდიან, **„რამაც არ შეიძლება, რომ ალიანსში ახალი განხეთქილება არ გამოიწვიოს.“**

ბრიტანულ გამოცემა „ინდეპენდენტს“, თავის მხრივ, მოჰყავს საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადება, რომელიც ალიანსის წევრებს მოუწოდებს, დაივიწყონ უთანხმოებები და საქართველოს საკითხზე **„კომპრომისული ვარიანტი“** მიიღონ. საქართველოს პრეზიდენტი აცხადებს, რომ სწორედ ბუქარესტის სამიტზე მომხდარმა დიპლომატიურმა აურზაურმა გაუხსნა ხელები მოსკოვს საქართველოს წინააღმდეგ აგრესიისთვის.

სააკაშვილთან ინტერვიუ იტალიურმა გაზეთმა „ლა სტამპა“-მაც გამოაქვეყნა. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ **„ბუქარესტის სამიტზე ნატომ თავისი გათიშულობა გამოავლინა, რამაც რუსეთი უფრო საშიში გახადა.“** საქართველოს პრეზიდენტმა შიში გამოთქვა, რომ ამჯერადაც ალიანსის სისუსტის მაჩვენებელი სიგნალი დაფიქსირდება და აღნიშნა, რომ რუსეთს სწორედ ამ შედეგის მიღწევა სურს.

**„ამერიკა აცხადებს, რომ საქართველოს შეუძლია, ნატო-ში MAP-ის გარეშე შევიდეს, ჩვენც იგივე აზრის ვართ,“** - განაცხადა სააკაშვილმა აშშ-სა და ბრიტანეთის ინიციატივის კომენტირებისას.

მინისტერიალის წინ ალიანსის წევრ ქვეყნებს უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომაც მიმართა, რომელმაც ვრცელი სტატია „ინტერნეშენალ ჰერალდ ტრიბუნ“-ში გამოაქვეყნა, სათაურით **„ჩვენ მზად ვართ, თუ თქვენც მზად იქნებით.“ „ჩვენ დაინტერესებულნი ვართ MAP-ით და ალიანსისგან დადებით სიგნალს ველით,“** - აღნიშნავს იუშჩენკო.

მისი თქმით, რუსეთის წინააღმდეგობა არ არის საფუძველი იმისთვის, რომ ნატო-მ აქამდე დეკლარირებულ პრინციპებზე უარი თქვას. **„ის, ვისაც სურს, რომ ევროპა ძლიერი, უსაფრთხო და ერთიანი იყოს, ვერ დაინახავს დაბრკოლებას უკრაინისთვის ვერც MAP-ის და ვერც ალიანსის სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მინიჭებაში,“** - მიიჩნევს უკრაინის ლიდერი.

იმავდროულად, დასავლელი მიმომხილველები აქტიურად მსჯელობენ იმის შესახებ, თუ რა გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს ალიანსმა არსებული რთული ვითარებიდან გამოსავლის მოსაძებნად.

**„გაურკვეველია, როგორ უნდა მოექცეს დასავლეთი რუსეთს - ყველა ვარიანტი თავისებურად ცუდია. საქართველოს მიღება ნატო-ში გამალებულ შეიარაღებას გამოიწვევს, მაგრამ უმოქმედობა აღქმული იქნება უკანდახევად რუსული აგრესიის წინაშე,“** - წერს ამერიკული გამოცემა „ნიუსუიკი“. იმავდროულად, მიმომხილველი აშშ-ს ახალ ადმინისტრაციას საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანების **„გადავადებისკენ,“** ხოლო მთლიანად დასავლეთს უსაფრთხოების სფეროში რუსეთთან თანამშრომლობის განახლებისკენ მოუწოდებს.

უფრო შორს მიდის ბრიტანულ „ინდეპენდენტის“ მიმომხილველი და საქართველოსა და რუსეთის სხვა მეზობლებს ფინეთის მაგალითის გათვალისწინებას ურჩევს. მიმომხილველის აზრით, ნეიტრალურმა ფინეთმა თავისი დამოუკიდებლობა და თავისუფლება **„მოთმინებისა და კომპრომისების წყალობით შეინარჩუნა.“**

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ეკა ტყეშელაშვილმა, რომელიც ამჟამად სამუშაო ვიზიტით ბრიუსელში იმყოფება, გუშინ ინტერვიუ მისცა უცხოურ მედიასაშუალებებს.

**„არ მგონია, ვინმე ფიქრობდეს, რომ საქართველოს ნატო-ში შესვლას ჩვენ რუსეთის წინააღმდეგ გარკვეულ ბერკეტად გამოვიყენებთ,“** - განცხადა ტყეშელაშვილმა. მინისტრმა ნატო-ს გაფართოებისა და რუსულ-ქართული ომის დეტალებზე ისაუბრა. მან ნატო-ს მომავალი სამიტის შედეგების პროგნოზირებისგან თავი შეიკავა, თუმცა აღნიშნა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ალიანსის წევრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს ინტეგრაციის პროცესს წინ წაწევს.

გუშინ მინისტრი შეხვდა ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში უმაღლეს წარმომადგენელ ჰავიერ სოლანას, საგარეო ურთიერთობებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარ ბენეტა ფერერო-ვალდნერს, გაიმართა შეხვედრები ევროკომისიის სამართლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკომისარ ჟაკ ბაროსთან, ევროპარლამენტარებთან, ევროკავშირის საბჭოსა და ევროკომისიის წარმომადგენლებთან.

ხვალ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი შეხვდება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან კონდოლიზა რაისს, მოგვიანებით გაიმართება შეხვედრა ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე, რის შემდეგაც ჩატარდება ერთობლივი ბრიფინგი. ეკა ტყეშელაშვილი ბრიუსელში შეხვდება ასევე საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბერნარ კუშნერს.


## „გაერთიანებული ტელეკომის“ 63 და 64 ინდექსის აბონენტთა საყურადღებოდ!

„გაერთიანებული ტელეკომი“ ანახლებს მუხიანის ტერიტორიაზე არსებულ ინფრასტრუქტურას და 30 ნოემბრიდან 63 და 64 ინდექსის აბონენტების ძველი სადგურიდან ახალ, ციფრულ სადგურში გადართვას იწყებს.

„გაერთიანებულმა ტელეკომმა“ იზრუნა თავის აბონენტებზე და გადართვით სამუშაოებს ჩაატარებს ღამის საათებში.

ციფრული ტექნოლოგიის დანერგვის შედეგად, ამაღლდება მომსახურების ხარისხი. მომხმარებელი მიიღებს ახალი სახეობის 26 დამატებით სერვისს.

ამავე პროექტით 3 დეკემბრიდან 20 დეკემბრამდე გათვალისწინებულია 63-64 მოქმედების ზონაში ბლოკზე მომუშავე ტელეფონების გადაყვანა ნომრების შეუცვლელად, უფასოდ პირდაპირ ქსელში ჩართვით. განბლოკვა განხორციელდება კომპანიის ხარჯზე.

შესაძლო შეფერხებების ოპერატიულად აღმოფხვრისათვის დილის 09 საათიდან 21.00 საათამდე იმუშავებს ცხელი ხაზის უფასო ნომრები:

632111 633111 633425 638711 642111 643111 643118 643386

„გაერთიანებული ტელეკომში“ იმედოვნებენ, რომ განახლების პროცესი ჩატარდება ეფექტურად, შეფერხებების გარეშე და აბონენტები სათანადო შეაფასებენ კომპანიის მიერ მიწოდებულ ახალ მომსახურებებს.


## დროებით საპარლამენტო კომისიაში აზრთა სხვადასხვაობაა

გიორგი ასანიშვილი

აგვისტოს მოვლენების შემსწავლელმა დროებითმა საპარლამენტო კომისიამ რუსეთის ინტერვენციის მამხილებელი ფაქტების და მასალების მოძიება, პრაქტიკულად, დაასრულა. დეპუტატებმა, თითქმის თვენახევრის განმავლობაში, ოცზე მეტი მაღალი თანამდებობის პირისგან (პრეზიდენტის ჩათვლით) მიიღეს ინფორმაცია. პარლამენტარები ახლა უკვე დასკვნის შედგენაზე იწყებენ მუშაობას, რაც, სავარაუდოდ, ორ კვირას გაგრძელდება.

თუმცა, კომისიის ზოგიერთ წევრს მიაჩნია, რომ მოძიებული მასალები შემაჯამებელი დოკუმენტის მოსამზადებლად საკმარისი არ არის და კიდევ რამდენიმე პერსონის დაკითხვაა აუცილებელი. მაგალითად, პარლამენტის ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ საპარლამენტო კომისიამ ნინო ბურჯანაძის, ირაკლი ალასანიას და ირაკლი ჩუბინიშვილის მოსაზრებები მოისმინოს. თუ კომისია მის წინადადებას არ დაეთანხმება, მაშინ აღნიშნულმა პირებმა, აგრეთვე სხვა თანამდებობის პირებმა და სამხედრო ექსპერტებმა დეპუტატებს პასუხები წერილობით უნდა მიაწოდონ, როგორც ეს ზურაბ ადეიშვილის შემთხვევაში მოხდა.

რაც შეეხება თავად დასკვნას, საპარლამენტო კომისიის წევრ დიმიტრი ლორთქიფანიძის აზრით, ის თემატური უნდა იყოს და პოლიტიკურ, სამოქალაქო, სოციალურ და სამხედრო საკითხებს მოიცავდეს. მისივე განცხადებით, კომისია ვერ დააყენებს ვერც ერთი მაღალჩინოსნის პასუხისმგებლობის საკითხს, მაგრამ მოძიებული მასალა იმდენად მრავალფეროვანია, რომ ნათლად იკვეთება, ვინ რომელ სფეროზე იყო პასუხისმგებელი.

**"არსებობდა სპეციალური კომისია, რომელიც პასუხისმგებელი იყო სამოქალაქო თავდაცვაზე. ამ კომისიას ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ გურგენიძე ხელმძღვანელობდა. თუ როგორ იმუშავა აღნიშნულმა სტრუქტურამ, ეს კარგად ჩანს კომისიის სხდომებზე დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხებიდან,"** - მინისტრთა კაბინეტის ექს-თავმჯდომარის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას არ გამორიცხავს დიმიტრი ლორთქიფანიძე.

დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე პაატა დავითაია თანაგუნდელთა მიერ გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებას არ ეთანხმება. კერძოდ, იგი ინფორმაციის მოსმენის გაგრძელებისა და კომისიის სხდომებზე ნინო ბურჯანაძის, ირაკლი ალასანიას, ირაკლი ჩუბინიშვილის ან სამხედრო ექსპერტების მოწვევის წინააღმდეგია.

**"ირაკლი ალასანიას მოწვევას აზრი არა აქვს, რადგან იმ საკითხებზე, რაც მას ეხება, გიგა ბოკერიამ უკვე ისაუბრა. ნინო ბურჯანაძე აგვისტოს მოვლენების დროს თანამდებობის პირი არ იყო და გადაწყვეტილებას არ იღებდა, ირაკლი ჩუბინიშვილი კი კაციშვილმა არ იცის, სად არის,"** - ასეთია დავითაიას კონტრარგუმენტები.

### "მწვანე შუქი" არ ყოფილა

აშშ-ს ელჩის საქართველოში ჯონ ტეფტის განცხადებით, აშშ-ს საქართველოსთვის არანაირი "მწვანე შუქი" არ მიუცია. "ამერიკის შეერთებული შტატები ყოველთვის აცხადებდა, რომ საქართველო შეირაღებულ კონფლიქტში არ უნდა ჩართულიყო და აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში საომარი ოპერაციების ჩატარებისთვის საქართველოს ხელისუფლებისთვის არასოდეს მიუცია "მწვანე შუქი," - განაცხადა ტეფტმა. **პირველი**

### დებატები სტრასბურგში

სტრასბურგში ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესის სესიაზე რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედეგებს განიხილავენ. მოხსენებით თბილისის მერი გიგი უგულავაც გამოვა. სესია 3 დეკემბრის ჩათვლით გაგრძელდება, საქართველოს საკითხზე დებატები 2 დეკემბერს გაიმართება. კონგრესი იმსჯელებს, თუ რა შედეგი მოჰყვა კონფლიქტს ადგილობრივ დონეზე. დებატებში მონაწილეობას მიიღებენ ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ევროსაბჭოს კომისარი თომას ჰამარბერგი, ჩრდილოეთ ოსეთის პარლამენტის თავმჯდომარე ლარისა ხაბიცოვა, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლები, ასევე, კონგრესში ქართული და რუსული დელეგაციების ხელმძღვანელები - მამუკა აბულაძე და სვეტლანა ორლოვა. **ინტეპრესნიუსი**

### ახალი ინიციატივა

ოპოზიციური ფრაქცია "ძლიერი საქართველოსთვის" ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახის წევრებზე კომპენსაციის გაცემის ინიციატივით გამოდის. შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც "სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" კანონში ცვლილებას ითვალისწინებს, ბიუროს გუშინდელ სხდომაზე დარეგისტრირდა. კანონპროექტის თანახმად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა და უგზოუკვლოდ დაკარგულ მოხალისეთა შვილებს 18 წლის ასაკის მიღწევამდე, შრომისუუნარო მეუღლეს და მშობლებს დაენიშნებათ კომპენსაცია 100 ლარის ოდენობით. **ინტეპრესნიუსი**

# "MAP": მითი, რეალობა და... ალტერნატივა

პირველი გვერდიდან

- მაგალითად, ალიანსის წევრი რამდენიმე ქვეყანა მხარს უჭერს საქართველოსა და უკრაინისთვის „MAP“-ის რაც შეიძლება მალე მინიჭებას. ესენი არიან ბალტიისა და სკანდინავიის ქვეყნები, პოლონეთი და აღმოსავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოები, აგრეთვე შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი. ნატო-ს წევრთა უმეტესობა, ალიანსის ყველაზე სერიოზული ნაწილი ამბობს, რომ საქართველოსა და უკრაინას „MAP“-ი ახლავე უნდა მიეცეთ.

არსებობს ალტერნატიული წინადადებაც: „MAP“-ის შეცვლა სხვა ინსტრუმენტით. მთავარია, რომ ნატო-ს წევრობისთვის აუცილებელი კრიტერიუმები შესრულდეს და იყოს ნატო-ს მხრიდან პოლიტიკური ნება. ეს უკანასკნელი კი ნამდვილად არსებობს, ლაპარაკია მხოლოდ დროზე, თუ როდის მოხდება ეს.

მე ვხელმძღვანელობდი საქართველოს საპარლამენტო დელეგაციას, რომელიც ვალენსიაში გამართულ ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობდა. 18 ნოემბერს, დასკვნით პლენარულ სხდომაზე, საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია „საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტის შესახებ“.

ამ დოკუმენტით ალიანსმა ძალიან მკვეთრად და არაორაზროვნად დააფიქსირა საქართველოს მიმართ თავისი უპირობო მხარდაჭერა. ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეა გმობს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას და მოსკოვის მიერ აღებული ვალდებულებების არშესრულებას.

ყველაფერი, რაც აგვისტოში მოხდა და უკანასკნელ პერიოდამდე მსოფლიოს ვერ გავაგებინეთ, ამ დოკუმენტშია თავმოყრილი. მასში საუბარია იმაზე, რომ სწორედ რუსეთი ახდენდა ვითარების ესკალაციას, ე.წ „სამშვიდობოების“ მანდატის ქვეშ უკანონოდ მოაქცია თავისი რეგულარული ჯარის ნაწილები და ა.შ. რაც მთავარია, რეზოლუცია მოუწოდებს ნატო-ს წევრი ქვეყნების პარლამენტებსა და მთავრობებს, რომ მხარი დაუჭირონ საქართველოსთვის „MAP“-ის მინიჭებას.

როდესაც ვალენსიაში ამ რეზოლუციას იღებდნენ, „MAP“-ის ალტერნატიული გზა ჯერ არ არსებობდა. ამ გზას ალიანსი, ალბათ, სულ მოკლე ხანში მოიფიქრებს.

თუმცა, არსებობენ ქვეყნები, რომლებიც ვალენსიაშიც გვიწევდნენ წინააღმდეგობას. ისინი, სხვადასხვა მოტივაციით, ითხოვდნენ ტექსტის შერბილებას, დოკუმენტიდან ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი მუხლების ამოღებას. ასეთი ქვეყანა სულ რამდენიმე იყო. მათი ნაწილი ხელმძღვანელობდა მოტივაციით, რომ საქართველო ჯერ არ არის მზად „MAP“-ის მისაღებად, ნაწილი კი, ჩემი აზრით, რუსული ეკონომიკური მარწუხების წნეხს ექვემდებარებოდა.

**- იქნებ, დაასახელოთ ეს ქვეყნები?**

- დასამალი არაფერია. შედარებით დიდ წინააღმდეგობას გვიწევდნენ გერმანია, იტალია და საბერძნეთი, შედარებით ნეიტრალური პოზიცია ეკავა საფრანგეთს. როდესაც საფრანგეთის დელეგაციამ დაინახა, რომ გერმანიის, იტალიისა და საბერძნეთის ჩასწორებები არ გადიოდა და უმცირესობაში ხვდებოდა, ფრანგებმა დარბაზი დატოვეს და წინასწარ წაგებულ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიიღეს.

**- დარბაზის დატოვება პროტესტის ნიშნად მოხდა?**

- არა, ეს არ იყო პროტესტი. მათ, უბრალოდ, უმცირესობაში დარჩენა და იზოლაციაში მოქცევა არ ისურვეს.

**- რა მოტივს ასახელებდნენ საქართველოს „მოწინააღმდეგე“ ქვეყნები?**

- ისინი აცხადებდნენ, რომ უნდა გავუფრთხილდეთ ნატო-ს ერთიანობას. ამაზე ჩემი პასუხი ასეთი იყო: ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეა ის ფორუმია, სადაც კამათი, მეჯელობა და დისკუსიაა მთავარი იარაღი და სწორედ ამის შედეგად მიიღწევა ღირებული ერთიანობა. ერთიანობა არასწორი იდეის გარშემო, ჩემი აზრით, არანაირ ფასეულობას არ წარმოადგენს. პირიქით, ის ანტიფასეულობაა.

ვალენსიის ფორუმზე ისიც გამოჩნდა, რა არის ნამდვილი ლიდერშიპი, რაც ასამბლეამ ნამდვილად გამოავლინა. გამოჩნდა ისიც, რომ ევროპას შეუძლია, წინ აღუდგეს რუსეთის აგრესიას. ამასთან, ევროპაში მიიჩნევენ, რომ რუსეთი მნიშვნელოვანი პარტნიორია და მას ხელს არავინ კრავს. რუსეთმა, უბრალოდ, უნდა იცოდეს, სად გადის „წითელი ხაზები“.

**- ამ წითელ ხაზებს კრემლმა აგვისტოში უკვე გადააბიჯა... რამდენად რეალურია რუსეთის აგრესიის განმეორების საფრთხე?**

- მეორედ ასეთი რამის გაკეთება მოსკოვს ძალიან გაუჭირდება. ჯერ ერთი, საქართველო უკვე მობილიზებულია, მეორეც - რუსეთს მიზეზი და თავის გასამართლებელი საბაბი აღარ ექნება. ისე, ზოგადად, გამორიცხული არაფერია და საფრთხის არსებობაზე თვალის დახუჭვა დაუშვებელია. უსაფრთხოების პრობლემა ყოველთვის იარსებებს, როდესაც გვერდით გყავს გათავხედებული, თავზეხელაღებული მმართველებით დაკომპლექტებული ბირთვული სახელმწიფო, რომელიც არ არის დემოკრატიული და პატივს არ სცემს მსოფლიოში აღიარებული თამაშის წესებს.

მოსკოვს თავისი სტრატეგიული მიზნები არ შეუცვლია და საქართველოს შიდა პროცესებში ჩარევას მომავალშიც იმდენად შეეცდება, რამდენადაც ჩვენ ამის საშუალებას მივცემთ.

ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა აუცილებელია, მაგრამ, ამასთან, ჩვენ სხვა საერთო ეროვნული ამოცანებიც გვაქვს. ეს არის საქართველოს გაძლიერება ეკონომიკური, სამხედრო და, თუ გნებავთ, სოციალური თვალსაზრისით. საზოგადოება უნდა შეიკრას ფუნდამენტური ღირებულებების გარშემო. ასეთი ფასეულობა არ არის მხოლოდ ის, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგება - მაგალითად, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს სხვა ფასეულობებიც, რომელთა ირგვლივაც კონსენსუსი იარსებებს.

ერთი შეხედვით მარტივია, მაგრამ თავისი არსით ფუნდამენტურ ღირებულებად მიმაჩნია, მაგალითად, დროის პატივისცემა, პუნქტუალურობა, ფულის დაზოგვის კულტურა, შრომის ეთიკა, ურთიერთდახმარების გარემოს არსებობა, სოლიდარობისა და თანამოქალაქეობის განცდა... სწორედ ამ ფასეულობებზე დგას თავისუფალი სამყარო. იგივე ტერიტორიული მთლიანობა ამ ფასეულობებთან არანაირ წინააღმდეგობაში არ მოდის. მეტიც, უფრო ავსებს და ამდიდრებს მას. მომავალ თაობასთან ამაზე მუშაობა სკოლიდანვე უნდა დავიწყოთ. მე ეს ქვეყნის უსაფრთხოების შემადგენელ ნაწილად მიმაჩნია.

**- რას ელოდებით ბრიუსელის მინისტერიალისგან? როდის მიგვიღებენ ნატო-ში?**

- ბრიუსელის მინისტერიალზე ნატო-ში საქართველოს მიღების საკითხი არ წყდება. ბრიუსელში მხოლოდ იმ ფორმატზე იქნება საუბარი, რომლითაც ალიანსი საქართველოსა და უკრაინასთან ურთიერთობებს გააგრძელებს. რაც შეეხება ვადებს, დღეს ამის შესახებ ლაპარაკი ძალიან ძნელია. ყველაფერი დამოკიდებულია „საშინაო დავალების“ შესრულებაზე და მსოფლიოში შესაბამისი პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებაზე. არა მგონია, რომ საქართველოს ნატო-ში შესვლას 9 წელი დასჭირდეს, როგორც ეს მაკედონიის შემთხვევაში იყო, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ ეს გაისად მოხდება. თუმცა, ყველაფერი ხდება - ცხოვრება სავსეა როგორც უსიამოვნო, ისე სასიამოვნო სიურპრიზებით.

**- ანუ უფრო რეალურია დროის „ოქროს შუალედი“ ერთ და ცხრა წელს შორის?**

- ვერ გეტყვით. საქმე ეხება პროცესს, რომელიც არც ძალიან გრძელი იქნება და არც ძალიან მოკლე. ალბათ, იქნება რაღაც საშუალო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან ინტენსიურად უნდა ვიმუშაოთ.

## რეზოლუცია №373 - საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის კონფლიქტის შესახებ

ასამბლეა

1. **გამოთქვამს** რა **მწუხარებას**, რომ საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო მოქმედება წარმოადგენდა „არაადეკვატური ძალის გამოყენებას“, სამხრეთ ოსეთში ეთნიკური ქართველების მიმართ განხორციელდა ეთნიკური წმენდა, რუსეთმა დაარღვია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პუნქტები და აღიარა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა;

2. **აღნიშნავს** რა, რომ ეს მოქმედებები ეწინააღმდეგება გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს, ისევე როგორც ეუთო-სა და ევროსაბჭოში რუსეთის მთავრობის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს;

3. **შეახსენებს** რა, რუსეთის ფედერაციას, როგორც სამხრეთ ოსეთში შერეული სამშვიდობო ძალებისა და აფხაზეთში დსთ-ს სამშვიდობო ძალების წევრს, რომ ეკისრებოდა ამ რეგიონებში მთელი მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა;

4. **კიდევ ერთხელ აღნიშნავს** რა, რომ რუსეთი, სამშვიდობო ძალებთან შეუსაბამოდ, თვეების განმავლობაში ზრდიდა სამხედრო ძალას, სპეციალიზებულ ძალებსა და სამხედრო ტექნიკის რაოდენობას სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, რითიც დიდად შეუწყო ხელი ორივე რეგიონში დაძაბულობის ესკალაციას;

5. **აღიარებს** რა, რომ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის დაპირისპირების ფაქტები ოფიციალურად ობიექტურ წყაროებს არ დაუდასტურებიათ; და ამდენად, **მიესალმება** ევროკავშირის ინიციატივას, ჩატარდეს დამოუკიდებელი გამოძიება რეალური გარემოებების დასადგენად; და **აღნიშნავს**, რომ რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს მთავრობების სრული თანამშრომლობა გამოძიების დამაკმაყოფილებელი დასკვნების გასაკეთებლად განუყოფელ წინაპირობას წარმოადგენს;

6. **აღიარებს** რა, რომ 2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ქართულ სოფლებზე გაძლიერებული იერიშები სერიოზული პროვოკაცია იყო;

7. **მაგრამ სამწუხაროდ**, საქართველოს ხელისუფლებამ, სამხედრო ძალით უპასუხა და ამით ძალადობის გაღვივებას შეუწყო ხელი.

8. **მკაფიოდ აღნიშნავს** რა, რომ სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი არის საქართველოს სუვერენული ტერიტორია და მოსკოვს გაერო-ში არაერთხელ მიუცია ხმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი რეზოლუციებისთვის - მათ შორის, უშიშროების საბჭოს 2008 წლის 15 აპრილის 1808-ე რეზოლუციისთვის, რომელიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს;

9. **კვლავ ადასტურებს** რა, რომ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობის გრძელვადიანი მოგვარება პოლიტიკურ ჩარევასა და მოლაპარაკებებზეა დამოკიდებული და არა სამხედრო ძალის გამოყენებაზე;

10. **გამოთქვამს რა იმედს**, რომ შემდგომი მრავალმხრივი და ორმხრივი დიპლომატიური მცდელობები რუსეთის ფედერაციასთან განახლებული ურთიერთობების საფუძველს შექმნის;

11. **მიესალმება** რა, ევროკავშირის აქტიურ როლს საფრანგეთის თავმჯდომარეობით, განსაკუთრებით ევროკავშირის მონიტორინგის მისიის გაშლის საკითხში;

12. **ხაზს უსვამს** რა საერთაშორისო პრინციპებს, რომ სამშვიდობო ძალები ნამდვილად საერთაშორისო უნდა იყოს;

13. **დარწმუნებულია** რა, რომ საქართველოს კონფლიქტის შედეგებთან გასამკლავებლად სჭირდება დახმარება და **აღნიშნავს** რა, დონორი ქვეყნების დიდ დაინტერესებას საქართველოსთვის დახმარების გაწევის საკითხში;

14. **კვლავ აღნიშნავს** რა, რომ 2008 წლის აპრილის ბუქარესტის სამიტის დეკლარაცია მხარს უჭერს საქართველოს განაცხადს წევრობის სამოქმედო გეგმის (MAP-ი) მიღებაზე და აცხადებს, რომ საქართველო ნატო-ს წევრი გახდება;

15. **ასევე ხაზგასმით აღნიშნავს** მის წინა რეზოლუციებს საქართველოსთან ინტენსიური დიალოგისა და თანამშრომლობის შესახებ;

16. **მიესალმება** რა, ახლად შექმნილ ნატო-საქართველოს კომისიას, რომელიც ალიანსსა და საქართველოს შორის პოლიტიკური დიალოგისა და თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას ითვალისწინებს;

17. **მოუწოდებს** ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნების მთავრობებსა და პარლამენტებს:

a.თავიანთი წვლილი შეიტანონ კონფლიქტის გაღვივების ხელშემწყობ მოვლენათა ჯაჭვის საერთაშორისო გამოძიებაში;

b.გააგრძელონ ჟენევის მოლაპარაკებები, რათა გამოინახოს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტების გრძელვადიანი გადაწყვეტის გზები იმ ნაბიჯების გადაუდგმელად, რომლებიც, საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგოდ, დე ფაქტო ან დე იურე რომელიმე მათგანის დამოუკიდებლობის აღიარებას გამოიწვევს;

c.დააწესონ ფართო საერთაშორისო სამშვიდობო ძალები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში;

d.დაეხმარონ საქართველოს ხელისუფლებას, წარმატებით დაასრულოს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები, რაც დააჩქარებს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს გაწევრიანებას;

f.შესთავაზონ საქართველოს წევრობის სამოქმედო გეგმა (MAP-ი);

g.მხარი დაუჭირონ საქართველოს გავლით ენერგორესურსების მიწოდების გაზრდას, რაც შეამცირებს ევროპის დამოკიდებულებას რუსულ ენერგორესურსებზე;

h.დაეხმარონ საქართველოს კონფლიქტის დროს განადგურებული ინფრასტრუქტურის აღდგენაში;

i.შეინარჩუნონ რუსეთის ფედერაციასთან კონსტრუქციული დიალოგის ფორმატი სამხრეთ კავკასიის რეგიონში გრძელვადიანი სტაბილურობის ხელშესაწყობად;

j.განახორციელონ ზეწოლა რუსეთის ფედერაციაზე, რათა ოფიციალურმა მოსკოვმა სრულად შეასრულოს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების ყველა პირობა.


**ყოველთვიური ჟურნალი მეწარმეებისა და ფინანსური სფეროს სპეციალისტებისათვის**

**აუდიტი**
**აღრიცხვა**
**ფინანსები**

*იკითხეთ მაღალპროფესიონალური „კითხვა-პასუხი“ „აფის“ ფურცლებზე!*

დღეს საქართველოში კვალიფიციური საგადასახადო კონსულტაციის ღირებულება 100 აშშ დოლარია (1 სთ.).

**„აფის“ ფურცლებზე „კითხვა–პასუხი“ კი უფასოა!**

ტელ.: **39-33-46, 39-33-47, 39-33-56, (93)-32-27-05**

*ჟურნალი გამოდის გიორგი ცერცვაძის რედაქტორობით*


## განცხადება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ასკანა -ს დაგეგმილი აქვს ქ. ოზურგეთში **ბეტონიტური თიხის გადამამუშავებელი ქარხნის რეაბილიტაცია**. საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის გაცნობა შეუძლიათ შემდეგ მისამართზე: ქ. ოზურგეთი, ჩოხატაურის ქ. №20.

დოკუმენტაციის მიმართ გამოთქმული შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა 45 დღე განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

შენიშვნები და მოსაზრებები შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ზემოთ მითითებულ მისამართზე.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა მოეწყობა 2009 წლის 16 იანვარს ქ. ოზურგეთში, ჩოხატაურის 20.

**შპს “ასკანა”-ს ადმინისტრაცია**

პოსტ-მოდერნული საქართველო

# მცირე ძლევამოსილი ომი

გიგა ზედანია

სერგეი ვიტტეს მემუარებში აღწერილია 1904 წელს გამართული საუბარი ჟანდარმების შეფ პლევესა და გენერალ კუროპატკინს შორის. პლევეს უთქვამს - იმისათვის, რომ შევაჩეროთ რევოლუცია, საჭიროა მცირე ძლევამოსილი ომიო.

დღეს თბილისში ბევრს ლაპარაკობენ რუსეთის მიერ ომის განახლების შანსზე. არგუმენტები სცენარის ასეთი განვითარებისთვის მართლაც არსებობს. არგუმენტების ერთი ხაზი მდგომარეობს იმის ჩვენებაში, რომ რუსეთმა აგვისტოს ომით დასახულ მიზნებს ვერ მიაღწია. დღევანდელი გადმოსახედიდან ეს მიზნები საკმაოდ ნათლად ჩანს:

ა) პოზიციების გაძლიერება კავკასიაში საქართველოს ნაწილების მიტაცებით;

ბ) საქართველოში რეჟიმის შეცვლა;

გ) გაზისა და ნავთობის ალტერნატიული, საქართველოზე გამავალი გზების გაკონტროლება;

დ) ყოფილი საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბლოკის სხვა ქვეყნების დაშინება.

როგორც ვხედავთ, რუსეთის მიერ მიღწეულ იქნა მხოლოდ და მხოლოდ პირველი მიზანი. მეორე და მესამე მიზნების მიღწევა დღეს რუსეთისთვის ისეთივე შორია, როგორც აგვისტომდე. ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შეშინებამ იმის საპირისპირო შედეგი გამოიღო, რასაც რუსეთი ელოდა - ისინი უფრო დამყოლნი კი არ გახდნენ იმპერიული ამბიციების ქვეყნის მიმართ, არამედ კიდევ უფრო შეურიგებელნი.

ლოგიკურია იმის ვარაუდი, რომ ამ შეუსრულებელი მიზნების განსახორციელებლად კიდევ ერთი ომი შეიძლება დაიწყოს. მაგრამ, ჩემი აზრით, ამ ლოგიკას უნდა დაემატოს კიდევ ერთი, შიდაპოლიტიკური დინამიკის ფაქტორი რუსეთში, რათა ომის გამომწვევი მექანიზმი მოქმედებაში მოვიდეს.

აგვისტოს ომი ხელს პუტინს აძლევდა. პრეზიდენტობის დატოვების შემდეგ რუსეთში შექმნილი იყო ვითარება, როდესაც გაუგებარი იყო, როგორ მოხდებოდა რეალური ძალაუფლების გადანაწილება ახალ პრეზიდენტსა და ახალ პრემიერს შორის. პუტინმა ყველა ეჭვი გააქარვა - სწორედ ის ჩავიდა ვლადიკავკაზში ომის დროს, სწორედ ის აძლევდა მედვედევს მითითებებს იმის თაობაზე, თუ რა უნდა გაკეთებულიყო საქართველოს "დანაშაულებრივი" ქმედებების საპასუხოდ - მოკლედ, თუ ვინმეს მანამდე ჰქონდა ილუზია, რომ ახალი პრეზიდენტის გამოჩენა გარკვეული ინსტიტუციურ ბალანსს დაამყარებდა რუსეთის პოლიტიკურ სისტემაში (და ამ იმედს არა მხოლოდ რუსი ლიბერალების ნაწილი იზიარებდა, არამედ, მაგალითად, საერთაშორისო პოლიტიკის ისეთი გამობრძმედილი პრაქტიკოსი და თეორეტიკოსი, როგორიც ჰენრი კისინჯერია), აგვისტოს ომმა პუტინს მისცა შანსი, ეს ილუზია ბოლომდე დაემსხვრია. პუტინმაც ეს შანსი ხელიდან არ გაუშვა.

მაგრამ, ჯერ ერთი, აგვისტოს ომი რუსეთისთვის სულაც არ დასრულებულა ისეთი წარმატებით, როგორსაც ელოდნენ. მეორეც, მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა სერიოზულად არია კარტები რუსეთის ჩამოყალიბებულ სიტუაციაში.

საქმე ისაა, რომ არსებობს ერთი ფუნდამენტური განზომილება, რომლის მიხედვითაც რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება ჰგავს როგორც ელცინის, ისე შევარდნაძის მმართველობას. ეს უცნაური თვისებაა ხელისუფლების მთავარი პრინციპის სრული პერვერტირება. ნებისმიერი დემოკრატიული ხელისუფლება ეყრდნობა ერთ საფუძველს - ჩვენ წარმოვადგენთ ხალხს, ამიტომაც გვაქვს გადასახადების მოთხოვნის უფლება. "გადასახადები" აქ ყველაზე ფართო აზრით უნდა გავიგოთ - ესაა კანონების ერთობლიობა, რომელსაც აწესებს ხალხის წარმომადგენელი ხელისუფლება და რომლის შესრულებასაც ის ხალხისგან ითხოვს. როგორც საკუთარი ისტორიიდან გვახსოვს, შევარდნაძის მმართველობისას სწორედ ეს მთავარი პრინციპი არ არსებობდა - ხელისუფლება არავისაც არ წარმოადგენდა, მაგრამ სამაგიეროდ არც არავისგან არაფერს ითხოვდა. იგივე ხდებოდა იმდროინდელ რუსეთშიც ელცინის მმართველობის პირობებში. ორივე შემთხვევაში ხელისუფლება ძალიან არაპოპულარული იყო. საქართველოს შემთხვევაში ამან რევოლუციამდე მიგვიყვანა. რუსეთის შემთხვევაში მოხდა ძალაუფლების გადაცემა. საქართველოში მოვიდა ხელისუფლება, რომელიც შეეცადა როგორც წარმომადგენლობის, ისე "დაბეგვრა/გადასახადების ამოღების" (ისევ ვიმეორებ, ყველაზე ფართო აზრით გაგებული) პრინციპი განეხორციელებინა. ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილების დიდი ნაწილი სწორედ ამ მცდელობის განხორციელების სურვილით უნდა აიხსნას. რუსეთის ხელისუფლებას კი აქ ნავთობზე დაუჯერებლად გაზრდილმა ფასებმა უშველა, რის შედეგადაც იქ მიღწეული იქნა, ასე ვთქვათ, ახალი "საზოგადოებრივი ხელშეკრულება" - ხელისუფლება აქ ხალხს არც ახლა წარმოადგენს, მაგრამ სამაგიეროდ მას არც "გადასახადების ამოღება" სჭირდება მოსახლეობისგან (ამიტომაა რუსეთში კორუფცია ზუსტად ისეთივე მასშტაბის პრობლემა, როგორც ის საქართველოში იყო 2004 წლამდე). ერთადერთი, რაც პუტინის ხელისუფლებას აქამდე სჭირდებოდა, იყო შემოსული პეტროდოლარების მცირე ნაწილის გაყოფა ხალხისათვის. ამიტომაც ვამბობ, რომ ელცინ-შევარდნაძისეული მოდელის მნიშვნელოვანი განზომილება დღევანდელ რუსეთშიც შენარჩუნებულია (განსხვავებით დღევანდელი საქართველოსაგან).

ეკონომიკური კრიზისი და, მის შედეგად, ნავთობზე ფასის სერიოზული ვარდნა პუტინის მმართველობის მოდელს სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. მას, ცხადია, შეუძლია გააგრძელოს ისე, როგორც ამას ელცინი და შევარდნაძე აკეთებდნენ - მართოს ქვეყანა მიუხედავად პოპულარობის დაცემისა. მაგრამ, როგორ ჩანს, მას ეს არ უნდა. ამიტომ რუსეთში ისტერიულობის ზღვარს აღწევს ანტი-დასავლური და ანტი-ამერიკული სენტიმენტი და რიტორიკა, რომელიც იქ ისედაც ძალზე მძლავრი იყო. ყველა პრობლემაში დამნაშავე დასავლეთი უნდა აღმოჩნდეს. ოღონდ ამ მართულ ნაციონალისტურ ისტერიას გვერდითი შედეგებიც მოჰყვება -მახსოვს, ამ ორი წლის წინ ევროპელმა მეგობარმა "ეკონომისტის" სტატია მაჩვენა, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ პუტინმა რუსეთში ნაციონალიზმის ვეფხვი გაათავისუფლა, ახლა საკითხი ისაა, რამდენად მოახერხებს მის გაკონტროლებასო. და, მართლაც, როგორც ვხედავთ, ეთნიკური ნაციონალიზმი, რომლის კულტივირებასაც ახდენდა კორუმპირებული რუსული პოლიტიკური ელიტა, საკუთარ მილიარდებს შვეიცარიის ბანკებში რომ ინახავდა და ცოლ-შვილს ფრანგულ კურორტებზე რომ აცხოვრებდა, ახლა თავად ამ ელიტის ბატონობას ემუქრება. მითი, რომლის მიხედვითაც ამ ელიტას დასავლურ ბანკებში ანგარიშების გაყინვისა შეეშინდება, ნაციონალისტური სენტიმენტის სრულ ვერგაგებაზეა დამყარებული - გაცილებით უფრო რეალისტურია იმის ვარაუდი, რომ ნელ-ნელა შეიცვლება თავად ელიტა. რუსეთში გაძლიერდება ის ხალხი, ვისი ბიზნეს-ინტერესებიც არაა დაკავშირებული დასავლეთის ქვეყნებთან. რუსეთი იზოლაციის გზას დაადგება, თუმცა განაგრძობს ნავთობისა და გაზის მიწოდებას დასავლეთის ქვეყნებისათვის (რუსული გაზის გერმანიაში გაყიდვა და რუსული ელიტის ბიზნეს-ინტერესები დასავლეთში სულაც არაა ერთმანეთთან აუცილებელ კავშირში. ნავთობს საბჭოთა კავშირიც ყიდდა, თუმცა პოლიტბიუროს წევრებს შვეიცარიის ბანკებში ფული შენახული არ ჰქონიათ).

მაშ, ასე - რუსეთში 2009 წლიდან დიდი ალბათობით დადგება დრო, როდესაც, ეკონომიკური კრიზისის შედეგად, შეიცვლება პოლიტიკური პროცესების დინამიკა. ამ დინამიკის შეცვლისას რუსეთის მოსახლეობამ გული და თვალი რაიმეს უნდა გადააყოლოს. მცირე ძლევამოსილი ომი ამისთვის შესანიშნავ შესაძლებლობას იძლევა. პუტინის პრეზიდენტობა მჭიდრო კავშირშია მეორე ჩეჩნური ომის წარმატებულ კამპანიასთან. არსებობს შანსი იმისა, რომ მეორე ქართული ომი პუტინის ხელისუფლების შენარჩუნებისა და რეკონფიგურაციის საქმეს მიეძლვნას.

ყველაზე ცუდი ამ სცენარში ისაა, რომ საქართველოს მასში ძალიან მცირე როლი აკისრია. ომის დაწყების საბაბს რუსეთის პოლიტელიტა ყოველთვის მონახავს, თუ გადაწყვიტა, რომ დასავლეთთან კონფრონტაცია - რომელსაც საქართველოსთან ომის განახლება გამოიწვევს - შიდა პრობლების გადასაჭრელად გამოიყენოს. თუ ვინმე საქართველოში ფიქრობდა, რომ ჩვენ წარმატებით გავუწევდით წინააღმდეგობას რუსულ არმიას, დღეს ის, იმედია, ამ ილუზიისგან თავისუფალია. მაგრამ მაინც რჩება რაღაც, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ - როგორც აგვისტომ გვაჩვენა, ჩვენი უსაფრთხოება მთლიანად დასავლური ქვეყნების მხარდაჭერაზეა დამოკიდებული. ამიტომ, სანამ დროა, საჭიროა ინსტიტუციური რეფორმების გატარება და დემოკრატიის კონსოლიდაცია, რამაც მორალური უფლება უნდა მოგვცეს, ეს მხარდაჭერა დასავლეთისგან კვლავაც მოვითხოვოთ. თუ ყველაზე ცუდი პროგნოზი ახდა და ომი რუსეთთან განახლდა, ეს ომი დასავლურ მედიებში წარმოდგენილ უნდა იქნეს, როგორც კონფლიქტი ნამდვილ ავტოკრატიასა და ნამდვილ დემოკრატიას შორის. ყოველგვარი ორაზროვნებების გარეშე.

# ცხინვალის მორიგი ტყუილი

ნათია მსხილაძე

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში კვლავ სროლის ხმა ისმოდა. ქართულ სოფლებს ოსური მხარის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან - სოფელ ზემო არცევიდან ცეცხლი გაუხსნეს. ქვემო ქვეშისა და ფლავისმანის მიმართულებით მთელი ღამის განმავლობაში ისროდნენ. სროლის შედეგად არავინ დაზარალებულა. ადგილობრივი მოსახლეობის ვარაუდით, სეპარატისტები და სოფელ ზემო არცევში დისლოცირებული რუსი ოკუპანტები ხალხის დასაშინებლად ისვრიან.

ოფიციალურმა ცხინვალმა თავდაცვის მიზნით საპირისპირო ინფორმაცია გაავრცელა და თბილისი ოსური სოფლების დაცხრილვაში დაადანაშაულა. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ხელისუფლების მტკიცებით, ქართულმა მხარემ სოფელ ნიქოზიდან და ქვეშიდან შაბათს-კვირას ცეცხლი გახსნა.

ე.წ სამხრეთ ოსეთის თავდაცვის მინისტრ იბრაგიმ გასიევის განცხადებით, სროლები ავტომატური იარაღიდან სოფელ ხეთაგუროვოს მიმართულებითაც ისმოდა. გასიევმა დააკონკრეტა, რომ სროლა შაბათს საღამოს დაიწყო. **"სროლების შედეგად დაზარალებულები და დაღუპულები არ არიან. მინდა აღვნიშნო, რომ რესპუბლიკის ძალოვანი სტრუქტურები სამხედრო მზადყოფნაში არიან,"** - აცხადებს გასიევი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უარყოფს ცხინვალის ბრალდებას ქართული მხარის მიერ ოსური სოფლების დაცხრილვის შესახებ. **"გუშინ საღამოს, ცხინვალის რაიონში არც ქართული და არც დე ფაქტო რეჟიმის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არანაირი სროლა არ დაფიქსირებულა,"** - აღნიშნა სამინისტროს ანალიტიკური სამსახურის უფროსმა შოთა უტიაშვილმა.

გუშინ ცხინვალის რეგიონის მიმდებარე ქართულ სოფლებში სროლების შემდეგ არსებული ვითარების შესასწავლად ევროკავშირის დამკვირვებლები ჩავიდნენ.

როგორც შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსი ვლადიმერ ჯულელი აცხადებს, დამკვირვებლებმა, უსაფრთხოების მოტივით, გუშინწინ სოფლებში გასვლისგან თავი შეიკავეს. **"ოსური მხრიდან სროლა საკმაოდ დიდ ხანს მიმდინარეობდა. ისროდნენ ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღიდან. ასევე ისროდნენ მცირე ჭურვებსაც, თუმცა ეს არ იყო დამიზნებითი სროლა და მას მსხვერპლი არ მოჰყოლია,"** - აღნიშნა ჯულელმა.

იმავდროულად, ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ხელმძღვანელმა ჰანს იორგ ჰაბერმა გუშინ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ სიტუაცია **"არაპროგნოზირებადია, კვლავ ადგილი აქვს ინციდენტებს."**

**"იმ გამოწვევების გამო, რაც ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ კვლავ არსებობს, მისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რამდენიმე საველე ოფისს ადგილმდებარეობა შეეუცვალოს. კერძოდ, ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება ითვალისწინებს მისიის საველე ოფისის გადატანას ფოთიდან ხაშურში, რათა უკეთესად მოხდეს სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის დასავლეთ ნაწილის მონიტორინგი,"** - ნათქვამია ევროკავშირის განცხადებაში.

გუშინვე სააგენტო "ინტერფაქსმა" რუსეთის უშიშროების ფედერალურ სამსახურზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ ქართული სპეცსამსახურები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში განლაგებული რუსული შეიარაღებული ჯარის წინააღმდეგ ტერაქტსა და დივერსიას ამზადებენ. ქართული მხარე რუსეთის ბრალდებაზე კომენტარს არ აკეთებს.

ორი სიტყვით

**ვაშინგტონი.** აშშ-ში სამუშაო ვიზიტით მყოფი პარტია "საქართველოს გზის" ლიდერი სალომე ზურაბიშვილი გუშინ სახელმწიფო დეპარტამენტის მდივნის მოადგილე პაულა დობრიანსკის, ასვეე ნიქსონ ცენტრის დამფუძნებელს და აღმასრულებელ დირექტორს და სხვა მაღალჩინოსნებს შეხვდა. **პირველი**

**თბილისი.** რუსეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის გამო, საქართველოს მოქალაქეებს შესაბამის დიპლომატიურ მომსახურებას შვეიცარიის საელჩო გაუწევს. **მედიანიუსი**

**ბრუსელი.** საქართველოს პრემიერ-მინისტრი გრიგოლ მგალობლიშვილი ბრიუსელში ევროკავშირის უმაღლეს კომისარ ჰავიერ სოლანას შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა ევროკავშირში საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და ევროკავშირთან საქართველოს პრივილეგირებული ურთიერთობების საკითხი განიხილეს. **მედიანიუსი**

**გურჯაანი.** კახეთში მუნიციპალური ავტობუსები აღარ მოძრაობენ. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ჰოლანდიური ავტობუსები ბევრ საწვავს მოიხმარს, მგზავრთა სიმცირის გამო კი იგი დანახარჯებს ვერ ანაზღაურებს და მუნიციპალიტეტისთვის წამგებიანია. **პირველი**

## ბურჭანაძის შეხვედრები გერმანიაში

"დემოკრატიული მოძრაობის - ერთიანი საქართველოს" ლიდერი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გერმანიაში საქართველოს სახალხო დამცველ სოზარ სუბართან ერთად შეხვედრის გამართვის ფაქტს ადასტურებს, თუმცა ვლადიმირ პუტინის ახლო გარემოცვის წევრთან - რუსეთში ქართული სათვისტომოს პრეზიდენტ მიხეილ ხუბუტიასთან შეხვედრას უარყოფს. "პირველის" წყაროს ცნობით, ნინო ბურჯანაძის "პოლიტიკურ-მეზობლურ" შეხვედრებს ორგანიზებას რუსეთში საქართველოს ყოფილი ელჩი და "ვარდების რევოლუციის" ერთ-ერთი ავტორი ეროსი კიწმარიშვილი უწევს. **პირველი**

## თარგამაძე იმედგაცრუებულია

კონტროლის პალატის შესახებ ახალმა კანონპროექტმა "ქრისტიან-დემოკრატებს" მოლოდინი გაუცრუა. საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ პალატის ხელმძღვანელ ლევან ბეჟაშვილთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ ახალი კანონი ნამდვილად არ ასახავს ისეთ მოლოდინებს, რომლებიც, შესაძლოა, გაჩენილიყო მას შემდეგ, რაც კონტროლის პალატის შესახებ ახალი კანონის რევოლუციურობაზე დაიწყო საუბარი. "ახალ კანონში არ არის ოპოზიციის როლი ისე გაძლიერებული, რომ ოპოზიციას რაიმე გავლენის შესაძლებლობა ჰქონდეს. კერძოდ, დავების საბჭოში, რომელიც კონტროლის პალატასთან უნდა შეიქმნას, 9 წევრიდან 6 კვლავ კონტროლის პალატის ხელმძღვანელი პირი უნდა იყოს, ხოლო ერთი - ოპოზიციის წარმომადგენელი,"- აღნიშნა დეპუტატმა. თარგამაძის თქმით, ეს ოპოზიციას მხოლოდ იმის საშუალებას მისცემს, რომ ჩვეულებრივ მოქალაქეზე უფრო ადრე იყოს ინფორმირებული, ამის საშუალება ნებისმიერ ჟურნალისტსაც კი აქვს, აღნიშნა მან **ინტერპრესნიუსი**

## სამხედრო პარტნიორობის აუცილებლობა

თორთლაძე-ცაგარეიშვილის "საქართველოს დემოკრატიული პარტიის" პოლიტიკური მდივანი აკაკი ფანჩულიძე საქართველოსა და აშშ-ს შორის სამხედრო პარტნიორობისა და სამხედრო დახმარების შესახებ სტრატეგიული ხელშეკრულების სასწრაფოდ გაფორმების აუცილებლობაზე საუბრობს. "საქართველო მუდმივად იმყოფება აგრესიის მდგომარეობაში, რაც ცხინვალის რეგიონსა თუ აფხაზეთში ათასგვარ პროვოკაციებში გამოიხატება, - განაცხადა აკაკი ფანჩულიძემ.

მან აქვე აღნიშნა, რომ სწორედ ასეთი ტიპის ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული რუსეთის ფედერაციას აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეჟიმებთან. **პირველი**

## მოქალაქეთა მიღების საათები

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა სახელმწიფო მინისტრთან და მის მოადგილეებთან შეხვედრის მსურველებისთვის მოქალაქეთა მიღების საათები დააწესა. რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში მოქალაქეებს თემურ იაკობაშვილთან შეხვედრის საშუალება ხუთშაბათობით, 11.00. - 14.00. საათებში ექნებათ. როგორც "მედიანიუსს" სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან აცნობეს, მინისტრის მოადგილე ელენე თევდორაძეს მიღების საათები ყოველ ხუთშაბათს 11.00. - 17.00. საათამდე ექნება, ხოლო სახელმწიფო მინისტრის მოადგილე დავით რაქვიაშვილს 11.00. - 13.00. საათებში. თემურ იაკობაშვილთან და მის მოადგილეებთან შეხვედრის მსურველებმა უნდა დარეკონ ნომრებზე 92 18 91; ( მინისტრის მისაღები) 92 31 50 (მინისტრის მოადგილის მისაღები). **მედიანიუსი**

# თქვენს კითხვებს პასუხობენ ბანკირები

თიბისი ბანკი TBC BANK

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

გაინტერესებთ საბანკო სფეროში მიმდინარე სიახლეები და ცვლილებები?
გსურთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებისგან პირადად მიიღოთ პასუხები ყველა კითხვაზე?
თიბისი ბანკი თქვენ გვერდითაა და მოგაწვდით სრულ ინფორმაციას თქვენთვის საინტერესო საბანკო თემებზე.
გამოაგზავნეთ შეკითხვები ელ-ფოსტით, მისამართზე **ngotsadze@tbcbank.com.ge**, ან დარეკეთ ტელეფონის ნომერზე 27 27 27 და **ყოველ სამშაბათს**, რუბრიკაში "**თქვენს კითხვებს პასუხობენ ბანკირები**", მიიღეთ პასუხები თიბისი ბანკის ექსპერტებისგან.



***ივნისში თიბისი ბანკში გავხსენი დოლარის ანაბარი. მაშინდელი კურსით, თანხა ზუსტად შეესაბამებოდა 2000 ლარს, თუმცა დღეს, ვალუტის კურსის ცვლილების გამო, ეს თანხა უკვე აღარ არის საკმარისი მილიონის გათამაშებაში მონაწილეობისთვის. გთხოვთ მიპასუხოთ, ვარ თუ არა გათამაშებაში და მქონდეს თუ არა მილიონის მოგების იმედი?***

**ნინო ყაჭეიშვილი –**
თიბისი ბანკის საცალო გაყიდვების განყოფილების უფროსი:

რასაკვირველია თქვენ კვლავ გათამაშების მონაწილე ხართ და შანსი გაქვთ ახალ წელს მილიონერის სტატუსით შეხვდეთ. მადლობას გიხდით ამ კითხვისთვის, რადგან ვალუტის კურსის მკვეთრმა ცვლილებამ მართლაც გამოიწვია საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა.

მინდა ვაცნობო თიბისი ბანკის ყველა მეანაბრეს, რომლებმაც აქციის დაწყებიდან, ანუ 16 თებერვლიდან უცხოურ ვალუტაში გახსნეს ანაბარი 2000 ლარის ოდენობის თანხით - თუ მათი ანაბარი კვლავ აქტიურია (ანუ ანაბარი არ გაუტანიათ), ისინი ბოლომდე დარჩებიან გათამაშების მონაწილეებად.

საქმე ის გახლავთ, რომ გათამაშების წესდების მიხედვით, თუ ანაბრის გახსნისას კლიენტის მიერ შემოტანილი თანხის ექვივალენტი 2000 ლარს შეადგენდა, მას მიენიჭა გათამაშების მონაწილის სტატუსი და, კურსის ცვლილების მიუხედავად, ბოლომდე მიიღებს მონაწილეობას მილიონის გათამაშებაში.

გათამაშებას გამოეთიშებიან მხოლოდ ის მეანაბრეები, რომლებმაც შეწყვიტეს ანაბარი თიბისი ბანკში.



***ტელევიზიით მოვისმინე, რომ თიბისი ფონდი დევნილი ორსულებისთვის ატარებს აქციას დახმარების მიზნით. მე დევნილი ვარ და სულ ახლახან შემეძინა ბავშვი, ამიტომ მაინტერესებს, რას მოიცავს ეს დახმარება და არის თუ არა შესაძლებელი, რომ მეც ჩავერთო ამ აქციაში?***

**ნინო დარჩიაშვილი -**
თიბისი ფონდის დირექტორი:

ეს არის მასშტაბური აქცია, რომელსაც თიბისი ფონდი ახორციელებს აგვისტოს მოვლენების შედეგად დაზარალებული ორსული ქალების და ახალშობილების დახმარების მიზნით. ამ პროექტისთვის ჯამურად გამოყოფილია 1,5 მილიონი ლარი, რომელიც მოხმარდება დევნილების ყოველთვიურ დახმარებას ორსულობის პერიოდიდან ახალშობილის ერთი წლის ასაკამდე. ასევე ახალშობილების ერთჯერად დაფინანსებას.

დახმარების გაცემა დაიწყება ამა წლის დეკემბერში, მათთვის, ვინც 2008 წლის 6 აგვისტოსთვის იყო და არის ორსულად ან იმშობიარა.

თუ თქვენ დევნილი ბრძანდებით, უნდა მიბრძანდეთ თიბისი ბანკის ნებისმიერ ფილიალში და წარმოადგინოთ თქვენი პირადობის მოწმობა, დევნილად რეგისტრაციის ფურცელი (რეგისტრაციის ნომრით) და ბავშვის დაბადების მოწმობა.

თიბისი ბანკში მოხდება თქვენი დარეგისტრირება დახმარების პროგრამაში, დაგიმზადებენ პლასტიკურ ბარათს, დაგინიშნავენ ყოველთვიურ დახმარებას და ახალშობილისთვის განკუთვნილ ერთჯერად დაფინანსებას.

***მსურდა საოჯახო ტექნიკის შეძენა განვადებით და მითხრეს, რომ თიბისი ბანკი განვადებებს აღარ გასცემს. მაინტერესებს რამდენად სწორია ეს ინფორმაცია.***



**დათო კენჭაძე -**
გარე გაყიდვების ქსელის განვითარების განყოფილების უფროსი:

ეს ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება - დღეისათვის თიბისი ბანკი სრული დატვირთვით მუშაობს განვადების ბაზარზე.

თიბისი ბანკს, ისევე, როგორც საქართველოში მოქმედ სხვა ბანკებს, აგვისტოში ქვეყანაში განვითარებული საომარი მდგომარეობის გამო, ეროვნული ბანკის დადგენილების თანახმად, დროებით მართლაც ჰქონდა შეჩერებული განვადების გაცემა. თუმცა, 20 აგვისტოდან ბანკმა განაახლა სესხების გაცემა და უფრო მეტიც, 15-მდე ახალი ობიექტით გააფართოვა განვადების ქსელი.

უნდა აღინიშნოს, რომ განვადების პირობებში მოხდა მცირედი ცვლილება. კერძოდ, შემცირდა სესხის თანხა და განისაზღვრა შემდეგი თანხებით:

- ▲ თიბისი ბანკის კლიენტებისთვის 200-დან 3000 ლარამდე
- ▲ არაკლიენტებისთვის 200-დან 1000 ლარამდე

ასეთი სახის ცვლილებები სესხების, მათ შორის განვადებების გაცემის პირობებში, საქართველოს საბანკო ბაზარზე ჯერ კიდევ ომამდე დაიწყო და გამოწვეული იყო გლობალური ფინანსური კრიზისის გავლენით.

თიბისი ბანკი უახლოეს მომავალში გეგმავს ძველი პირობების აღდგენას და მრავალ საინტერესო სიახლეს პირდება მომხმარებლებს.

***წინა რუბრიკაში ამოვიკითხე, რომ სესხებზე პროცენტის მომატება გამოიწვია ფინანსური ინსტიტუტებიდან თანხების მოზიდვის გართულებამ და მოზიდული რესურსების გაძვირებამ. მაინტერესებს, რამდენად მოსალოდნელია, რომ მომავალში სულ შეგვიწყვიტონ ასეთი დაფინანსება?***



**თამარ კაკულია –**
თიბისი ბანკის საინვესტიციო ბანკის ვიცე პრეზიდენტი:

შემიძლია დაგამშვიდოთ და გითხრათ, რომ დღევანდელი ვითარების მიუხედავად, ალბათობა იმისა, რომ უცხოურმა საფინანსო ინსტიტუტებმა დაფინანსება შეუწყვიტონ საქართველოს, თითქმის არ არსებობს.

პირიქით რაც უფრო ძლიერდება კრიზისი, მით უფრო იზრდება უცხოური ცენტრალური ბანკების მიერ ფინანსური სისტემისთვის გამოყოფილი თანხების მოცულობა. ამის მაგალითად ისიც გამოდგება, რომ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ამერიკის, იაპონიის, ინგლისის, ევროპისა და სხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკები ასობით მილიარდ დოლარს ხარჯავენ ფინანსური სისტემის გადასარჩენად და უფრო მეტიც, ამცირებენ საპროცენტო განაკვეთებს, რათა მაქსიმალურად შემცირდეს კრიზისის უარყოფითი შედეგები.

რაც შეეხება კონკრეტულად თიბისი ბანკისთვის გამოყოფილ თანხებს, მოგახსენებთ, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა, როგორიც არის EBRD, IFC, FMO ამ მოვლენებთან დაკავშირებით გაზარდეს თიბისი ბანკის დაფინანსების ლიმიტები.

ჩვენ უკვე ვასრულებთ მუშაობას 220 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ფინანსური რესურსის მოზიდვაზე სხვადასხვა ინსტიტუტებიდან, რომლის ჩარიცხვაც დაიწყება ჯერ კიდევ 2008 წლის ბოლომდე და დასრულდება 2009 წლის პირველ ნახევარში. აღნიშნული რესურსით კი, მოხდება როგორც ბანკის კაპიტალის განმტკიცება, ასევე საკრედიტო პორტფელის ზრდის დაფინანსება.

# სასამართლომ ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა

*უზენაესი სასამართლოს პრესსამსახურის ინფორმაციით, მიმდინარე წლის 10 თვის მონაცემებით, რაიონულმა და საქალაქო სასამართლოებმა 164 საქმეზე 210 პირის მიმართ გამოიტანეს ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი, სააპელაციო სასამართლოებმა კი იმავე პერიოდში, 94 საქმეზე 122 პირის მიმართ დაადგინეს ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი.*

1 ნოემბერს გორის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენიც სწორედ ნაწილობრივ გამამართლებელ განაჩენთა კატეგორიას მიეკუთვნება.

ალექსანდრე უ-ს, მიხეილ ლ-სა და მანუჩარ დ.-ს გამოძიება ყაჩაღობის მომზადებაში, ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვასა და დამზადებაში სდებდა ბრალს.

განსასჯელებისთვის წაყენებული ბრალის მთავარი ნაწილი ყაჩაღობის მომზადებას ეხებოდა. კერძოდ, ბრალდების მტკიცებით, მათ გორში მცხოვრები ერთ-ერთი ქალბატონის ბინის დაყაჩაღება და იქიდან 50 ათასი დოლარის წამოღება ჰქონდათ გამიზნული. თუმცა, როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, პოლიციამ ოპერატიული ინფორმაციის მეშვეობით გაიგო მათი ჩანაფიქრის შესახებ და სამივე მათგანი დააპატიმრა.

სამართალდამცველებმა ალექსანდრე უ-ს ბინის ჩხრეკის შედეგად ცეცსლსასროლი იარაღი, ვაზნები და ხელყუმბარა ამოიღეს. ასევე, ცეცხლსასროლი იარაღი, ვაზნები და ხელყუმბარა ამოიღეს მიხეილ ლ-სა და მანუჩარ დ-ს პირადი ჩხრეკის დროს.

სამივე განსასჯელს საკმაოდ მძიმე დანაშაულის ჩადენაში ედებოდათ ბრალი, თუმცა არც ერთი მათგანი მათთვის წაყენებულ ბრალს არ აღიარებდა.

საქმე განსახილველად გორის რაიონულ სასამართლოს გადაეცა. სასამართლომ მოუსმინა მხარეებს, გააანალიზა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ განსასჯელების პოზიცია მათი უდანაშაულობის შესახებ ნაწილობრივ უნდა გაზიარებულიყო. კერძოდ, სასამართლომ განსასჯელებს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული - ყაჩაღობის მომზადება მოუხსნა და ისინი ამ ნაწილში გაამართლა.

როგორც გორის რაიონული სასამართლოს განაჩენში წერია, მოსამართლემ ეს გადაწყვეტილება სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებების გაანალიზების შედეგად მიიღო.

თუმცა, იმავე განაჩენის თანახმად, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია განსასჯელებისთვის დანარჩენ ნაწილში წაყენებული ბრალდება.

**„სასამართლომ ასევე ყოველმხრივ და ობიექტურად შეამოწმა საქმეში არსებული მტკიცებულებები, შინაგანი რწმენით შეაფასა თითოეული მათგანი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობა საკმარისი იყო წაყენებული ბრალის დანარჩენ ნაწილში განსასჯელთა გასამტყუნებლად,“** - ასეთია სასამართლოს საკმაოდ ვრცელი და დასაბუთებული განაჩენის ბოლო ნაწილი.

ბრალდების ის ნაწილი, რომელშიც სასამართლომ განსასჯელები გაამართლა, რვიდან თორმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა.

საბოლოოდ, გორის რაიონულმა სასამართლომ სამივე განსასჯელს 6-6 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმის გადახდა დააკისრა.

სასამართლოს ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენით განსასჯელებს 18-წლიანი სასჯელი 6 წლამდე შეუმცირდათ.

*საკუთარი ინფორმაცია*

### საჯარო რეესტრის თბილისის სამსახურს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, კონსტანტინე იოსელიანი ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის სექტორის უფროსად მუშაობდა. მას უმაღლესი ეკონომიკური განათლება აქვს. სხვადასხვა დროს მუშაობდა მიწის მესაკუთრეთა დაცვის ასოციაციაში, ეკონომიკური განვითარების სამინისტროში და სხვა უწყებებში. კონსტანტინე იოსელიანმა გენრიეტა მუმლაძე შეცვალა. **ინტერპრესნიუსი**

### პოლიციელის დაკავება ქრთამის აღების ფაქტზე

შს სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ქრთამის აღების ფაქტზე ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის სამმართველოს თანამშრომელი გიორგი ქელდიშვილი დააკავა. სამინისტროს ინფორმაციით, ქელდიშვილმა საპროცესო შეთანხმების გაფორმებაში დახმარების სანაცვლოდ მოქალაქისგან ქრთამი - 500 აშშ დოლარი აიღო. გამოძიებას აწარმოებს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია. **ინტერპრესნიუსი**

### „საქართველოს ბანკის" ბანკომატი გატეხეს

თბილისში, მელიქიშვილის N15-ში „საქართველოს ბანკის“ ბანკომატი გატეხეს. ბანკომატი ვალუტის გადამცვლელ ჯიხურში იყო განთავსებული. ჯერჯერობით უცნობია, რა რაოდენობის თანხაა წაღებული. სამართალდამცველები ამასთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ. როგორც ქუჩის მცხოვრებლები ამბობენ, ქურდები ვალუტის გადამცვლელ პუნქტში, სავარაუდოდ, შენობის სარდაფიდან შევიდნენ. **ინტერპრესნიუსი**

### საზოგადოებრივი ადვოკატურის წარმატება

იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის ქართლის ბიუროს ადვოკატის იოსებ გაბიევის შუამდგომლობით, განსასჯელს სასჯელი შეუმსუბუქდა. მიხეილ ლ.-ს ბრალი ედებოდა ყაჩაღობის მომზადებაში, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებასა და ცივი იარაღის ტარებაში. ბრალდების მხარის მოთხოვნის საფუძველზე, განსასჯელს 18 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა. საზოგადოებრივი ადვოკატის ძალისხმევით კი, მიხეილ ლ.-ს სასამართლომ ყაჩაღობის ბრალდება სრულად მოუხსნა და დამნაშავედ ცნო მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებასა და ცივი იარაღის ტარებაში. საბოლოოდ, მას 18 წლის ნაცვლად, 6 წლითა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. **მედიანიუსი**

### სახალხო დამცველის მორიგი მოხსენება

2 დეკემბერს სახალხო დამცველი მორიგ მოხსენებას წარადგენს. ამჯერად სოზარ სუბარი საზოგადოებას წამების, სასტიკი, არადამიანური მოპყრობის, დასჯის, აკრძალვისა და გაუჩინარების ფაქტებს გააცნობს. საანგარიშო პერიოდი 2008 წლის პირველი ნახევარს მოიცავს და მასში შესულია ისეთი გახმაურებული საქმეები, როგორიცაა როინ შავაძის მკვლელობა და დავით ცინდელიანის გაუჩინარება. მოხსენების პრეზენტაცია სახალხო დამცველის ოფისში გაიმართება. პრეზენტაციაზე მიწვეულნი არიან პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. **ჯი-ეიჩ-ენი**

# საგამოძიებო ექსპერიმენტი და წამებში გათვლილი დანაშაული

*რუსეთის გენერალური პროკურატურა მზად არის ითანამშრომლოს ინტერპოლთან, ჟურნალისტ ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის უშუალო შემსრულებლების დასაკავებლად, რომლებზეც საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული. „ჩვენთვის ცნობილია, ამ მკვლელობის შემსრულებლის ვინაობა. ცოტა ხნის წინ შევხვდი ინტერპოლის გენერალურ დირექტორს. ვისაუბრეთ მკვლელობის უშუალო შემსრულებლის დაკავების თაობაზე და, ამჟამადაც აქტიურად ვმუშაობთ ამ მიმართულებით,“ - აცხადებს რუსეთის გენერალური პროკურორი იური ჩაიკა.*

გენპროკურორის თქმითვე, პროკურატურა ჟურნალისტის მკვლელობის შემკვეთთა ვინაობის დასადგენად გამოძიებას აგრძელებს.

**„ვფიქრობ, ჩვენ სწორი მიმართულებით მივდივართ,“** - ამბობს იური ჩაიკა.

გუშინ, ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმის განმხილველ სასამართლო პროცესზე, ბრალდების მხარემ ნაფიც მსაჯულებს მორიგი მტკიცებულებები წარუდგინა.

სახელმწიფო ბრალმდებელმა გამოაქვეყნა საგამოძიებო ექსპერიმენტის დასკვნა, რომლის მიხედვით დადგინდა, დროის რა მონაკვეთში მოხდა მკვლელობა და რა დრო დასჭირდა ქილერს მის განსახორციელებლად.

გარდა ამისა, პროკურორმა ნაფიც მსაჯულებს განუცხადა, რომ გაშიფრულია მკვლელობის დღეს განხორცილებული სატელეფონო საუბრები. როგორც გუშინდელ პროცესზე გაირკვა, ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის დღეს, მკვლელმა ჟურნალისტის სახლის ტელეფონიდან დარეკა.

**„ამოღებულია ანა პოლიტკოვსკაიას სახლისა და მობილურ ტელეფონებიდან გამავალი და შემომავალი ზარები. მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ გარდაცვლილის სახლის ტელეფონიდან დაირეკა, შემოწმდა უამრავი ნომერი. საბოლოოდ, აღმოჩნდა, რომ პოლიტკოვსკაიას ბინის ტელეფონიდან მკვლელობის დღეს ერთი ზარი განახორციელა ერთ-ერთმა განსასჯელმა ჯაბრიელ მახმუდოვმა, დაურეკა ვინმე ხავე დისჩივოის,“** - განაცხადა სახელმწიფო ბრალმდებელმა.

პროკურორმა ხავე დისჩივოის ვინაობის დადგენა საამართლო პროცესზე ისურვა და განსასჯელ ჯაბრიელ მახმუდოვს მოსთხოვა, აეხსნა სასამართლოსთვის ვინ არის ხევე დისჩივოი.

**„ამის თაობაზე მხოლოდ მას შემდეგ ვილაპარაკებ, რაც ბრალდების მხარე მტკიცებულებებს სრულად წარმოადგენს,“** - განაცხადა განსასჯელმა ჯაბრიელ მახმუდოვმა.

რაც შეეხება საგამოძიებო ექსპერიმენტს, რომლის დასკვნაც პროკურორმა ნაფიც მსაჯულებს წარუდგინა. ექსპერიმენტს უნდა დაედგინა, რა დრო დასჭირდა ანა პოლიტკოვსკაიას სახლიდან მაღაზიამდე მისასვლელად და უკან - მაღაზიიდან სახლამდე დასაბრუნებლად. როგორც გაირკვა, სწორედ ამ დროს იმყოფებოდა ჯაბრიელ მახმუდოვი პოლიტკოვსკაიას სახლში. როგორ შეაღწია მან ჟურნალისტის სახლში და რატომ, ამის თაობაზე ბრალმდებელს არაფერი უთქვამს.

სახელმწიფო ბრალმდებელმა ნაფიც მსაჯულებს განუცხადა, რომ ჟურნალისტის საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში შესულ ქილერს 24 წამი დასჭირდა დანაშაულის განსახორციელებლად.

როგორც სასამართლო პროცესზე გაირკვა, 2006 წლის 7 ოქტომბერს ანა პოლიტკოვსკაიას საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში უცნობი პირი, რომელსაც ბეისბოლის ქუდი ეხურა, 16 საათსა და 01 წუთზე შევიდა. თავად ანა პოლიტკოვსკაია სადარბაზოში 16 საათსა 11 წუთზე შევიდა. მკვლელმა ხუთი გასროლა განახორციელა და 16 სათზე 12 წუთსა და 18 წამში დატოვა სადარბაზო.

სახელმწიფო ბრალმდებლის განცხადებით, ამას ადასტურებს სადარბაზოში დამონტაჟებული სათვალთვალო ვიდეოკამერა, სადაც ნათლად ჩანს, როგორ დატოვა ქილერმა სადარბაზო სწრაფი ნაბიჯებით.

სასამართლო პროცესზე ნაფიც მსაჯულთა ჟიური ბრალდების მოწმეების ჩვენებებს მოისმენს.


**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თვალის დაავადებათა კვლევის და მკურნალობის მიმართულებით**

**გთავაზობთ:**

- თვალის სრული გამოკვლევა
- თვალის ვირუსული, ბაქტერიული, რევმატიული თანამედროვე მეთოდით მკურნალობა (კერატიტი, ირიდოციკლიტი, უვეიტი, ქორიორეტინიტი)
- წყლულოვანი ბლეფარიტები, დემოდეკოზი, დაქრიოცისტიტი
- გლაუკომა - საწყის სტადიაში გამოვლენა, მკურნალობა, მეთვალყურეობა
- შაქრიანი დიაბეტით დაზიანებული თვალის მკურნალობა - მეთვალყურეობა
- ბავშვთა მხედველობის დაცვა (სათვალის დადგენა, სიელმის მკურნალობა, თვალის გაზარმაცება, მიოპია)
- გერიატრიულ (ასაკობრივ) დაავადებათა მეთვალყურეობა და მკურნალობა
- თვალის დისტროფიული დაავადებების თანამედროვე მეთოდებით მკურნალობა

**პაციენტების მიღებას აწარმოებს ოფთალმოლოგიაში დიდი გამოცდილების მქონე უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი ზურაბ მაისურაძე**

მის: თბილისი, ვაკე, თენგიზ აბულაძის 20.
დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
ტელ.: 91 31 19; 91 32 42. მობ.: (899) 103282


# აფეთქება მოსკოვის ეკლესიაში

*მოსკოვის სამხრეთ ნაწილში, მედინსკის ქუჩაზე მდებარე წმინდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედის სახელობის ეკლესიაში აფეთქება მოხდა. აფეთქების დროს ეკლესიაში ლოცვა მიმდინარეობდა და იქ დაახლოებით 50 ადამიანი იმყოფებოდა.*

თავდაპირველად, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტაძარს ასაფეთქებელი მოწყობილობა 14-15 წლის მოზარდებმა ესროლეს. მოგვიანებით კი დადგინდა, რომ ეკლესიაში სლავური გარეგნობის 16-17 წლის ასაკის ორი ახალგაზრდა მამაკაცი შევიდა. ახალგაზრდებმა ეკლესიაში ჩანთა დატოვეს და გაუჩინარდნენ.

ცოტა ხანში, ყველასთვის მოულოდნელად, ჩანთიდან ბოლი ამოვიდა და მისი ეკლესიიდან გატანა გადაწყვიტეს. აფეთქებაც სწორედ ამ დროს მოხდა, რის შედეგადაც დაშავდა ეკლესიაში მყოფი ერთი ქალბატონი და ერთი მამაკაცი. ერთ-ერთი დაზარალებული ნამსხვრევით დაიჭრა, მეორემ კი დამწვრობა მიიღო. ორივე დაშავებული საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმების განმარტებით, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას საფრთხე არ ემუქრება.

შემთხვევის ადგილზე შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს გამნაღმველებმა იმუშავეს. მათი ინფორმაციით, ტაძარში თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა.

ოპერატიულ-სამძებრო ჯგუფის ინფორმაციით, აფეთქება სავარაუდოდ, სატანისტებმა მოაწყვეს. მათივე განმარტებით, აფეთქების რამდენიმე მონაწილის ვინაობა უკვე დადგენილია.

მოსკოვის მილიციამ უკვე შეადგინა დამნაშავეების ფოტორობოტები და ის პოლიციის ყველა სამორიგეოს გადაეცა. მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე ხულიგნობის, საბრძოლო მასალისა და ასაფეთქებელი ნივთიერების უკანონო გადატანის მუხლებით აღიძრა.

მოსკოვის საპატრიარქოში შეშფოთებას გამოთქვამენ ეკლესიისა და მღვდელმსახურების მიმართ ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტების გაზრდის გამო.

**„სამწუხაროდ, სასულიერო პირებზე თავდასხმებისა და ეკლესიის ძარცვის ფაქტებმა იმატა. მღვდელმსახურები და ტაძრები უკანონობის წინაშე ყველაზე დაუცველი არიან. საჭიროა, ვითარება კარდინალურად შეიცვალოს,“** - აცხადებს საპატრიარქოს პრესსამსახურის ხელმძღვანელი მამა ვლადიმერ ვიგილიანსკი. მისივე თქმით, ასეთ ფაქტებზე განსაკუთრებით ხშირად ივანოვო-ვოზნესენსკის ეპარქიიდან იტყობინებიან.

მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით არსებობს კიდევ ერთი ვერსია, რომ ეს იყო ეკლესიის წინააღმდეგ განხორციელებული ანგარიშსწორება.

**„როგორც ჩანს, ვიღაცებს არ მოსწონთ ეკლესიის აქტიური პოზიცია, რომელსაც ის ბოლო წლებში გამოხატავს საზოგადოებაში არსებულ სხვადასხვა მწვავე პრობლემებთან დაკავშირებით,“** - აცხადებს ეპისკოპოსი მარკი.

წმინდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედის სახელობის ტაძარი, რომელშიც აფეთქება მოხდა, ხის უნიკალური ნაგებობაა და მეოცე საუკუნის დასაწყისში აშენდა. ის ერთხელ უკვე დაწვეს, თუმცა რამდენიმე წლის წინ აღადგინეს.

2 დეკემბერი, სამშაბათი, 2008 წელი. №269 24 საათი

## კონდოლიზა რაისი ნატო-ს სამიტამდე ევროპულ ტურნეს იწყებს

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი მონაწილეობას მიიღებს ბრიუსელის ნატო-ს სამიტში, სადაც უკრაინასა და საქართველოსთან ალიანსის თანამშრომლობის საკითხს განიხილავენ, - იუწყება „ბი-ბი-სი“. ამასთან, რაისის ევროპული ტურნე ორშაბათს ლონდონიდან იწყება. სახელმწიფო მდივანი შეხვდება ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ გორდონ ბრაუნს და საგარეო საქმეთა მინისტრ დევიდ მილიბენდს. მოსალოდნელია, რომ საუბრის ძირითადი თემა ინდოეთში მოხდარი მოვლენები გახდება, სადაც ტერაქტების შედეგად 174 ადამიანი დაიღუპა და ასობით დაიჭრა. რაისი ინდოეთში ჩასვლასაც გეგმავს. „ინდოეთში ოთხშაბათისთვის დაგეგმილი ვიზიტის წინ კონდოლიზა რაისს ელოდება რთული მოლაპარაკებები ნატო-ს სამიტზე ბრიუსელში. ყველაზე რთული პრობლემა აქ რუსეთთან თანამშრომლობის, უკრაინასა და საქართველოსთან ურთიერთობების საკითხებია,“ - აღნიშნავს „ბი-ბი-სი“. **ინტერპრესნიუსი**

## მოსკოვის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში აფეთქება მოხდა

მოსკოვში, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში აფეთქება მოხდა. ამის შესახებ „ინტერფაქსი“ იტყობინება. აფეთქების შედეგად ტაძრის ორი მსახური ქალი დაშავდა. ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს. აფეთქების მიზეზი დადგენილი არ არის; ვრცელდება სხვადასხვა ინფორმაციები. ერთ-ერთი წყაროს ცნობით, ტაძარს ასაფეთქებელი პაკეტი 14-16 წლის მოზარდებმა ესროლეს. სხვები კი აცხადებენ, რომ ორმა უცნობმა მამაკაცმა ტაძარში ჩანთა დატოვა, ტაძრის მსახური ქალები ჩანთის გარეთ გამოტანას ცდილობდნენ, რა დროსაც აფეთქება მოხდა. მოსკოვის საპატრიარქოში შეშფოთებას გამოთქვამენ ეკლესიისა და მღვდელმსახურების მიმართ ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტების ზრდის გამო.

„სამწუხაროდ, გვიწევს სასულიერო პირებზე თავდასხმისა და ეკლესიათა ძარცვის ფაქტების რიცხვის ზრდის კონსტატირება. მღვდელმსახურები და ტაძრები უკანონობის წინაშე ყველაზე დაუცველნი არიან. საჭიროა, ვითარება კარდინალურად შეიცვალოს,“ - აცხადებს საპატრიარქოს მღვდელი, პრესსამსახურის ხელმძღვანელი ვლადიმერ ვიგილიანსკი. მისივე თქმით, ასეთ ფაქტებზე განსაკუთრებით ხშირად ივანოვო-ვოზნესენსკის ეპარქიიდან იტყობინებიან. მღვდელმსახური ტაძრების დაცვის მიზნით ვიდეოკამერების დადგმას ითხოვს. **ინტერპრესნიუსი**

## უზბეკეთმა ტაჯიკეთთან საზღვარი ჩაკეტა

უზბეკეთის ხელისუფლებამ ტაჯიკეთთან საზღვარი გაურკვეველი ვადით ჩაკეტა, - იუწყება საინფორმაციო სააგენტო „ფერგანა.რუ“. ასეთი გადაწყვეტილება უზბეკეთის მხარემ ცალმხრივად მიიღო. შეწყვეტილია ხალხის გატარება ორივე მიმართულებით. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ დიპლომატებისთვის, რუსეთის მოქალაქეებისა და ტაჯიკეთის მოქალაქეებისთვის, რომლებიც უზბეკეთიდან ბრუნდებიან. როგორც სააგენტო „აზია-პლუსი“ იუწყება, უზბეკეთის საელჩო ტაჯიკეთში ვიზებს ჩვეულებრივ რეჟიმში გასცემს. „ტაჯიკეთის საელჩოც უზბეკეთში ამ დრომდე ჩვეულებრივად გასცემს ვიზებს. თუმცა, საზღვარზე ვიზების მფლობელებს მესაზღვრეები ასეთი გადაძახილით ხვდებოდნენ - „არ შეიძლება, საზღვარი დაკეტილია,“ - იუწყება სააგენტო. ტაშკენტი გადაწყვეტილების მიზეზს არ ხსნის. „ფერგანა.რუ“-ს ინფორმაციით, საზღვარი დაკეტილია მომავალი დღესასწაულის - უზბეკეთის კონსტიტუციის დღის გამო (8 დეკემბერი). სააგენტოების ცნობით, 2000 წელს უზბეკეთმა ისლამისტი ექსტრემისტების შემოჭრის საფრთხის გამო ტაჯიკეთთან საზღვრები დანაღმა. **ინტერპრესნიუსი**

## ნარკომანების მიერ ჰეროინის შეძენის საკითხზე შვეიცარიაში რეფერენდუმი ჩატარდა

შვეიცარიაში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად გამოვლინდა, რომ მოსახლეობის უმეტესობა მომხრეა, გადაიხედოს გეგმა, რომლის მიხედვით, ნარკომანებს, მედიკოსთა თანხმობით, ჰეროინის შეძენა შეეძლებათ. 14 წლის წინ ამუშავებულ პროგრამას საარჩევნო უბნებთან გამოცხადებულმა 68 პროცენტმა დაუჭირა მხარი. ამასთან, შვეიცარიელთა უმეტესობა წინააღმდეგია მარიხუანის ლეგალიზაციისა. როგორც მოსალოდნელია, ნარკოტიკდამოკიდებულები ჰეროინის საჭირო დოზას სახელმწიფო კლინიკებში მიიღებენ, ხოლო შედარებით, „უიმედო კატეგორია“ ჰეროინს მხოლოდ ექიმთა თანდასწრებით მოიხმარს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ჭარბდოზირების პრობლემა.

ახალი კანონის მომხრეთა აზრით, ქვეყანაში საგრძნობლად იკლებს ნარკოტიკების გამო ჩადენილი დანაშაულებების რაოდენობა. **მედიანიუსი**

# იუშჩენკო საპარლამენტო არჩევნებზე უარს ამბობს

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება გადაიფიქრა. ამის შესახებ პრეზიდენტის სამდივნოს ხელმძღვანელმა ვიქტორ ბალოგამ ტელეარხ „ITVC“-სთან ინტერვიუში განაცხადა. მისი თქმით, პრეზიდენტმა გადაწყვიტა, რომ არჩევნების საკითხი დღეისათვის „მესამეხარისხოვანია“, რადგან ქვეყანა უმძიმეს ფინანსურ კრიზისს განიცდის.

**„არჩევნები არ იქნება. მაშინ, როდესაც დღის წესრიგში ისეთი დიდი პრობლემა დგას, როგორიც ეკონომიკური კრიზისია, პრეზიდენტს არჩევნები არ სჭირდება,“** - აღნიშნა ბალოგამ. მისი თქმით, უმაღლესმა რადამ, პირველ რიგში, 2009 წლის ბიუჯეტი უნდა მიიღოს და ახალი სპიკერი აირჩიოს.

**„პირველ ადგილზე საკანონმდებლო ორგანოსა და პოლიტიკური ძალების კონსოლიდაციის საკითხი დგას, მეორეზე - 2009 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისთვის საჭირო კანონპროექტების პაკეტის მიღება და მხოლოდ მესამე ადგილი უკავია არჩევნებსა და თანამდებობებს,“** - განაცხადა პრეზიდენტის სამდივნოს უფროსმა.

უმაღლესი რადას პლენარული სხდომა 2 დეკემბერს არის დაგეგმილი. დღის წესრიგში ერთ-ერთი პირველი საკითხი სპიკერის არჩევაა. ეს თანამდებობა 12 ნოემბერს არსენი იაცენიუკის გადადგომის შემდეგ ვაკანტური გახდა.



*იუშჩენკო არჩევნების გადადებას ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური კრიზისით ხსნის.*

AFP ' 2008

სხვათა შორის, იმის შესახებ, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები შეიძლება არ გაიმართოს, დიდი ხანია საუბრობენ. 10 ოქტომბერს პრეზიდენტმა იუშჩენკომ გამოსცა განკარგულება პარლამენტის უფლებამოსილებების შეწყვეტისა და უმაღლესი რადას ვადამდელი არჩევნების ჩატარების თაობაზე. ოქტომბრის შუა რიცხვებში პრეზიდენტმა პარლამენტის დათხოვნის განკარგულება შეაჩერა და არჩევნების თარიღი 7-დან 14 დეკემბრისთვის გადაიტანა, რათა რადასთვის ანტიკრიზისული კანონების მიღებისა და არჩევნების დაფინანსების საკითხზე კენჭისყრის საშუალება მიეცა.

გარკვეული დროის შემდეგ გაჩნდა ინფორმაცია, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ვადამ, შესაძლოა, უფრო გადაიწიოს ან საერთოდ არ ჩატარდეს. როგორც იუწყებოდნენ, იუშჩენკო არჩევნების უპერსპექტივობას მიხვდა და დაიწყო გზების ძებნა, როგორ შეიძლებოდა თავისი გადაწყვეტილების გაუქმებაც და იმავდროულად საკუთარი სახის შენარჩუნებაც.

**„იუშჩენკოს ამის ნიადაგზე უსიამოვნება მოუვიდა ბალოგასთან, რომელმაც მას რადას დათხოვნისკენ უბიძგა. პრეზიდენტი მიხვდა, რომ ის არჩევნებზე ვერავისთან ერთად ვერ წავიდოდა: „ნაშა უკრაინასგან“ აღარაფერი დარჩა, ხოლო პროექტი „ერთიანი ცენტრი“ ჩავარდა,“** - წერდა უკრაინული გაზეთი „24“ საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით.

რაც შეეხება დეპუტატებს, ისინი კულუარებში დიდი ხანია, საუბრობენ იმაზე, რომ არჩევნები, შესაძლოა, საერთოდ არ ჩატარდეს. პარლამენტართა უმრავლესობა არჩევნების ჩატარებაში დაინტერესებული არ არის, რადგან პოლიტიკური არასტაბილურობა მათი ბიზნესის განვითარებას ხელს უშლის, განსაკუთრებით ეკონომიკური კრიზისის პირობებში.

გარდა ამისა, ზემოთ აღნიშნული ვარაუდების დასადასტურებლად სხვა ნიშნებიც არსებობს - დაიწყო საარჩევნო შტაბების დახურვა, ხოლო ხელახალი არჩევნების ყველაზე მგზნებარე მხარდამჭერებმა - „რეგიონების პარტიამ“ და „ნაშა უკრაინამ“ - წინასაარჩევნო ყრილობები გაურკვეველი ვადით გადადეს.

ამავე დროს, იუშჩენკოს, რომელმაც ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე უარი სახსრების ეკონომიის მოტივით ახსნა, ახალი შანსი მიეცა, რომ ფინანსურ კრიზისზე ითამაშოს და თავისი საპრეზიდენტო ვადა ერთი-ორი წლით გაიხანგრძლივოს. ანალიტიკოსების აზრით, ასეთივე მანევრის ჩატარება მორიგ საპრეზიდენტო არჩევნებზეც შეიძლება, რომლის ჩატარების ვადამაც, პრინციპში, შესაძლოა, გადაიწიოს.

# გერმანულ-რუსული თანამშრომლობა

## მოლაპარაკების მთავარი თემა: საერთო ევროპული უსაფრთხოება

გერმანიის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა, რომელიც მომავალში კანცლერობისთვის ემზადება, მედვედევთან საერთო ევროპული უსაფრთხოების საკითხებზე მსჯელობისთვის მზადყოფნა გამოთქვა. შტაინმაიერი, გარკვეულწილად, ევროპის უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის შექმნის შესახებ რუსეთის ინიციატივას გამოეხმაურა.

**„ყოველთვის მოვითხოვდი ამ საკითხის შესახებ დებატებში რუსეთის მონაწილეობას. საერთო ევროპულ უსაფრთხოებაზე სასაუბროდ ჩემს რუს კოლეგასა და პრეზიდენტ დმიტრი მედვედევთან შესაფერის დროს ველოდი. ახლა საჭიროა დაძაბულობიდან ნდობის შექმნის ეტაპზე გადასვლა,“** - განაცხადა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გაზეთ „ჰანდელსბლატში“ ორშაბათს გამოქვეყნებულ ინტერვიუში.

შტაინმაიერის აზრით, პირველ რიგში, საჭიროა ყურადღების მიქცევა წარსულის ისეთი გადაუჭრელი პრობლემებისთვის, როგორებიც არის სტრატეგიული თავდასხმის შეიარაღების შემცირების შესახებ შეთანხმება და ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულება.



*ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა მედვედევთან საერთო ევროპული უსაფრთხოების საკითხებზე მსჯელობისთვის მზადყოფნა გამოთქვა*

**„დიალოგს დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მისასალმებელია რუსული წინადადების საფუძველზე ეუთო-ს საგანგებო შეხვედრის შესახებ საფრანგეთის პრეზიდენტის ინიციატივა. ვფიქრობ, „უსაფრთხოების ევროპული არქიტექტურა“ უკვე ამ კვირაში დაგეგმილ ეუთო-ს საგარეო საქმეთა მინისტერიალზე იქცევა მოლაპარაკების საგნად,“** - აღნიშნა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა.

ცნობისთვის, 2009 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ფედერალური კანცლერის პოსტზე წარსადგენად შტაინმაიერის კანდიდატურა გერმანიის „სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ“ მიმდინარე წლის ოქტომბერში დაამტკიცა. უფლება-მოვალეობის თვალსაზრისით უმაღლესი სახელმწიფო პოსტისთვის ბრძოლა ამჟამინდელ საგარეო საქმეთა მინისტრს ანგელა მერკელთან მოუწევს.

ევროპული საზოგადოების კოლექტიური უსაფრთხოების იდეა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა იაპონიაში გამართულ „დიდი რვიანის“ სამიტზე წამოაყენა. მედვედევის ინიცირებული თემა კიდევ უფრო აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც ჩეხეთმა საკუთარ ტერიტორიაზე ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის ელემენტების განთავსების შესახებ ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერა.

რუსეთის პრეზიდენტის განცხადებით, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ შეთანხმების გამო შექმნილი კრიზისული ვითარება იმას მიუთითებს, რომ „სისტემა უკვე ველარ ასრულებს საერთაშორისო ფინანსური სისტემის დაბალანსებულ მდგომარეობაში შენარჩუნების ამოცანას.“ გლობალური უსაფრთხოების მოქმედ სისტემას არ შეუძლია „სამხედრო ავანტიურების“ ალკვეთა.

**„იგი ვერ გვაძლევს იმის გარანტიას, რომ ესა თუ ის სახელმწიფო არ მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ჯაჭვური რეაქციის შედეგად საერთაშორისო ფინანსურ კავშირებზე აისახება,“** - აღნიშნა დმიტრი მედვედევმა.

ერთიანი ევროპული უსაფრთხოების თემაზე მსჯელობისთვის რუსეთის პრეზიდენტს არც ანგელა მერკელთან შეხვედრისას აუვლია გვერდი.



**მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი** იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე ინსტიტუტის კოსმოფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერთანამშრომელი, მაღალკვალიფიციური მკვლევარი და ექსპერიმენტატორი

**დემურ ბოჩიკაშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# რევიუ

## მაიკლ კენა თბილისშია, მისი "ფრანგული პეიზაჟები" - "ქარვასლაში"

სოფო კილასონია

დიდი ხმაური არ ატეხილა, მაგრამ ვისთვისაც მისი სახელი და გვარი ძალიან უცხო არ არის, ის ახლობლებს მოუწოდებს რომ დღეს, 18 საათზე თბილისის ისტორიის მუზეუმში მივიდეს, თანაც აუცილებლად. შეტყობინებები ამის მსგავსია: „თბილისში მაიკლ კენაა ჩამოსული, „ქარვასლაში“ მისი გამოფენა იხსნება. კენა - მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფოტოგრაფი...“ და ამგვარ შეტყობინებათა შინაარსი უტყუარია. ის მართლაც ძალიან ცნობილი ფოტოხელოვანია და ის მართლაც საქართველოშია. გუშინ ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრში მედიას შეხვდა. ეროვნული მუზეუმის საკონფერენციო დარბაზში - ქართველ ფოტოხელოვანებს. ამ საღამოს კი ნებისმიერს შეხვდება, ვინც „ქარვასლაში“ მისვლას არ დაიზარებს.

დაიბადა (1953 წელი) და გაიზარდა ინგლისის ჩრდილოეთში. ამ რეგიონის კლიმატი, ბუნება, მისი აღქმა, შეგრძნება და ცხოვრების სტილი, მრავალსაუკუნოვანი ისტორიითა და ნისლით, მის შემოქმედებაში მკაფიოდ აისახა, აისახა ნისლით, ბინდით, მდუმარებით, კიდევ ბევრი რამით, იმით, რაც კენას ფოტოგრაფიისთვის დამახასიათებელია.

11 წლიდან კათოლიკურ სემინარიაში სწავლობდა და მღვდლად კურთხევასაც არ გამორიცხავდა. მაგრამ 7 წლის შემდეგ, როცა არჩევანის დრო დადგა, მან ეკლესიას სახვითი ხელოვნება არჩია. ჯერ ბენბერის სახვითი ხელოვნების სკოლა, შემდეგ კი ლონდონის ფოტოხელოვნების კოლეჯი. მაშინვე ღამის პეიზაჟების გადაღებამ გაიტაცა. ფოტოგრაფიას თავდაპირველად სკოლაში გაეცნო. იზიდავდა მხატვრობაც, მაგრამ როგორც მოგვიანებით თავად აღნიშნავს, მაშინ ფიქრობდა, რომ მხატვრობით ინგლისში ვერც საკუთარ თავს და ვერც სხვას სამომავლოდ ვერ შეინახავდა. ალბათ ამიტომ, კოლეჯში ჩაბარების დროს, არჩევანი ორ მიმართულებაზე გააკეთა: ფოტოგრაფია და გრაფიკა. როცა გაიგო, რომ ფოტოგრაფიის კლასში ჩაირიცხა, გრაფიკის გამოცდაზე აღარც გასულა.

მისი ნამუშევრები გვაქცევენ სამყაროში, სადაც სიმშვიდეა, გარკვეული იდუმალება, არავითარი ხმაური და დესტრუქცია. კენა საკუთარ საქმეში ნამდვილი პოეტია, რომელიც თავისებური რიტმებითა და შეიძლება სისტემითაც კი თანამედროვეობაში რომანტიკულ პოეზიას ქმნის შავისა და თეთრის თანაარსებობით, ანდა კომფლიქტით, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

კოლეჯში კენა კომერციულ, სარეკლამო ფოტოგრაფიას ითვისებდა. მაგრამ როცა რაღაც უნდა გადაეღო, უბრალოდ და თავისთვის, ეს რაღაც ყოველთვის პეიზაჟი გახლდათ. ამ პეიზაჟებს იღებდა ან დილით, ძალიან ადრე, ანდა გვიან საღამოს. ეს ხდებოდა მაშინ, როცა კოლეჯში მიდიოდა, ან იქიდან ბრუნდებოდა და კიდევ დასვენების დღეებში, ქალაქგარეთ. კოლეჯი საკუთესო შედეგებით 1976 წელს დაამთავრა და თითქმის მაშინვე აშშ-ში აღმოჩნდა. ნიუ-იორკის შემოგარენში ზაფხულობით სასტუმროში მუშაობდა. დროდადრო კი მეგაპოლისში მიდიოდა და ფოტოგალერეებში დადიოდა. ის რასაც ნიუ-იორკში ხედავდა, არსობრივად განსხვავდებოდა იმისგან, რაც ლონდონში იფინებოდა. სწორედ მაშინ აღმოაჩინა კენამ, რომ შეიძლებოდა მხატვრული ფოტოგრაფიითაც ეცხოვრა და ჰქონოდა შემოსავალი.

მოგვიანებით მაიკლ კენა სან-ფრანცისკოში გადავიდა, სადაც შეხვდა რუთ ბერნჰარდს. ამ უკანასკნელმა კენაზე დიდი გავლენა იქონია. კენა მისი ასისტენტი გახდა.

„ეს გახლდათ გარდამტეხი მომენტი ჩემს ცხოვრებაში“ - იხსენებს მაიკლ კენა - „მე მანამდე ნანახი არ მქონდა, რომ ნეგატივი ასეთი რადიკალური სუბიექტურობით დაებეჭდა ვინმეს. რუთი მეუბნებოდა, ნეგატივისთვის შემეხედა, როგორც მხოლოდ საწყისი ელემენტისთვის, რომლის მიღმაც იმალებოდა უსასრულო შესაძლებლობები. მანვე დამანახა, რამდენი ძალისხმევა იყო საჭირო, რომ ნეგატივი მექცია საბოლოო ანაბეჭდად, საბოლოო დასრულებულ გამოსახულებად. მე მასთან ვმუშაობდი თითქმის 1986 წლამდე. ეს გახლდათ 8 უძვირფასესი, უმნიშვნელოვანესი წელიწადი ჩემთვის“.

რაც შეეხება კომპოზიციას, ატოსფეროს... - მაიკლ კენაზე გარკვეული გავლენა მოახდინა ასევე ბილ ბრანტმა. საერთოდ კენას უყვარს აღნიშვნა იმისა, რომ მუდამ ხიბლავდა მიებაძა მათთვის, ვისი ხელოვნებითაც აღფრთოვანებული გახლდათ. „მე მათ გვარებს ჩემი ფოტოების სათაურებში ვრთავ, როცა ეს შესაძლებელია, ეს უბრალოდ, ნიშნად ჩემი მათდამი პატივისცემისა. რაც შეეხება ბრანტს, მის გარეშე მე, მაიკლ კენა, როგორც ფოტოგრაფი არ ვიარსებებდი“.


ხათია ჯიჯეიშვილის ფოტო
მაიკლ კენა

დღეს, კენას ნამუშევრები მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში - აზიაში, ავსტრალიაში, ევროპასა და აშშ-ში, ოცამდე მუზეუმშია დაცული. ყოველ წელს მსოფლიოში კენას თხუთმეტამდე პერსონალური გამოფენა იმართება.

კენა ქმნის ხშირად გამაოგნებლად ნატიფსა და დახვეწილ ფოტოგრაფიას. იღებს ბაღებს, საწარმოო ობიექტებს, შენობებს, სანაპიროებს. წყალი მის ფოტოებში გადაიქცევა უსასრულო, ნისლიან სივრცედ, ადამიანის ხელით კონსტრუირებული გეომეტრიული ფორმები კი დრამატული, ღრუბლიანი ზეცის ფონზე იკითხება.

ის დღესაც უპირატესობას ანიჭებს გადაიღოს ღამით, ანდა გამთენიისას. ალბათ აქედან მოდის უცნაური სიმშვიდის განცდაც. იღებს ისევ შავ-თეთრ ფოტოს და უკვე ათეული წლებია ერთგული რჩება საკუთარი სტილის.

ბევრისთვის და მათ შორის ჩემთვისაც კენა რომანტიკოსიცაა და ეგზისტენციალიც ის ძალიან ინდივიდუალური, ორიგინალური ხელწერით და პეიზაჟებით ამყარებს სამყაროს განუმეორებლობის იდეას. იმ სამყაროსი, რომელიც ხშირად ადამიანისთვის და ხანაც ადამიანის ჩარევით იქმნება და მაინც შეურყვნელი და უნაკლოა. სწორედ ამიტომ კენას პეიზაჟები ჰუმანურიცაა და მაშინაც კი, როცა ადამიანები არ ჩანან, მათი არსებობა იგრძნობა.

სწორედ ასეთ შეგრძნებებს აღძრავს მაიკლ კენას ის ფოტოსერია, რომელსაც დღეიდან 20 დეკემბრამდე თბილისის ისტორიის მუზეუმი და საფრანგეთის საელჩო საქართველოში ერთობლივად გვთავაზობენ. გაისმის კითხვა რატომ საფრანგეთის საელჩო? ამ კითხვაზე კი ორი პასუხი არსებობს. 1. როცა საქმე ეხება მსოფლიოში ცნობილ ხელოვანს, მისი ეროვნება არაფერია, რადგანაც მისი ხელოვნებისადმი გამოწვეული ინტერესი და მოწონება წარმომავლობასა და წვრილმანებს არ სცნობს. 2. კენას სერიას, რომელიც „ქარვასლაში“ გამოფინეს „ფრანგული პეიზაჟი“ ჰქვია.

ეს ექსპოზიცია მაიკლ კენას მიერ უკანასკნელი 30 წლის მანძილზე საფრანგეთში გადაღებული ფოტოების სერიას მოიცავს. გამოფენაზე წარმოდგენილია ამ სერიიდან შერჩეული 40 ფოტო.

2001 წელს საფრანგეთის კულტურის სამინისტრომ მაიკლ კენას ხელოვნების კავალერის საპატიო წოდება მიანიჭა. სხვა წოდებათა შორის, მას ასევე მიღებული აქვს ხელოვნების საპატიო მოღვაწის წოდება (აშშ, ბრუკსის ინსტიტუტი, 2003), ოქროს საფრონის ჯილდო (ესპანეთი, 1996), იმოჟენ კუნინგემის ჯილდო (აშშ, სან ფრანცისკო, 1981).

გამოფენა საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქების, ფრანგული ბაღების (ვერსალი, ტუილრი, ვო ლე ვიკონტი, ფონტენბლო, სენ-კლუ, სო) და საფრანგეთის ზღვისპირეთის (ნიცა, სენ ნაზარი, სენ მალო, სენ მიშელი) პეიზაჟებს აერთიანებს. ამ გამოფენაზე, პეიზაჟებსა და კიდევ სხვა მრავალზე მაიკლ კენას შესახებ შემდეგ სტატიაში, ანუ შემდეგ ნომერში ვისაუბრებთ.

## მუსიკოსის კარიერა თეატრში - სიკვდილის შემდეგ

ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ მსახიობ დევიდ ტენანტს, რომელიც შექსპირის თეატრის სამეფო სცენაზე, რეჟისორ გრეგ დორანტის მიერ დადგმულ სპექტაკლში ჰამლეტს განასახიერებს, „საწყალი იორკის“ შესახებ წარმოთქმული მონოლოგისას ხელში ნამდვილი თავის ქალა უჭირავს.

როგორც აღმოჩნდა, პოლონელმა კომპოზიტორმა და პიანისტმა ანდრე ჩაიკოვსკიმ, რომელიც ბრიტანეთში ცხოვრობდა და სიმსივნისგან 1982 წლის ივნისში, 46 წლის ასაკში გარდაიცვალა, საკუთარი სხეული მედიკოსებს დაუტოვა, თავის ქალა კი - სტრატფორდის თეატრს. მან ანდერძში მიუთითა, რომ სურდა სცენაზე სიკვდილის შემდეგ „გამოსულიყო“.

მუსიკოსის თავის ქალა, ორი წლის განმავლობაში, თეატრალური შენობის სახურავზე „ნიავდებოდა“, შემდეგ კი სპეციალურ კონტეინერში მოათავსეს, რომელიც თეატრის გარდერობში ინახებოდა. 1984 წელს, თავის ქალასთან მსახიობმა როჯერ რისმა ფოტო სპექტაკლ „ჰამლეტის“ აფიშისათვის გადაიღო.

კიდევ ხუთი წლის შემდეგ, ჰამლეტის როლის სხვა შემსრულებელი - მარკ რეილენსი, თავის ქალასთან რეპეტიციებს გადიოდა, თუმცა, მოგვიანებით განაცხადა, რომ „კარგად ვერ არის“ და საბოლოოდ, მაყურებლის წინაშე თავის ქალის ბუტაფორიით წარსდგა.

ანდრე ჩაიკოვსკის უკანასკნელი ნება მხოლოდ 2008 წლის აგვისტოში შესრულდა, როდესაც, ტენანტის სახით, როგორც იქნა ცრურწმენებისგან თავისუფალი მსახიობი მოიძებნა.

იმის გამო, რომ კომპოზიტორის თავის ქალა ას წელზე ნაკლებს არ ითვლის, თეატრის დირექციას ადამიანის ქსოვილის გამოყენებისათვის კონტროლის სამმართველოსგან განსაკუთრებული თანხმობა უნდა მიეღო.



„ჰამლეტის“ ახალი ვერსია სტრატფორდის სცენაზე, 22 -ჯერ, დიდი წარმატებით ითამაშეს. რის შემდეგაც, რეჟისორმა გრეგ დორანმა საიდუმლო „დეილი ტელეგრაფისათვის“ მიცემულ ინტერვიუში გაამხილა.

გრეგ დორანის სიტყვების თანახმად, მაყურებელსა და კრიტიკოსებს სცენაზე ნამდვილი თავის ქალის გამოყენების ამბავი რომ თავიდანვე სცოდნოდათ, ისინი მხოლოდ ამაზე ილაპარაკებდნენ და პიკანტური დეტალი მთელ სპექტაკლს დაჩრდილავდაო...

9 დეკემბრიდან დასი „ჰამლეტს“ ლონდონის თეატრში - „ნოველო“ ითამაშებს. თუმცა, შემდგომშიც გამოიყენებენ თუ არა მუსიკოსის თავის ქალას, ჯერ კიდევ უცნობია.

ანდრე ჩაიკოვსკის რაც შეეხება, მისი ნამდვილი სახელია - რობერტ ანჯეი კრაუტჰამერი. ის ებრაელის ოჯახში დაიბადა. მის მშობლები ვარშავის გეტოში დაიღუპნენ, შვიდი წლის ბიჭუნა კი ნაცისტების მიერ ოკუპირებული პოლონეთიდან ყალბი საბუთებით გაიყვანეს. მას ზრდიდა ბებია, რომელიც ოქსფორდში ცხოვრობდა.

## „ჩვენებურებმა" პოლონეთში კონცერტი გამართეს

ფოლკლორული ანსამბლი „ჩვენებურები“ გუშინ პოლონეთში გაემგზავრა.

ანსამბლმა ვარშავაში პოლონელ მთიელთა ფოლკლორულ ანსამბლ „PSIO CREW“-თან ერთად კლუბ „პალადიუმში“ კონცერტი გამართა. ორივე ანსამბლი მსმენელის წინაშე ექსპერიმენტალური პროგრამით წარსდგა, რომლის დროსაც ქართული და პოლონური ხალხური მუსიკის ერთობლივი იმპროვიზაციებიც იქნა შესრულებული.

„PSIO CREW“-ის გასტროლები საქართველოშიც იყო დაგეგმილი, მაგრამ აგვისტოს მოვლენების გამო ვიზიტი მომავალი წლის გაზაფხულისთვის გადაიდო.

პროექტი ვარშავის მერიის მხარდაჭერით განხორციელდა. ღონისძიებას კი ორგანიზებას ვარშავის კულტურის ინსტიტუტი „Stoleczna Estrada“ უკეთებდა. **ინტერპრესნიუსი**

## გურანდა გაბუნიას ვარსკვლავი გაიხსნება

მარჯანიშვილის თეატრის წინ გურანდა გაბუნიას ვარსკვლავი გაიხსნება.

როგორც მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა დათო ოქიტაშვილმა განაცხადა, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობის გურანდა გაბუნიას ვარსკვლავი 15 დეკემბერს გაიხსნება. ღონისძიება მსახიობის 70 წლის საიუბილეო საღამოს შემდეგ გაიმართება.

მართალია, მსახიობის იუბილე 26 აგვისტოს იყო, თუმცა აგვისტოს მოვლენების გამო საღამოს ჩატარება ვერ მოხერხდა და ღონისძიება დეკემბრისათვის დაგეგმეს.

მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე გურანდა გაბუნიას შემოქმედებით საიუბილეო საღამოზე წარმოდგენილი იქნება ნაწყვეტები სპექტაკლებიდან: „მიტევების დღე“, რომელიც რეჟისორმა ქეთი დოლიძემ სპეციალურად მსახიობისთვის დადგა, „პროვინციული ამბავი“, „შიში“ და „მაყურებლისათვის ამის ნახვა აკრძალულია“.

გურანდა გაბუნიას მიღებული აქვს სხვადასხვა ჯილდოები. არის საქართველოს დამსახურებული არტისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, ასევე კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი. შესრულებული აქვს უამრავი თეატრალური თუ კინოროლი.

აღსანიშნავია, რომ გურანდა გაბუნიას ვარსკვლავი რიგით მეოთხე იქნება სოფიკო ჭიაურელის, გივი ბერიკაშვილის და ოთარ მეღვინეთუხუცესის ვარსკვლავების შემდეგ.

გურანდა გაბუნიას ვარსკვლავის გახსნა 15 დეკემბერს 19:00 საათზეა დაგეგმილი მარჯანიშვილის თეატრის წინ. **პირველი**

## „მიმინოს" გმირები - ავლაბრის სკვერში

ოპერისა და ბალეტის თეატრი 12, 13 და 14 დეკემბერს კინომსახიობისა და მომღერლის ბუბა კიკაბიძის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კონცერტებს უმასპინძლებს.

კონცერტებზე ბუბა კიკაბიძის ყველა სიმღერა შესრულდება, აგრეთვე მომღერლის სახელობის ღვინის პრეზენტაცია გაიმართება.

ღონისძიებას დათო დიოაშვილი შმაგი სავანელთან ერთად დგამს.

ამასთან, ავლაბრის სკვერში 14 დეკემბერს ზურაბ წერეთლის მიერ შესრულებული „მიმინოს“ პერსონაჟების ბუბა კიკაბიძის, ევგენი ლეონოვის და ფრუნზიკ მკრტიჩიანის სკულპტურული კომპოზიცია გაიხსნება.

დაგეგმილი კონცერტის შესახებ ბუბა კიკაბიძემ თავის პროდიუსერთან ერთად „შერატონ მეტეხი პალასში“ გამართულ კონფერენციაზე ისაუბრა. **პირველი**

# ერთი ომის ორი ისტორია

### ბასკურმა კინოსტუდიამ აგვისტოს მოვლენებზე ფილმი გადაიღო

ია ვეკუა



სცენა ფილმიდან

აგვისტოს რამდენიმე დღე, რომლებმაც მთელი მსოფლიო შეძრა, ჩვენი ცხოვრება კი სამუდამოდ შეცვალა, ნელ-ნელა უკვე გასცდა პოლიტიკის საზღვრებს და, როგორც მსგავსი მოვლენების შემთხვევაში ხდება ხოლმე, უკვე ხელოვნების ნაწილადაც იქცევა. საქართველო-რუსეთის ომის შესახებ უკვე დაიწერა რამდენიმე მხატვრული ნაწარმოები, რეჟისორი ნინო კირთაძე დოკუმენტურ ფილმს იღებს, ხოლო ორიოდე დღის წინ ფილმის გადაღება დაასრულა ბასკური კინოსტუდიის გადამღებმა ჯგუფმა, რომელიც საქართველოში სულ სხვა გეგმით ჩამოვიდა, უკან კი განსხვავებული მასალა წაიღო.

ბასკები ახლაც სამშობლოსკენ მიმავალ გზას ადგანან - ბილბაოდან თბილისში და უკან მგზავრობა რატომღაც ავტომობილებით გადაწყვიტეს. ერთ-ერთი მანქანის საბარგულში კი საქართველოში გადაღებული მასალა დევს. ფილმს ბილბაოში დაამონტაჟებენ და სრულყოფილ სახეს მისცემენ, შემდეგ გაიმართება პრემიერა მადრიდსა და თბილისში. მანამდე კი მისი გადაღების შესახებ მოგითხრობთ.

ბასკური სტუდია „კინოსკოპის“ გადამღები ჯგუფი საქართველოში ორიოდე კვირის წინ აგვისტოს მოვლენებზე დოკუმენტური ფილმის გადაღების განზრახვით ჩამოვიდა. არსებობდა კონკრეტული სცენარი, უფრო კი მისი ჩონჩხი, რომელზეც ფილმი უნდა აეგოთ, თუმცა მოულოდნელად გაჩნდა მხატვრული ფილმის გადაღების იდეა, რისთვისაც სცენარი რეკორდულად მცირე დროში დაწერეს. „სცენარის ავტორმა ზუსტად ორ დღეში დაასრულა მუშაობა. დროის ასეთ მცირე მონაკვეთში სრულმეტრაჟიანი ფილმის სცენარის დაწერა პრაქტიკულად შეუძლებელია, თუმცა მათგან უკვე აღარაფერი მიკვირდა, რადგან კინოზე შეყვარებული და კარგი ფილმის გაკეთების სურვილით შეპყრობილი ადამიანები არიან“, - ამბობს ფილმის პროდიუსერი ირაკლი ბაღათურია

ესპანელი რეჟისორის, მიგელ ანხელ ხიმენესის ფილმს „ორი“ ჰქვია, რასაც კონკრეტული დატვირთვის გარდა სიმბოლური მნიშვნელობაც აქვს - მასში ორი დამოუკიდებლად განვითარებული ისტორიაა მოთხრობილი და თანაც ორი მხარის, ორი აზრის ირგვლივ ერთიანდება. განსაკუთრებით საინტერესო კი სწორედ ეს ფაქტორია - როგორ გადმოსცემს რეალობას იმ ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც თავადაც პრაქტიკულად სეპარატისტულ მხარეს წარმოადგენენ. ბასკები ისევე იბრძვიან ესპანეთისგან დამოუკიდებლობისთვის, როგორც ვთქვათ აფხაზეთი, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ასე სურთ ბასკებს და გარეშე ხმებს არ არიან აყოლილი. როგორც ირაკლი ბაღათურია ამბობს, მათთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ აქ არსებულ პრობლემას საკმაოდ საღად აღიქვამენ, გააზრებული აქვთ, რეალურად საიდან დაიწყო ეს კონფლიქტი. გარდა ამისა, ბევრი რამ იციან ქართველებისა და ბასკების სიახლოვის შესახებ.

როგორც გითხარით, ფილმი ორი განსხვავებული ადამიანების ცხოვრებას ასახავს. ერთ-ერთის პერსონაჟია ახალგაზრდა ბიჭი (მის როლს გიორგი გოგუაძე თამაშობს) გორელია, ომის დაწყების შემდეგ კი დევნილად იქცევა და ბიძასთან ყაზბეგში მიემგზავრება. „ყაზბეგში გადაღებებისას საკმაოდ უცნაური ფაქტი მოხდა. სცენარის მიხედვით ბიჭი ბაბუასთან უნდა ჩასულიყო, რომლის როლზეც ადგილობრივი მოსახლე, არაპროფესიონალი მსახიობი გვყავდა შეთანხმებული. მან უეცრად გადაღებაზე უარი განაცხადა. ამიტომ ჩვენს სცენარისტს კიდევ ერთხელ მოუწია ცაიტნოტში მუშაობამ და რამდენიმე საათში ბაბუა ბიძად აქცია“, - იხსენებს ირაკლი ბაღათურია.

„ორის“ მეორე ისტორია კი ახალგაზრდა წყვილს ეხება (ხათუნა შურღაია და ბექა ქავთარაძე). ისინი თბილისში ცხოვრობენ, კონფლიქტის ადგილიდან საკმაოდ შორს, თუმცა ვხედავთ, თუ რამდენად ცვლის ომი ადამიანების ცხოვრებას. წყვილი მომავალზე იწყებს ფიქრს, თუმცა უფრო ნეგატიურ ჭრილში - ღირს თუ არა ოჯახის შექმნა, ღირს თუ არა შვილების გაჩენა, აქვთ თუ არა მათ საერთოდ მომავალი.

აღსანიშნავია, რომ ბასკურ „კინოსკოპს“ დიდი მხარდაჭერა გაუწია სტუდია „სინეტეკმა“, რომლემაც გადაღებები ტექნიკურად და დამხმარე პერსონალით უზრუნველყო. ამრიგად ფილმი ქართულ-ესპანური პროდუქციაა. ფილმის პრემიერა თბილისში სავარაუდოდ თებერვალში გაიმართება.

# უილიამ გიბსონი - ოსკაროსანი დრამატურგი

ამერიკის ქალაქ სტოკბრიჯში, 94 წლის ასაკში გარდაიცვალა დრამატურგი უილიამ გიბსონი (William Gibson), რომელიც ავტორია პიესისა „სასწაულის მომხდენი“, გვამცნობს „Associated Press“.

მისი ყველაზე ცნობილი ნაწარმოები - „სასწაულის მომხდენი“ („The Miracle Worker“) უილიამ გიბსონმა თავდაპირველად ჩაიფიქრა, როგორც სცენარი სატელევიზიო დადგმისათვის. თუმცა, 1959 წელს მან ის პიესად გადაამუშავა, რომელიც იმავე წელს ბროდვეის სცენაზე დაიდგა. „საოცარი მუშაკის“ დადგმამ „ტონის“ სამი პრემია დაიმსახურა.

უილიამ გიბსონის პიესის წარმატებამ განაპირობა ის, რომ მალე მასზე სრულმეტრაჟიანი ფილმიც გადაიღეს, რომელიც ეკრანებზე 1962 წელს გამოვიდა. ეკრანიზაციამ, რომელშიც მონაწილეობა თეატრალური დადგმის მსახიობებმა მიიღეს, ორი „ოსკარი“ მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ „ოსკარზე“, როგორც სცენარის ავტორი, უილიამ გიბსონიც იყო ნომინირებული. რამდენიმე თვის შემდეგ გამოვიდა მის კიდევ ერთ პიესაზე, სახელწოდებით „ორნი საქანელაზე“ („Two for the Seesaw“), გადაღებული ფილმი. ამ პიესის ეკრანიზაციაც წარმატებული აღმოჩნდა.

მომდევნო ორმოცი წლის განმავლობაში, უილიამ გიბსონმა ბროდვეის თეატრისათვის კიდევ რვა პიესა დაწერა. მათ შორის ყველაზე უფრო პოპულარული გახდა მონოსპექტაკლი „გოლდას აივანი“ („Golda s Balcony), რომელიც ისრაელის პრემიერ-მინისტრს გოლდა მეიერს შეეხებოდა.

2003 წელს უილიამ გიბსონმა პიესების წერს შეწყვიტა, რათა რომანებსა და მოთხრობებზე ემუშავა.

თავის ინტერვიუში, რომელიც მან 2003 წელს The Associated Press მისცა, მწერალმა განაცხადა: „შეთხზვის ხელოვნებას ხელეწიფება ყველაფერი, რაც მე ცხოვრებაში ყველაზე მეტად მეხმარებოდა“.

საერთაშორისო სუ ჯოკ
აკადემიის პროფესორი
**სიმონ გორელაშვილი**
გთავაზობთ

მთელი რიგი დაავადებების მკურნალობას
ქიმიური პრეპარატების
გამოყენების გარეშე
მსოფლიოში წლების მანძილზე გამოცდილი მეთოდებით:

სუ ჯოკ თერაპია, მანუალური თერაპია, ჩინური აკუპუნქტურა, ჰირუდოთერაპია, ფარმაკოპუნქტურა, აურიკულოთერაპია, ლაზეროპუნქტურა, ტვისტთერაპია, სილვა მეთოდი და სხვ.

**თქვენ გეძლევათ შესაძლებლობა ამ მეთოდების გამოყენებით განთავისუფლდეთ ისეთი პრობლემებისგან, როგორებიცაა ალერგია, კვანძოვანი ჩიყვი, საკვერცხეების კისტა. ნევროზი, დეპრესია, უნებლიე მოძრაობები, ნერვული ტიკები, ნევრიტები და ნევრალგიები (სამწვერა, სახის, საჯდომი ნერვის და სხვ.). ოსტეოქონდროზი, რადიკულიტი, დისკის თიაქარი, სქოლიოზი, ართრიტი. შარდის შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა. სიელმე, მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების დაქვეითება. კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის ეროზია-წყლულოვანი დაავადებები, ვენების ვარიკოზული გაგანიერება, თრომბოფლებიტები, ბრონქიტი, ბრონქული ასთმა, თმის ცვენა და სხვა მრავალი დაავადება.**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; მობ: 899 55 28 87;**

ნეტარ არიან მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ



სამთავროს დედათა მონასტერში, ბერი გაბრიელის საფლავზე ღვთის სასწაულით ფეხადგმული ჯაბა მურცხავლაძე ელის თქვენგან თანადგომას.

ჯაბასთვის თითო ლარი შეგიძლიათ გაიღოთ მაგთისა (200-344), ჯეოსელის (700-344), გაერთიანებული ტელეკომის (919-344) და საქართველოს ტელეკომის (822 009-344) სატელეფონო ნომრებზე დარეკვით

დამატებითი ინფორმაციისათვის: ქობულეთი, ციხისძირი
893 906-275

საქველმოქმედო სპეც-ანგარიში: "თი-ბი-სი" ბანკის ცენტრალური ფილიალი კოდი: 220101830; პ/ა 11701022

## შპს "საქართველოს რკინიგზა" 2008 წლის 2 დეკემბრიდან აცხადებს ტენდერს ოპტიკურ-ბოჭკოვანი სისტემის რესურსების გაზრდის (UPGRADE) და კლასტერული ნოდების დამატების შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს **საქონლის და თანმდევი მომსახურების შესყიდვის შესახებ** და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495.

სატენდერო დოკუმენტაცია და ტექნიკური დავალება გაიცემა 2008 წლის **2 დეკემბრიდან 22 დეკემბრის** ჩათვლით **<u>სატენდერ მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის</u>** წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ.№15, მე-3 სართ. შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**2. <u>შესყიდვის ობიექტი :</u>**

| ლოტი № | დასახელება და თავისებურებანი |
|---|---|
| | |
| 1 | *მონაცემთა შენახვის ოპტიკურ-ბოჭკოვანი სისტემის რესურსების გაზრდა (UPGRADE) და კლასტერული ნოდების დამატება* |

***<u>შენიშვნა:</u>***

- <u>აღნიშნული თანმდევი მომსახურეობა ("აფგრეიდი") უნდა განხორციელდეს ისე, რომ შპს "საქართველოს რკინიგზას" არ გაუუარესდეს უკვე არსებული ტექნიკის საგარანტიო მომსახურების პირობები (გარანტიის გაუქმება ან მოქმედების ვადის შემცირება)</u>

**3.** მიწოდების პირობა და ადგილი : **DDP თბილისი;**

**4.** მიწოდების ვადა: **ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 დღის განმავლობაში;**

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2008 წლის 22 დეკემბრის ჩათვლით** 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

<u>იურიდიული პირებისათვის :</u>

**1.** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

**2.** ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

**3.** სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, <u>რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.</u>

<u>ფიზიკური პირებისათვის :</u>

**1.** ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

**2.** პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

**3.** ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;

**4.** სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, <u>რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.</u>

**7. <u>ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :</u>**

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები და (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები (<u>არ დაიშვება ავანსი ან აკრედიტივი</u>).

2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში **<u>დღგ–ს გარეშე;</u>** უცხოურ ვალუტაში სატენდერო წონადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად

3. **გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა, ხელშეკრულების გაფორმებამდე, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%–ის ოდენობით,** რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ **<u>56-33-71 მაკა ჟუჟუნაშვილი;</u>** (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60; თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჟანიძე 56-46-96;)

<u>სატენდერო კომისია</u>

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

## შპს "საქართველოს რკინიგზა" 2008 წლის 2 დეკემბრიდან აცხადებს ტენდერს კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს **კომპიუტერული ტექნიკის** შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი. კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495.

სატენდერო დოკუმენტაცია და ტექნიკური დავალება გაიცემა 2008 წლის 2 დეკემბრიდან 22 დეკემბრის ჩათვლით <u>სატენდერ მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის</u> წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ.№15, მე-3 სართ. შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

2. <u>შესყიდვის ობიექტი :</u>

| ლოტი № | დასახელება და თავისებურებანი | ერთ. | რაოდ. | საგარანტიო ვადა (არანაკლებ) |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| 1 | ნოუთბუკი (Brand name Notebook - Intel® Core™ 2 Duo Processor T8300) | ცალი | 1 | 3 წელი |
| | | | | |
| 2 | ნოუთბუკი (Brand name Notebook - Intel® Core™ 2 Duo LV Processor SL9400) | ცალი | 2 | 3 წელი |
| | | | | |
| 3 | დამცავი დამაგრძელებელი | ცალი | 400 | 1 წელი |
| | | | | |
| 4 | კომპიუტერი BRAND NAME COMPUTER Intel® Celeron®-1024Mb-160Gb | ცალი | 78 | 3 წელი |
| | კომპიუტერი BRAND NAME COMPUTER Pentium Core 2 Duo-2.3Ghz-4Gb-2x250Gb | ცალი | 20 | |
| | მონიტორი LCD 17" | ცალი | 78 | |
| | მონიტორი LCD 19" | ცალი | 20 | |
| | | | | |
| 5 | უწყვეტი დენის წყარო / UPS 650VA | ცალი | 40 | 2 წელი |
| | უწყვეტი დენის წყარო / UPS Online 1000VA - 1 დამატებითი მისაერთებელი გარე ბატარეების ბლოკით მუშაობის ხანგრძლივობის გასაზრდელად | ცალი | 10 | 2 წელი |
| | | | | |
| 6 | პრინტერი ლაზერული შავთეთრი / Black and White Laser Printer | ცალი | 25 | 1 წელი |
| | | | | |
| 7 | მატრიცული პრინტერი მაღალი წარმადობის | ცალი | 3 | 3 წელი |
| | | | | |
| 8 | სკანერი ფერადი A3 | ცალი | 1 | 1 წელი |
| | | | | |
| 9 | ქსეროქსი (30 000 ფურც./თვე) - მაღალი წარმადობის ასლგადამღები აპარატი დამატებითი სახარჯი მასალებით | ცალი | 5 | 3 წელი |
| | | | | |
| 10 | ფლეშ-მეხსიერება / USB Stick | ცალი | 30 | 1 წელი |

***<u>შენიშვნა:</u>***

- *№4 ლოტში ყველა დასახელების პროდუქცია უნდა იყოს ერთი ფირმის, სერთიფიცირებული ბრენდი, სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის სერტიფიკატებით, ISO სერთიფიკატი, მწარმოებლის 3 წლიანი გარანტიით*
- საგარანტიო ვადის მოქმედების პერიოდში დაზიანებული კომპიუტერული/ქსელური ტექნიკის შეკეთება (შეცვლა) ხორციელდება შესაბამისი შეტყობინებიდან არაუმეტეს ორი კვირის ვადაში

**3.** მიწოდების პირობა და ადგილი : **DDP თბილისი;**

**4.** მიწოდების ვადა: **ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 დღის განმავლობაში;**

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2008 წლის 22 დეკემბრის ჩათვლით** 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

<u>იურიდიული პირებისათვის :</u>

**1.** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

**2.** ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

**3.** სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, <u>რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.</u>

<u>ფიზიკური პირებისათვის :</u>

**1.** ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

**2.** პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლ;

**3.** ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;

**4.** სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, <u>რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.</u>

**7. <u>ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :</u>**

**1.** ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული). სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები და (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა. პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები (<u>არ დაიშვება ავანსი ან აკრედიტივი</u>).

2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში **<u>დღგ–ს გარეშე;</u>** უცხოურ ვალუტაში სატენდერო წონადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად

3. **გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა, ხელშეკრულების გაფორმებამდე, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით,** რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ **<u>56-33-71 მაკა ჟუჟუნაშვილი;</u>** (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60; თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჟანიძე 56-46-96;)

<u>სატენდერო კომისია</u>

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

საქმე №2/4300-08

# გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
# საქართველოს სახელით

სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ
25 ნოემბერი, 2008 წელი ქ. თბილისი
თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
**მოსამართლე: ლელა კალიჩენკო**

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

ქრისტინა გუკასიანმა (წარმომადგენელი როინ მიგრიაული) სარჩელი აღძრა სასამართლოში რევაზ გახარიას მიმართ არასრულწლოვანი ლილიანა გახარიასთვის პასპორტის გაცემასა და საზღვარგარეთ გაყვანასთან დაკავშირებით კანონიერი წარმომადგენლის - მამის რევაზ გახარიას ნებართვის გაცემულად ცნობის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მხარეები არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან 1999 წლიდან, ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ ერთი შვილი - 2000 წლის 9 იანვარს დაბადებული ლილიანა გახარია. მოსარჩელის განმარტებით, რევაზ გახარია არ ასრულებდა მამისათვის დაკისრებულ მოვალეობებს, ქრისტინა გუკასიანი მარტო, დედის დახმარებით ზრდიდა შუილს. ლილიანა გუკასიანი დაავადებულია ეპილეფსიით და საჭიროებს სასწრაფო გამოკვლევასა და მკურნალობას, რისი განხორციელებაც შესაძლებელია ავსტრიაში, სადაც ამჟამად ცხოვრობს მოსარჩელე. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 24 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ლილიანა გახარიას განესაზღვრა დედის საცხოვრებელი ადგილი, სამოქალაქო სააგენტო არ გასცემს პასპორტს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მხარემ მოითხოვა არასრულწლოვანი ლილიანა გახარიასთვის პასპორტის გაცემა და საზღვარგარეთ გაყვანასთან დაკავშირებით კანონიერი წარმომადგენლის - მამის რევაზ გახარიას ნებართვის გაცემულად ცნობა.

მოსარჩელის მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საინფორმაციო-სამისამართო ბიუროდან წარმოდგენილი ცნობის მიხედვით აღნიშნული სარჩელისა და თანდართული მასალების ასლი გაიგზავნა რევაზ გახარიას რეგისტრაციის ადგილას - მისამართზე: ქ. აბაშა, ნინოშვილის ქ. №94. ფოსტის მუშაკის ცნობის თანახმად, აღნიშნულ მისამართზე რევაზ გახარია არ ცხოვრობს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია, ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საჯარო შეტყობინება შეიძლება განხორციელდეს დაინტერესებული მხარის ხარჯით.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მიაჩნია, რომ შეტყობინება უნდა განხორციელდეს გაზეთ "24 საათი"-ს მეშვეობით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ამასთან, ვინაიდან მოსარჩელემ გამოთქვა თანხმობა, თავის თავზე აიღოს ამასთან დაკავშირებული ხარჯი, საჯარო შეტყობინების გამოქვეყნების ხარჯების გადახდა უნდა დაევალოს მოსარჩელე ქრისტინა გუკასიანს.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მოპასუხე რევაზ გახარიას ეცნობოს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე №2/4300-08, ქრისტინა გუკასიანის სარჩელის გამო რევაზ გახარიას მიმართ არასრულწლოვანი ლილიანა გახარიასთვის პასპორტის გაცემისა და საზღვარგარეთ გაყვანასთან დაკავშირებით კანონიერი წარმომადგენლის - მამის რევაზ გახარიას ნებართთვის გაცემულად ცნობის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელის განმარტებით, რევაზ გახარია არ ასრულებდა მამისათვის დაკისრებულ მოვალეობებს, ქრისტინა გუკასიანი მარტო, დედის დახმარებით ზრდიდა შვილს. მოსარჩელე ითხოვს შვილის მკურნალობის მიზნით ლილიანა გახარიას ავსტრიაში გაყვანას, ვინაიდან მას სასამართლო გადაწყვეტილებით განესაზღვრა დედის საცხოვრებელი. რევაზ გახარია ვალდებულია (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე და 2321-ე მუხლების შესაბამისად) წერილობით, როგორც წესი, ნაბეჭდი სახით, შეადგინოს პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე და სარჩელზე დართული საბუთების შესახებ მოსაზრებებთან ერთად წარუდგინოს ისინი სასამართლოს ჩაბარებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში. მოპასხის მიერ დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით;

2. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთში "24 საათი";

3. სასამართლო შეტყობინების გაწეთ "24 საათში" გამოქვეყნების ხარჯების გადახდა დაევალოს მოსარჩელე ქრისტინა გუკასიანს.
4. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

მოსამართლე: /ლელა კლიჩენკო/

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს მაგთიკომი აცხადებს ტენდერს ექსპლუატაციიდან გამოსული და გამოსაყენებლად უვარგისი შემდეგი მოწყობილობების რეალიზაციაზე:

1) კონდენციონერის გარე ბლოკი
2) კონდენციონერის შიდა ბლოკი
3) რექტიფაილი პატარა
4) გენერატორი
5) აკუმულატორი.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებს ვთხოვთ, წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

იურიდიული პირებისთვის:
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, ომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.
ფიზიკური პირებისთვის:
ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

პრეტენდენტებმა დამადასტურებელი დოკუმენტაციები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2008 წლის 8 დეკემბერს, 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჯიქიას ქ.№5.

ტენდერი ჩატარდება 2008 წლის 11 დეკემბერს, 12:00 სთ-ზე, შპს მაგთიკომი -ს სათაო ოფისში (თბილისი, ჯიქიას №5).

# განცხადება (აუქციონის ჩატარების შესახებ)

2008 წლის 31 დეკემბერს, დღის 12 საათზე ქ. ქუთაისში, ნიკეას მე-5 ჩიხი №6-ში (ქელასის გვერდით) ტარდება ს/ს ხაოიანი ქსოვილების ფაბრიკის ქონების გაყიდვა აუქციონის წესით.
აღნიშნული ტერიტორია განთავსებულია 12515 კვ.მ. ფართობზე, შემოღობილია რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით, უზრუნველყოფილია წყლის, ელენერგიის და საკანალიზაციო კომუნიკაციებით, გააჩნია სატრანსფორმატორო ჯიხურის შენობა ელექტროტრანსფორმატორით.
შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი:
1. საყარაულო ჯიხური - 35,03 კვ.მ.
2. სახანძრო წყლის რეზერვუარი - 100 კუბ. მ. ტევადობის
3. სახანძრო წყლის რეწერვუარი - 40 კუბ. მ. ტევადობის
4. დიზელ გენერატორი - 75 კვტ/სთ სიმძლავრით
5. ავტომანქანა ძარ-ფურგუნით - 43-40 1995 წლის გამოშვება, აგრეთვე სხვადასხვა დასახელების ჩარხ-დანადგარები, მოწყობილობანი და ჯართი.
ქონების საწყისი გასაყიდი ფასი შეადგენს 259.581 (ორას ორმოცდაცხრამეტი ათას ხუთას ოთხმოცდაერთ) ლარს.
ბე არის საწყისი ღირებულების 10%.
მინიმალური ბიჯი შეადგენს 2000 ლარს.
აუქციონში მონაწილე პირისათვის ბილეთის ღირებულება არის 20 (ოცი) ლარი.
აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.
აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2008 წლის 31 დეკემბრის 11 საათამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი (შემდგომში მონაწილე ) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს;
ბ) ს/ს ხაოიანი ქსოვილების ფაბრიკის ანგარიშზე (ს/ს ვითიბი ბანკი ჯორჯია -ს ქუთაისის ფილიალი - კოდი - 220101605, მიმღების ანგარიშის №27093608) ბე -ს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარს და აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის საბანკო ქვითარს;
გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს;
დ) ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
ე) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს და ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.
მონაწილე აუქციონის მონაწილეთა ჟურნალში რეგისტრაციის მომენტიდან იღებს მონაწილის ბილეთს და ღებულობს მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება ის მონაწილე, რომელიც გამყიდველს შესთავაზებს ყველაზე მაღალ ფასს.
აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში დადოს გამყიდველთან ნასყიდობის ხელშეკრულება და დაფაროს აუქციონზე მის მიერ დასახელებული საბოლოო თანხა.
თუ მიდველი დადგენილ ვადებში არ გადაიხდის ქონების გამოსასყიდ თანხას, მას არ გადაეცემა საკუთრების უფლება ქონებაზე და შეტანილი ბე არ დაუბრუნდება.
ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გაეცნოს გასაყიდ ქონებას.
დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ტელეფონზე: 899-62-43-53

ს/ს ხაოიანი ქსოვილების ფაბრიკი -ს
გაკოტრების მმართველი: გ. გიგაშვილი
ფაქსი: 8 331 9 45 74

# სპორტი

# წილი ნაყარია - ჭერი "ბორჯღალოსნებზეა"

ლონდონში, თაუერის ხიდის გვერდით მდებარე ოვალური ბურთის ფორმის დარბაზში, გაიმართა 2011 წლის რაგბის მსოფლიო თასის ფინალური ეტაპის საზეიმო კენჭისყრის ცერემონიალი. 4 ქვეჯგუფში 5-5 გუნდია გამწესებული. უკვე ცნობილი 12 გუნდის დარად გაირკვა იმ გუნდების ვინაობაც, ვინც შესარჩევ ეტაპზე წარმატების შემთხვევაში მსოფლიო რაგბის ელიტაში გაერევა.




პირველ ნომრებად საუკეთესო რეიტინგის მქონე 4 გუნდი განაწესეს: ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია, არგენტინა. ინგლისმა „თვიქნემში“ ზელანდიასთან მარცხის (6:32) გამო ვერ შეძლო მეოთხე საფეხურიდან არგენტინის დაფრენა და ამის გამო მეორე კალათაში მოხვდა. მეოთხე საფეხურზე აღზევების შანსი დაკარგა უელსმაც, რომელმაც კარდიფში, მართალია, დაამარცხა ავსტრალია (21:18), მაგრამ რაკი 15 და მეტი ქულის სხვაობით ვერ იმარჯვა, რეიტინგში მეხუთე ადგილზე დამკვიდრდა.

მოგეხსენებათ, ევროპის ერთა თასის ორი გამარჯვებული პირდაპირ ხვდება მსოფლიო თასზე. თუ საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მოახერხებს პირველ ადგილზე გასვლას, მაშინ B პულში დაიმკვიდრებს ადგილს - არგენტინის, ინგლისის, შოტლანდიისა და პლეი-ოფში გამარჯვებულ გუნდებთან ერთად, ხოლო ერთა თასზე მეორე ადგილის დაკავების შემთხვევაში ჩვენი გუნდის მეტოქეები ფინალურ ეტაპზე იქნებიან C პულის გუნდები - ავსტრალია, ირლანდია, იტალია და ამერიკის მეორე გუნდი.

იმ შემთხვევაში კი, თუ „ბორჯღალოსნები“ შესარჩევ ეტაპზე მესამე ადგილს დაიკავებენ, პლეი-ოფში მოუწევთ საგზურისთვის ბრძოლა და გამარჯვების შემთხვევაში B პულში მოხვდებიან.

ერთა თასის მომავალი გათამაშების პირველ მატჩს საქართველოს მორაგბეთა ნაკრები 7 თებერვალს გერმანიაში, ადგილობრივი გუნდის წინააღმდეგ გამართავს. საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა იმედს გამოთქვამს, რომ შესარჩევი ეტაპის მატჩებისთვის საუკეთესო შემადგენლობას მოუყრის თავს.

**A პული:** ახალი ზელანდია, საფრანგეთი, ტონგა, ამერიკა 1, აზია 1

**B პული:** არგენტინა, ინგლისი, შოტლანდია, ევროპა 1, პლეი-ოფში გამარჯვებული

**C პული:** ავსტრალია, ირლანდია, იტალია, ევროპა 2, ამერიკა 2

**D პული:** სამხრეთ აფრიკა, უელსი, ფიჯი, ოკეანია 1, აფრიკა 1

**რეიტინგი:**

| | |
|---|---|
| 1.ახალი ზელანდია | 92.68 |
| 2.სამხრეთ აფრიკა | 89.45 |
| 3.ავსტრალია | 85.86 |
| 4.არგენტინა | 81.56 |
| 5.უელსი | 81.03 |
| 6.ინგლისი | 80.86 |
| 7.საფრანგეთი | 79.49 |
| 8.ირლანდია | 78.45 |
| 9.შოტლანდია | 76.76 |
| 10.ფიჯი | 75.24 |
| 11.იტალია | 74.64 |
| 12.სამოა | 72.57 |
| 13.ტონგა | 70.05 |
| **14.საქართველო** | **69.43** |

# ქართველთა ელიტური კრახი

*საფრანგეთის მორაგბეთა ელიტურ ჩემპიონატ Top 14-ში მოასპარეზე ქართველ ლეგიონერთა კლუბებმა, დავით ხინჩაგაშვილის „ბრივის“ გამოკლებით, თითქოს პირი შეკრესო, ერთთავად წააგეს. სანუგეშო ის არის, რომ უმეტესობა 7 ქულაზე ნაკლებით დამარცხდა და თითო პრემიალურ ქულას დასჯერდა.*

გია ლაბაძისა და დავით ქუბრიაშვილის „ტულონმა“ საკუთარ მოედანზე სატურნირო ცხრილის მეზობელ ირაკლი გიორგაძის „დაქსს“ უმასპინძლა და გასულ ტურში გამარჯვების შემდეგ მარცხი იწვნია - 6:13. ქართველთაგან მხოლოდ ქუბრიაშვილს მოუწია თამაშმა. მატჩის მიწურულს მოედანზე ჩხუბი ატყდა. ორივე გუნდის თითო მოთამაშემ მსაჯისგან წითელი ბარათი მიიღო.

„ტულონს“ ერთი პრემიალური ქულა ერგო და სატურნირო ცხრილში 20 ქულით მეთერთმეტე საფეხურზე შეინარჩუნა ადგილი. დაქსელებმა ამავე ცხრილში 25 ქულით ერთი საფეხურით გაიუმჯობესეს მდგომარეობა - მეათედან მეცხრეზე გადაინაცვლეს. საკუთარ მოედანზე მარცხი იწვნია აქვსენტი გიორგაძის „კასტრმა“. მასპინძელთათვის ამ შეხვედრას ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ წაგება უშუალო კონკურენტ „ბურგონისგან“ (9:23) იგემეს, რაშიც გარკვეული როლი შეასრულა იმანაც, რომ მეორე ტაიმის დასაწყისში მასპინძლებს მოთამაშე გაუგდეს.

ერთი სიტყვით, „ბურგონმა“ „კასტრს“ სატურნირო მდგომარეობით გაუსწრო. გიორგაძე და კომპანია 18 ქულით ბოლოსწინა - მე-13 საფეხურზე ჩამოქვეითდა.

საკუთარი გულშემატკივრის წინაშე იწვნია მარცხი გოდერძი შველიძის, გიორგი მჭედლიშვილისა და ბექა შეყლაშილის „მონტობანმაც“. ქართველ ლეგიონერთა კლუბი „პერპინიანს“ მასპინძლობდა. დასანანია, რომ „მონტობანმა“ ბოლო წუთებზე გაშვებული ჯარიმით წააგო (6:9). ქართველთაგან მხოლოდ შველიძეს მოუხდა მოედანზე გასვლა. „მონტობანი“ 28 ქულით მეშვიდე საფეხურზეა.

გათამაშების აუტსაიდერ „მონ დე მარსანთან“ მინიმალური ანგარიშით - 11:12 დამარცხდა ჩემპიონობისთვის მებრძოლი დავით ზირაქაშვილის „კლერმონი“. „მონ დე მარსანთან“ შეხვედრის შემდეგ კლერმონელები ექვსი მოგებით, ამდენივე წაგებითა და 31 ქულით (7 პრემიალური, აქედან ხუთი იმისთვის, რომ რამდენიმე მატჩი 7 ქულაზე ნაკლებით წააგო. პლუს ორი ქულა ოთხი და მეტი გატანილი ლელოსთვის) მეხუთე ადგილზე არიან.

დავით ხინჩაგაშვილის „ბრივთან“ საკუთარ მოედანზე იწვნია მარცხი მამუკა გორგოძის „მონპელიემ“. მასპინძელთა ქართველმა ლეგიონერმა მატჩში სრულად ითამაშა. ხინჩაგაშვილი განაცხადში არ იყო.

„მონპელიე“ 27 ქულით მერვე საფეხურზეა, „ბრივი“ 28 ქულით მეექვსე საფეხურამდე დაწინაურდა.

დარჩენილ ორ მატჩში ფრანგი ქართველის დიმიტრი იაშვილის „ბიარიცმა“ გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს „სტად დე ფრანსს“ უმასპინძლა და 13:32 დამარცხდა, ცხრილის მოწინავე „ტულუზმა“ კი „ბაიონს“ 32:11 სძლია.



## დავით კოვზირიძის სვეტი

# ილა, ილა, ილა... ხუანიტო მარავილა!

### ანუ ტრადიცია, როგორც ჯაზი

ჩვენ ტრადიციების გამორჩეულად მოყვარული ხალხი ვართო, ხშირად ვამბობთ ჩვენვე. და ეს უკვე ტრადიციად იქცა. თან ისეთ ავტომატურ ტრადიციად, რომ ხანდახან აღარც გვახსოვს, რატომ ვართ ასეთები, რომელია ჩვენი ეროვნული ადათი, როგორ იქცეოდნენ ამა თუ იმ სიტუაციაში ჩვენი წინაპრები და როგორ - არ იქცეოდნენ.

რესტორნებისა და ჭამა-სმის ქვეყანაში ტრადიციები ძირითადად კულინარიას უკავშირდება - ზედმიწევნით ვიცით, რომელი სადღეგრძელოს შემდეგ რომელი ისმევა და რა ზომის, რა ფორმის სასმისით, ვიცით, რომ თამადამ, რამდენიც და რაზეც არ უნდა ილაპარაკოს, გასუსულები უნდა ვისხდეთ. ისიც შევისწავლეთ, რომ თუ არ სვამ, „ზნაჩიტ“, მთლად ვაჟკაცი არ ხარ, უფრო რადიკალურმა მოქეიფეებმა კი, დიდი შანსია, შენს ორიენტაციაშიც შეიტანონ ეჭვი. და თუ ამტლაშამტლუშებულ კაიმჭამელებს რამეში შეეწინააღმდეგები, მიუხედავად იმისა, რომ სტუმარი ღვთისაა, შეიძლება თავყბა დაგილეწონ და კიბეზეც დაგაგორონ.

ესაა ტრადიცია? ანუ, ასე იყო ადრეც? მარტო კულინარიულ ვითომ ადათებზე არაა ლაპარაკი, საერთოდ, ასეთები ვიყავით და, ტრადიციების წყალობით, დღემდე შევინარჩუნეთ სახე? რაღაც ძალიან საეჭვოა. საეჭვო კი არა, ის, რომ ტრადიციულები ვართ, მტკნარი სიცრუეა. შეხედეთ თუნდაც იაპონელებს და თავად დარწმუნდებით.

ქართველებს ძალიან ლამაზი ადათ-წესები გვქონდა ყოველთვის და ბევრ ოჯახში მათ კვლავაც ინარჩუნებენ, თუმცა ეს არასაკმარისია ისეთი ზოგადი პოსტულატისთვის, როგორიც პირველი აბზაცის პირველ წინადადებაშია. სამწუხაროდ, კომუნიზმმა, მისმა შემდგომმა დაბნელებამ ყველაფერი ჩარეცხა ან დაამახინჯა, რის აღდგენასაც, უპირველესად, მონდომება სჭირდება...

ამა თუ იმ ქვეყნის, ქალაქის ტრადიციები ძალიან კარგად ჩანს სტადიონზე, საფეხბურთო მატჩის დაწყებამდე, პროცესში და დასრულების შემდეგ. მაგალითის პოვნა თითქმის ყველგან შეიძლება, თუმცა, მოდი, ყველაზე წარმატებულ, მდიდარ, დიდი ისტორიის მქონე გუნდს, ჩემპიონთა თასის ცხრაჯერ მომგებ მადრიდის „რეალს“ და მის დაუნდობლად საოცარ სტადიონს „სანტიაგო ბერნაბეუს“ მივაკითხოთ.

რა ხდება იქ თამაშის დაწყებამდე? ზოგადად ზეიმსა და აჟიოტაჟს შევეშვათ და მარტო ტრადიცია ვახსენოთ - მატჩის წინ კლუბის ავტობუსს გასახდელამდე ცხენოსანი პოლიცია მიაცილებს პატივისცემის ნიშნად. მთავარი ამბავი კი თამაშის დასაწყისში ხდება და მასზე ცოტა ვრცლად უნდა ვისაუბროთ.

1977-87 წლებში „სამეფო კლუბში“ ხუან გომეს გონსალესმა ანუ ხუანიტომ 284 მატჩში 115 გოლი გაიტანა. ის სხვანაირი „რეალი“ იყო, ლაღი, ჯიგრიანი, ცოტა მოხულიგნო, მაგარი კაცებით სავსე გუნდი, რომელიც ხშირად სტუმრად დიდი ანგარიშით აგებდა, რათა მერე „ბერნაბეუზე“ უფრო დიდი სხვაობით მოეგო. ამიტომაც უყვარდათ მადრიდელებს განსაკუთრებით ეს მაგარი ბიჭები, რომელთაგან ერთი, ხუანიტო, 1992-ის 2 აპრილს 37 წლისა დაიღუპა ავარიაში.

და ვინაიდან ხუანიტო შვიდი ნომერი იყო, მას შემდეგ, უკვე მეთექვსმეტე წელიწადია, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გამართული ყოველი თამაშის მეშვიდე წუთზე მთელი სტადიონი ფეხზე დგება და მღერის: „ილა, ილა, ილა... ხუანიტო მარავილა!“ („ბრწყინვალე ხუანიტო“).

ლამაზი ტრადიციაა, ვერაფერს იტყვი. სხვათა შორის, საფეხბურთო ტრადიციები ადრე ჩვენც გვქონდა. მაშინ, როცა „დინამოშიც“ თამაშობდნენ ძალიან მაგარი ბიჭები. ეს ბიჭები რომ არ ყოფილიყვნენ, ანუ არ ყოფილიყო წარმატება, რასაკვირველია, არავითარი ტრადიციებიც არ იქნებოდა, არ იქნებოდა კიროვის პარკი, ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ადგილი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიულ რუკაზე. უშუალოდ სტადიონზე მაშინ არაფერი ხდებოდა განსაკუთრებული და ვერც მოხდებოდა - სხვა დრო იყო, სხვა კანონები მუშაობდა, ემოციები კარგად უნდა შეგენახა შენთვის. თუმცა მაისის ერთ გემრიელ საღამოს ემოციებმა ყველა კანონი ფეხებზე დაიკიდეს.

დღეს ქართული ფეხბურთი იმდენად ახალგაზრდა და გამოუცდელია, რომ ტრადიციებზე ლაპარაკიც კი არ ღირს მანამ, სანამ რაიმე განსაკუთრებული არ მოხდება. ნუ ვეცდებით ხელოვნური ადათების შექმნას როგორც ფეხბურთში, ისე ყველაფერ დანარჩენში, რადგან ტრადიცია, როგორც ჯაზი, ასაკთან ერთად მოდის.

*მომავალ სამშაბათამდე*

## ელისმა „კახასოლს" ვერ უშველა

ტაირონ ელისის ჩინებული თამაშის მიუხედავად, ვალენსიურმა „კახასოლმა" ვერაფერი გააწყო „გრან კანარიასთან" და ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატის მორიგ ტურში 92:104 დამარცხდა.

ელსიმა საკუთარი გუნდის შემადგენლობაში თითქმის შეუცვლელად ითამაშა და 214 ქულა დააგროვა, აქედან 18 - სამქულიანების წყალობით.

„კახასოლისგან" განსხვავებით, გაიმარჯვა ვლადიმერ ბოისას „ვივემენორკამ", რომელმაც „როკომანერსას" ანგარიშით 83:67 სძლია. ვოვამ მხოლოდ 13 წუთი ითამაშა და ერთ მოხსნას დასჯერდა.

## „უიგანი" ჰესკის შეელევა

„უიგანის" პრეზიდენტ დევიდ უილანის განცხადებით, კლუბი ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ემილ ჰესკის შეძენის მსურველებთან სალაპარაკოდ მზად არის.

„ემილს კონტრაქტი ზაფხულში უმთავრდება, ახალი კონტრაქტის გაფორმება კი არ სურს. ამიტომ ჩვენთვის მომგებიანი იქნება, თუ მას ახლავე გავყიდით და რაიმე კომპენსაციას მაინც მივიღებთ", - აცხადებს უილანი.

## „არსენალი" კომპენსაციას მიიღებს

ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია ლონდონის „არსენალს" ტეო უოლკოტის ტრავმის გამო კომპენსაციის სახით 300 ათას გირვანქა სტერლინგს გადაუხდის.

19 წლის ფორვარდმა გასულ თვეში ინგლისის ნაკრებში მიიღო ტრავმა. სწორედ ამის გამო მოითხოვეს ლონდონური კლუბის მესვეურებმა ინგლისის საფეხბურთო ასოციციისგან ფულადი კომპენსაცია.

## კამორანეზი ისვენებს

ტურინის „იუვენტუსის" ნახევარმცველი მაურო კამორანეზი იანვრამდე ვერ შეძლებს თამაშს. ფეხბურთელმა „რეჯინასთან" მატჩში მიიღო ტრავმა. სამედიცინო შემოწმებამ დაადგინა, რომ კამორანეზის მხარი აქვს ამოვარდნილი და მკურნალობას, სულ მცირე, ერთი თვე მაინც დასჭირდება.

## პოლ ინსის გეგმა „ბლექბერნის" გაძლიერებაა

პოლ ინსის გეგმა იანვრის სატრანსფერო პერიოდში „ბლექბერნის" გაძლიერებაა. მწვრთნელმა ჯერ არ იცის, თუ რომელი ფეხბურთელები შეემატებიან მის გუნდს და რომლები დატოვებენ. საუბრობენ იმაზე, რომ გუნდიდან ჩილელი ნახევარმცველი კარლოს ვილიანუევა და ჰოლანდიელი მცველი ანდრეს ოიერი მიდიან. „რა თქმა უნდა, ჩვენი თამაშისა და მდგომარეობის გაუმჯობესება აუცილებელია. ამისთვის კი შემადგენლობის გადახალისებაა საჭირო. მე და კლუბის პრეზიდენტი ყველაფერს კარგად გავაანალიზებთ და ახალწვეულთა კანდიდატურებზე ჩამოვყალიბდებით. გასარკვევია ისიც, თუ რომელი ფეხბურთელები დატოვებენ გუნდს. ვილიანუევას საკითხი დეკემბრის შუა რიცხვებში გადაწყდება. მართალია, ის ახალგაზრდა ფეხბურთელია და ადაპტაციისთვის დრო სჭირდება, მაგრამ ჩვენს სატურნირო მდგომარეობაში ექსპერიმენტებისთვის დრო არ გვრჩება. ოიერი კი ფანტასტიკური ფეხბურთელია. ჰოლანდიაში მის მოსალოდნელ დაბრუნებაზე ბევრს საუბრობენ, მაგრამ მე მისი გაშვება არ მინდა", - აცხადებს ინსი ჟურნალისტებთან საუბარში.

## „ლაციოს" ივანოვიჩი სურს

„ლაციოს" მესვეურთა ინტერესის სფეროში მოხვდა „ჩელსის" სერბი მცველი ბრანისლავ ივანოვიჩი. მოსკოვის „ლოკომოტივის" ყოფილი მოთამაშის შეძენას „ლაციოს" ხელმძღვანელობა იანვრის სატრანსფერო პერიოდში აპირებს. მათი სურვილია იჯარის ვადის ამოწურვის შემდეგ „ჩელსისგან" ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებები გამოისყიდონ, - იტყობინება Corriere dello Sport. ადრე ივანოვიჩძის შეძენის სურვილი „იუვენტუსმა" და „მილანმა" გამოთქვეს. 24 წლის ფეხბურთელი გასულ ზამთარს 18 მილიონ დოლარად „ჩელსიში" გადაბარგდა. მან სეზონის მეორე ნახევარი სათადარიგოთა სკამზე გაატარა. მიმდინარე სეზონში კი პრემიერლიგის ოთხ და ჩემპიონთა ლიგის ერთ მატჩში მიიღო მონაწილეობა. ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში კი 17 შეხვედრაში სამჯერ დალაშქრა მეტოქის კარი.

## პაციენტების საყურადღებოდ !

ცნობილი ექიმები, მედიცინის დოქტორი, ნევროლოგი **არჩილ საყვარელიძე** და თერაპევტი, გასტრო-ენტეროლოგი **დავით ნემსაძე** იღებენ პაციენტებს ყოველდღიურად დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში.

პაციენტების მიღება წარმოებს წინასწარი ჩაწერით.

მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი,
თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების" ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42;**

# გიორგი გეგუჩაძე "ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელია

30 ნოემბერს, საკუთარი განცხადების საფუძველზე, საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელის თანამდებობა დატოვა თემურ მახარაძემ. ის 2004 წლის შემოდგომიდან მუშაობდა „ზესტაფონში". მისი ხელმძღვანელობით გუნდმა გაიმარჯვა საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის „ყაზბეგის" თასის 2008 წლის გათამაშებაში .

2008 წლის 1 დეკემბრიდან კლუბ „ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელის თანამდებობა დაიკავა გიორგი გეგუჩაძემ. მან, როგორც მწვრთნელმა, წარმატებით იმუშავა თბილისის „დინამოში". სწორედ მის მიერ გაწვრთნილმა „დინამომ", ერთადერთხელ დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში, მოიპოვა უეფას თასის გათამაშების ჯგუფურ ეტაპზე ასპარეზობის უფლება.

ახალი დამრიგებელი ბოლნისელებთან მატჩის დასრულებისთანავე წარუდგინეს გუნდს.

# ქართული დერბი ქართველების გარეშე

გასული უქმეები უცხოეთში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელებისთვის გამორჩეული არ ყოფილა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საფეხბურთო თვალსაზრისით დიდი ხუთეულის ჩემპიონატში მოასპარეზე ქართველები მოედანზე საერთოდ არ გამოჩენილან. არადა, იტალიურ სერია ა-ში ქართული დერბის მოლოდინიც გვქონდა.

იტალიის ჩემპიონატის მორიგ ტურში „პალერმო" „მილანს" მასპინძლობდა. კახა კალაძე და ლევან მჭედლიძე საკუთარი გუნდების განაცხადში კი იყვნენ, მაგრამ მწვრთნელებმა ისინი მინდორზე არ გაიყვანეს. მატჩი სიცილიელთა სრული უპირატესობით წარიმართა. მიკოლიმ, კავანიმ და სიმპლისიომ სამჯერ დალაშქრეს მილანელთა კარი, პრესტიჟის გოლი კი თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან რონალდინიომ გაიტანა. ამრიგად, იტალიის ჩემპიონატში პირველმა ქართულმა დერბიმ ქართველების გარეშე ჩაიარა.

ქართველებს არც გერმანულ ბუნდესლიგაში სწყალობდნენ. „კარლსრუე" „ჰანოვერთან" იაშვილის გარეშე დამარცხდა და ბოლო ადგილზე დაქვეითდა. „შალკემ" კობიაშვილისა და ყენიას გარეშე „შტუტგარტთან" წააგო გასვლითი მატჩი და სატურნირო ცხრილში მეექვსე ადგილს იკავებს.

მეორე ბუნდესლიგაში ქართველებს თამაშის საშუალება მიეცათ. მათე ღვინიანიძემ „მიუნხენისა" და „ვეენის" მატჩში მთელი 90 წუთი გაატარა მინდორზე. ქართველი მცველის გუნდი 3:0-ს იგებდა, მაგრამ შეხვედრის მიწურულს სამი გოლი გაუშვა და ფრეს დასჯერდა. დავით თარგამაძის „ფრაიბურგი" „ფიურტს" დაუზავდა. ქართველმა ფეხბურთელმა მატჩი ძირითად შემადგენლობაში დაიწყო. ის 77-ე წუთზე შეცვალეს.

ოთარ ხიზანეიშვილის „აუგსბურგმა" „ჰანზას" მოუგო. ქართველი მცველი თავისი გუნდის გამარჯვებას სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალს.

ახლა უკრაინის ამბები, სადაც ქართველები საკმაოდ არიან, თუმცა ამ ტურში მათ მაინცდამაინც არ უაქტიურიათ. კიევის „დინამომ" „დნიპრო" 1:0 დაამარცხა და სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგა. ასათიანი კიეველთა შემადგენლობაში არ გამოჩენილა, დნეპროპეტროვსკელთა რიგებში კი კანკავა და კობახიძე არ ყოფილან - სამივე ქართველ ფეხბურთელს ტრავმა აქვს.

ლვოვის „კარპატმა" გასვლითი მატჩი დათმო „შახტართან". ლვოველთა რიგებში მოთამაშე გურული მატჩის 66-ე წუთზე გამოჩნდა მინდორზე.

მორიგი ტური წარუმატებელი გამოდგა ციმაკურიძის „ზარიასთვისაც", რომელიც „ვორსკლასთან" დამარცხდა. ქართველმა ფეხბურთელმა შეუცვლელად ითამაშა და ყვითელი ბარათიც მიიღო.

ისრაელის საფეხბურთო ჩემპიონატში ჰაიფას „მაკაბიმ", რომლის მთავარი მწვრთნელის თანაშემწის მოვალეობას გიორგი დარასელია ასრულებს, მორიგ ტურში აშდოდში გასვლითი მატჩი მოიგო და ერთპიროვნულად ლიდერობს ისრაელის ჩემპიონატში.

ჩეხეთის ჩემპიონატის მორიგმა ტურმაც ქართველების გარეშე ჩაიარა. ტატანაშვილის „ვიქტორია პლზენმა" „სიგმას" მოუგო - 4:0. განუგრავას „ბოლესლავმა" სტუმრად „ზლინს" სძლია.

შედარებით მეტი წარმატებით გამოირჩნენ გასულ უქმეებზე აზერბაიჯანში მოასპარეზე ქართველი ფეხბურთელები. ქართველთა კლუბები გასვლით მატჩებს ატარებდნენ, თუმცა ამას მათთვის ხელი არ შეუშლია.

მიხეილ მესხის „ქარვანი" „ყარაბახთან" დამარცხდა, თუმცა ქართველმა გოლი მაინც გაიტანა.

წარმატებით ითამაშა გიორგი დემეტრაძისა და ამირან მუჯირის „ბაკიმ", რომელმაც „სალიანი" სტუმრად 4:0 დაამარცხა. ორივე ქართველი ძირითადში თამაშობდა „დემემ" კი ერთი საგოლე გადაცემაც გააკეთა.

ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა ბაქოს „სტანდარდმა". კახა ცხადაძის გუნდმა ამჯერად „მოიკი" დაამარცხა. მართალია, ამ მატჩში ქართული გოლი არ გასულა, მაგრამ ერთი საგოლე გადაცემა საკუთარ ანგარიშზე ბაჩანა ცხადაძემ ჩაიწერა.

# ჰიტლერი - ფეხბურთის თავგადაკლული ფანი

გიგა გურასაშვილი

*ბრიტანულმა „ტაიმსმა" ფეხბურთის ყველაზე თავგადაკლული ფანატების 50-კაციანი ნუსხა გამოაქვეყნა. შოუბიზნესის ვარსკვლავებთან ერთად, სიაში ისინიც არიან, ვინც სისხლიანი კვალი დატოვა მსოფლიო ისტორიაში. არის ერთი გამონაკლისიც - დევიდ ბექჰემი „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" საკალათბურთო გუნდის გულშემატკივარი ყოფილა.*



*მუსოლინი „ბოლონიას" გულშემატკივრობდა, ჰიტლერი კი - „შალკე 04"-ს*

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ფეხბურთის ყველაზე საშინელ ფანატად დასახელდა ადოლფ ჰიტლერი. ფიურერი „შალკე 04"-ის თავგადაკლული გულშემატკივარი იყო. მისი საყვარელი კლუბი 1933-დან 1945 წლმდე ექვსჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი.

„მატჩის მოგება ადამიანებისთვის ბევრად მეტს ნიშნავს, ვიდრე აღმოსავლეთში ქალაქის აღება", - წერდა პროპაგანდის გენიოსი იოზეფ გებელსი.

ამავე ნუსხაში მეხუთე ადგილზეა მსოფლიოს ნომერ პირველ ტერორისტად შერაცხული უსამა ბინ ლადენი, რომელიც „არსენალის" დიდი გულშემატკივარი ყოფილა.

მეექვსე ადგილი უკავია რობი უილიამსს („პორტ ვეილი"), რომელმაც საფეხბურთო თემაზე დაწერა სიმღერა „ნება მომეცი გაგართო".

იტალიელი დიქტატორი ბენიტო მუსოლინი 27-ე ადგილზე აღმოჩნდა. დუჩეზე ამბობენ, იმდენად უყვარდა კლუბი „ბოლონია", რომ 1925-დან 1937 წლამდე ოთხჯერ იტალიის ჩემპიონატის მოგებაში დაეხმარაო.

ამავე ნუსხაში არიან მაიკლ ჯეკსონი (მე-12 ადგილი, „ექსეტერ სიტი"), ტომ ჰენკსი (13, „ასტონ ვილა"), ელტონ ჯონი (16, „ვოტფორდი"), ემი ვაინჰაუზი (17, „ასტონ ვილა"), სილვესტერ სტალონე (20, „ევერტონი"), ინგლისის პრემიერ-მინისტრი გორდონ ბრაუნი (23, „რეით როვერსი"), დევიდ ბექჰემი (24, „ლოს ანჯელეს ლეიკერსი"), როკჯგუფი „სტატუს კვო" (34, „ტოტენჰემ ჰოტსპური"), ჰიუ გრანტი (35, „ფულჰემი"), ლაიამ და ნოელ გალაჰერები (შესაბამისად, მე-40 და 39-ე ადგილები, „მანჩესტერ სიტი"), მოკრივე რიკი ჰატონი (41, „მანჩესტერ სიტი")... ნუსხას ამთავრებს ფორმულა 1-ის იმპრესარიო ბერნი ეკლსტოუნი (50, „ჩელსი").

## შპს “საქართველოს რკინიგზა” 2008 წლის 2 დეკემბრიდან აცხადებს საერთაშორისო ტენდერს თეთრეულით და რბილი ინვენტარით მომსახურების შესახებ

შპს “საქართველოს რკინიგზა” (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს საერთაშორისო ტენდერს **თეთრეულით და რბილი ინვენტარით მომსახურების** შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**1.** დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი “რესპუბლიკა” ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

სატენდერო დოკუმენტაცია და **ტექნიკური დავალება** (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2008 წლის **2 დეკემბრიდან 22 დეკემბრის** ჩათვლით **სატენდერ მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის** წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს “საქართველოს რკინიგზის” შესყიდვების სააგენტო.

**2.** შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი № | მომსახურების დასახელება | რაოდ | რაოდ |
|---|---|---|---|
| 1 | სამგზავრო ვაგონების თეთრეულით მომსახურება *(ერთი კომპლექტის შემადგენლობა: 1 ცალი პირსახოცი, 1 ცალი ბალიშის პირი, 2 ცალი ზეწარი)* | კომპ | 620 865 |
| | სამგზავრო მატარებლის სავარძლის თავის მისაყრდნობი საფენით მომსახურება | ცალი | 1 234 580 |
| | სამგზავრო ვაგონის რბილი მოსახსნელი ინვენტარის (ფარდა, შალითა) რეცხვა | კგ | 4 665 |

**3. მიწოდების ადგილი:** ქ. თბილისი;

**4. მიწოდბეის ფორმა :** გარეცხილი, დაუთოვებული, დაკომპლექტებული და შეფუთული;

**5. მოწოდების ვადა:** შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 2009 წლის განმავლობაში;

**6.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2008 წლის 22 დეკემბრის ჩათვლით** 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს “საქართველოს რკინიგზის” შესყიდვების სააგენტო.

**7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**იურიდიული პირებისათვის :**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
3. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

**ფიზიკური პირებისათვის :**

1. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

**8. ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :**

1. პაკეტების გახსნის დღეს მომსახურების გასაწევად შემოთავაზებული პროდუქციის (პირველ და მეორე ლოტზე) თითო ნიმუში;
2. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები და (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები. **(არ დაიშვება ავანსი და აკრედიტივი)**
3. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში **დღგ-ს გარეშე**; უცხოურ ვალუტაში სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;
4. **გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების გაფორებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით,** რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს “საქართველოს რკინიგზის” შესყიდვების სააგენტოში, ტელ **56-33-71 მაკა ჟუჟუნაშვილი;** (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60 თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჟანიძე 56-46-96;)

სატენდერო კომისია

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

## О.О.О. «Грузинская железная дорога» с 2 декабря 2008 года объявляет международный тендер на закупку обслуживания по обеспечению бельем и мягким инвентарем

*О.О.О. «Грузинская железная дорога»*, г.Тбилиси, пр. Царицы Тамары № 15, объявляет международный тендер **на закупку обслуживания по обеспечению бельем и мягким инвентарем** и приглашает принять участие всех заинтересованных физических и юридических лиц.

**1.** Заинтересованные лица могут уплатить тендерный сбор в размере 200 (двести) лари на реквизитах: А/О банк «Республика» центральный филиал: код – 220101757. Р/С – 10494921495.

Тендерная документация и техническое задание (на грузинском языке) выдается от **2 декабря** 2008 года **по 22 декабря 2008** года на основании **квитанций вместе с заявкой на выдачу тендерной документации** по адресу: - г.Тбилиси, пр. Царицы Тамары № 15, ***О.О.О. «Грузинская железная дорога»*** Агентство закупок (3-этаж).

**2. Объекты закупки**

| Лот № | наименование услуг | Ед. | Кол. |
|---|---|---|---|
| 1 | обслуживание бельем пасажирских вагонов (в один комплект входит: 1 полотенца, 1 наволочка, 2 простыни) | коп. | 620 865 |
| | обслуживание по обеспечению подголовниками (чехлами) кресел пассажирских поездов | шт. | 1 234 580 |
| | стирание мягкого снимающего инвентаря пассажирских вагонов (шторы и чихоли) | кг. | 4 665 |

**3. Место поставки** – г. Тбилиси.

**4. Форма поставки** – вымитий, глажени, комплектованни и упакованн.

**5. Время поставки** – по запросу покупателя в течении 2009 года.

**6.** Тендерные предложения и квалификационные данные претенденты должны предъявить в запечатанных конвертах, в двух экземплярах (Оригинал и его копия), заполненные на грузиском и/или с грузинским переводом заверенный нотариусом.

- Сроки предъявления документации: **с 9-00 до 18-00 часов включая 22 декабря 2008 года;**
- Документация должна быть представлена по следующему адресу: г.Тбилиси, пр. Царицы Тамары № 15. ***О.О.О. «Грузинская железная дорога»*** Агентство закупок (3-этаж).

**7. Квалификационные данные должны содержать следующую информацию:**

**Для юридических лиц:**

1) Выписку из предпринимательского реестра.
2) Справку из судебных органов о том, что в отношении претендента не ведется делопроизводство о неплатежеспособности.
3) В силу обеспечения тендерного предложения – банковскую гарантию в размере 1% от общей стоимости предложенного товара, **срок действия которой должен на один месяц превышать срок действия тендерного предложения.**

**Для физических лиц:**

1) Справку из судебных органов о том, что в отношении претендента не ведется делопроизводство о неплатежеспособности.
2) Копию документа, удостоверяющего личность претендента.
3) Документ о регистрации инд./производителя.
4) В силу обеспечения тендерного предложения – банковскую гарантию в размере 1% от общей стоимости предложенного товара, **срок действия которой должен на один месяц превышать срок действия тендерного предложения.**

**8. Всем претендентам необходимо представить:**

1. Образец предложенного товара (для обслуживания на первий и второй лот) в день открытия пакетов.
2. Подписанное (юридическим лицом и инд.производителем и заверенное печатью) тендерное предложение, срок действия которой должен быть не менее 30 дней (образец представлен в тендерной документации), в котором необходимо указать стоимость лота, срок действия тендерного предложения, желательные для претендента условия оплаты.
3. Стоимость тендерного предложения должна быть представлена в национальной или в другой валюте **(без НДС)**. В случае предъявления в другой валюте, оценка тенд. предложения будет произведена согласно курса Национального банка Грузии в день открытия пакетов.
4. **В случае выявления победителя претендент до оформления контракта должен предъявить гарантию (только с банка) по выполнению условий контракта в размере 5% стоимости контракта**, срок действия, который должен на 50 календарных дней превышать срок окончательного исполнения обязанностей предусмотренных в договоре.

Претенденты не будут допущений к оценке если в отношении претендента ведется делопроизводство о неплатежеспособности и представленные ими тендерные предложения и квалификационные данные не будут соответствовать вышеуказанным требованиям.

Дополнительную информацию заинтересованные лица могут получить в Агентстве закупок ***О.О.О. «Грузинская железная дорога»***, тел: **56-33-71 Мака Жужунашвили.** (Аппарат тендерной комиссии: Н. Конджариа. 56-38-60. Т. Хокерашвили 56-39-30. И. лобжанидзе 56-46-96.)

***Тендерная комиссия***

1. Представители зарубежных стран квалификационные данные должны прислать от государственных органов соответствующих стран в легализированном виде и установленными законными нормами.



AFP ' 2008

*ავსტრალიელ კემ სინკლერს აზრად მოუვიდა: სიდნეის ჰარბორის ყურეში საკუთარი მოტოციკლით ისე გადავეშვები, რომ ჰაერში ორმაგ ბრუნს გავაკეთებო. ცხადია, ასეთი სანახაობას ყოველდღე ვერ ნახავდნენ ავსტრალიელები და დათქმულ დღეს ჰარბორის ყურეში მოიყარეს თავი. სინკლერმაც არ დააყოვნა, საკუთარი მოტოციკლით ტრამპლინზე შევარდა, ახტა დაახლოებით ექვსსართულიანი სახლის სიმაღლეზე და ორმაგი ფლიპი გააკეთა.*
*სინკლერი პირველი ავსტრალიელია, ვისაც ასეთი ტრიუკი გამოუვიდა. ორმაგი ბრუნით კი მანამდე ორ თავზეხელაღებულს გამოუჩენია თავი.*
*„ფრანს პრესის" ფოტო საგანგებოდაა დამუშავებული, რომ ზუსტი წარმოდგენა შეგექმნათ ავსტრალიელის ნახტომზე.*



AFP ' 2008

კოლორადოს მთებში, ასპენის დამრეცებზე გიგანტურ სლალომში მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი, ალბათ, არასდროს დაავიწყდება 19 წლის ფრანგ ტეს ვორლეის. ფრანგს პირველი ცდისას მეექვსე შედეგი ჰქონდა, მაგრამ მეორეზე თავი გამოიდო და საუკეთესო შედეგი დააფიქსირა. ორივეს ჯამში კი ვორლეიმ კარიერის პირველ გამარჯვება დაიგემოვნა. მანამდე 19 წლის ფრანგის საუკეთესო შედეგი ამავე დისციპლინის მეხუთე საფეხური იყო, რომელიც შარშან ზოლდენის დამრეცებზე აღმოაჩნდა.

ტეს ვორლეისგან განსხვავებით ასპენის სათხილამურო ტრასა ცუდად გაახსენდება იტალიელ კიარა კოსტაცას. აპენინელმა პირველი დაშვებისას თხილამურები ვერ დაიმორჩილა და ისეთი ყირამალა გააკეთა, არავის ეგონა თუ მოტეხილობების გარეშე გადარჩებოდა. ისე, რბოლა მეტად რთულ კლიმატურ პირობებში ჩატარდა. ფაქტობრივად, სრული ასპარეზობის განმავლობაში ძალიან თოვდა, რასაც თან ერთვოდა ქარბუქი. ამიტომაც ბევრმა ცნობილმა მოთხილამურემ მათთვის საკადრისი შედეგებით ვერ გამოიჩინა თავი.




ქალბატონებო და ბატონებო!

ამა წლის 25 ნოემბრიდან – 10 დეკემბრის ჩათვლით ტარდება 16 დღიანი საერთაშორისო აქცია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. ამ დღეებში თქვენს მიერ დადასტურებული მხარდაჭერა "არა ძალადობას ქალთა მიმართ" განსაკუთრებით ღირებულია.

მიიღეთ მონაწილეობა საერთაშორისო ინტერნეტ კონფერენციაში "არა ძალადობა ქალთა მიმართ"

www.conference.ginsc.net.

UNIFEM-ის ელჩი ნიკოლ კიდმანი და საქართველოს ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში გიწვევთ შემოუერთდეთ საერთაშორისო "არა ძალადობას ქალთა მიმართ კამპანიას"და დაადასტუროთ მხარდაჭერა ვებ-გვერდზე:

http://www.saynotoviolence.org/
www.nasilie.net

GT GROUP

ÜÜÜÜÜÜÜÜÜÜÜÜ 48 Ü
ÜÜÜ: 740 740
www.gtgroup.ge

## Ford Transit

Ford-ის გლობალური იმპორტიორი GT Motors



გარანტია 2 წელი

16 950 ევროდან

## iVan

გარანტია 2 წელი

"UKR AUTO"-ს ოფიციალური დილერი GT Group
iVan-ის წარმოების საქალაქო და საგარეუბნო ავტობუსი



25 500 ევროდან

## MST

გარანტია 1 წელი

"SANKO"-ს ოფიციალური დილერი GT Group
MST-ს ბეკოლოუდერები



46 000 ევროდან

JCB
TEGETA CONSTRUCTION EQUIPMENT
JCB-ს ოფიციალური დილერი საქართველოში

## ფრონტალური-დამტვირთველი: 456 HT

ტექნიკის ტიპი: ფრონტალური-დამტვირთველი
მწარმოებელი: JCB (დიდი ბრიტანეთი)
მოდელი: 456 HT
ძრავის სიმძლავრე: 216 ცხ.ძ.
საექსპლუატაციო მასა: 22,79 ტ.
ციცხვის ტევადობა: 3,5 მ$^3$
ტვირთამწეობა: 11 757 კგ.
მიწოდების ვადა: 1 დღე
გარანტია: 1 წელი, სამუშაო საათების შეუზღუდავად.



მიწოდების ვადა 1 დღე

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. E-mail: jcb@tegetamotors.ge
244-744, 895 300-711, 244-744 (1219) www.tegetamotors.ge

## განცხადება

2009 წლის 23 იანვარს 13 საათზე, კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ფოთი, ალმაშენებლის ქ. N52) გაიმართება კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ მიმდინარე საქმიანობის სფეროა რკინიგზისა და საზღვაო ტრანსპორტის გამოყენებით სხვადასხვა საქონლის შემოზიდვა, მათი დროებით შენახვა-განთავსება, აგრეთვე ამ საქონლის შემდგომი ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

საზოგადოების წარმომადგენლებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ ადმინისტრაციული შენობა
- ქ. ფოთი, ალმაშენებლის ქ. N52;
- სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამა“-ს ოფისი -ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. N9

საზოგადოების წარმომადგენლებისგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა 2009 წლის 18 იანვრის 18 საათამდე.

**კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ ადმინისტრაცია**

GT GROUP

## ჯი-თი ჯგუფი - FordCargo -ს ოფიცილაური დილერი საქართველოში

ბოლოყაშვილის 48 ბ, ტელ: 740 740, www.gtgroup.ge













გარანტია 2 წელი
(გარანტია ვრცელდება ყველა დეტალზე)

49 000 ევროდან

თქვენს საქმიანობაზე მორგებული სატვირთო ავტომობილი

DRC
დავების განმხილველი ცენტრი
DISPUTE RESOLUTION CENTER

N 1-69 28 ნოემბერი 2008

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „დავების განმხილველი ცენტრი"

DRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით

სხდომის დღის პუბლიკაციის მიზნით

DRC- ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაში ს/ს ბანკი „რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია მალხაზ ნინიძის მიმართ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2008 წლის 9 დეკემბერს 14:00 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ „დავების განმხილველ ცენტრში" შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, გამრეკელის (ყოფ. კუტუზოვის) ქ.№19-ში, მე-6 სართულზე.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე მალხაზ ნინიძე, მცხოვრები ქ. თბილისი , ნუცუბიძის მ-4 მ/რ, კორპ 36, ბინა 29.

შ.პ.ს. დავების განმხილველი ცენტრი
საქართველო, თბილისი 0179, კოსტავას ქ. 27
ტელ.: +995 32 996316, +995 32 988817
რეგისტრაციის N: 204547348

DISPUTE RESOLUTION CENTER LTD
27 Kostava str., 0179 Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 996316, +995 32 988817
Regisration N: 204547348

www.arbitragedrc.com

DRC
დავების განმხილველი ცენტრი
DISPUTE RESOLUTION CENTER

N 1-71 28 ნოემბერი 2008

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „დავების განმხილველი ცენტრი"

DRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით

სხდომის დღის პუბლიკაციის მიზნით

DRC- ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაში ს/ს ბანკი „რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია მახარე ბაღაშვილისა და გიორგი შალიკაშვილის მიმართ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2008 წლის 8 დეკემბერს 13:00 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ „დავების განმხილველ ცენტრში" შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, გამრეკელის (ყოფ. კუტუზოვის) ქ.№19-ში, მე-6 სართულზე.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე მახარე ბაღაშვილი და გიორგი შალიკაშვილი, მცხოვრები მცხეთის რაიონი, სოფელი ნატახტარი

შ.პ.ს. დავების განმხილველი ცენტრი
საქართველო, თბილისი 0179, კოსტავას ქ. 27
ტელ.: +995 32 996316, +995 32 988817
რეგისტრაციის N: 204547348

DISPUTE RESOLUTION CENTER LTD
27 Kostava str., 0179 Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 996316, +995 32 988817
Regisration N: 204547348

www.arbitragedrc.com

DRC
დავების განმხილველი ცენტრი
DISPUTE RESOLUTION CENTER

N 1-70 28 ნოემბერი 2008

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „დავების განმხილველი ცენტრი"

DRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით

სხდომის დღის პუბლიკაციის მიზნით

DRC- ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაში ს/ს ბანკი „რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია გოჩა გიუნაშვილის მიმართ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2008 წლის 8 დეკემბერს 12:00 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ „დავების განმხილველ ცენტრში" შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, გამრეკელის (ყოფ. კუტუზოვის) ქ.№19-ში, მე-6 სართულზე.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე გოჩა გიუნაშვილი, მცხოვრები ქ. გორი, სოფ. ერედვი

შ.პ.ს. დავების განმხილველი ცენტრი
საქართველო, თბილისი 0179, კოსტავას ქ. 27
ტელ.: +995 32 996316, +995 32 988817
რეგისტრაციის N: 204547348

DISPUTE RESOLUTION CENTER LTD
27 Kostava str., 0179 Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 996316, +995 32 988817
Regisration N: 204547348

www.arbitragedrc.com

DRC
დავების განმხილველი ცენტრი
DISPUTE RESOLUTION CENTER

N 1-72 28 ნოემბერი 2008

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „დავების განმხილველი ცენტრი"

DRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით

სხდომის დღის პუბლიკაციის მიზნით

DRC- ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაში ს/ს ბანკი „რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია იური რუდკოსა და ხარდიონ შაფათავას მიმართ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2008 წლის 11 დეკემბერს 12:00 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ „დავების განმხილველ ცენტრში" შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, გამრეკელის (ყოფ. კუტუზოვის) ქ.№19-ში, მე-6 სართულზე.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე იური რუდკო მცხოვრები ქ.თბილისი, დ/დიღომი მე-8 მ/რ, კორპ №19, ბინა №77 და ხარდიონ შაფათავა მცხოვრები დ. აღმაშენებლის №120

შ.პ.ს. დავების განმხილველი ცენტრი
საქართველო, თბილისი 0179, კოსტავას ქ. 27
ტელ.: +995 32 996316, +995 32 988817
რეგისტრაციის N: 204547348

DISPUTE RESOLUTION CENTER LTD
27 Kostava str., 0179 Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 996316, +995 32 988817
Regisration N: 204547348

www.arbitragedrc.com

# განცხადება

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა საკუთრების უფლების გადაცემის მიზნით აცხადებს აუქციონს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით არსებულ შემდეგ ქონებაზე

**ლოტი ?1.** დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. ბაგიჭალაში მდებარე 96,3 გრძივი მეტრის, 700 მმ დიამეტრის (კედლის სისქე 8 მმ) მქონე მეორადი მილი

საწყისი საპრივატიზაციო ფასი - 7318 (შვიდი ათას სამას თვრამეტი) ლარი და 80 თეთრი;

აუქციონში მონაწილის წინასწარი შენატანის - ბეს" სიდიდე 732 (შვიდას ოცდათორმეტი) ლარი;

ბიჯის სიდიდე -370 ლარი;

მონაწილის ბილეთის ფასი - 50 ლარი;

**ლოტი ?2**. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. წითელსოფელში მდებარე 266 გრძივი მეტრის, 700 მმ დიამეტრის (კედლის სისქე 8 მმ) მქონე მეორადი მილი

საწყისი საპრივატიზაციო ფასი - 26 786 (ოცდაექვსი ათას შვიდას ოთხმოცდაექვსი) ლარი და 20 თეთრი;

აუქციონში მონაწილის წინასწარი შენატანის - ბეს" სიდიდე - 2680 (ორი ათას ექვსას ოთხმოცი) ლარი;

ბიჯის სიდიდე - 1340 ლარი;

მონაწილის ბილეთის ფასი - 50 ლარი;

**ლოტი ?3**. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. ბულაჩაურში მდებარე 991.4 გრძივი მეტრის, 700 მმ დიამეტრის (კედლის სისქე 10 მმ) მქონე მეორადი მილი

საწყისი საპრივატიზაციო ფასი - 103 601 (ას სამი ათას ექვსას ერთი) ლარი და 30 თეთრი;

აუქციონში მონაწილის წინასწარი შენატანის - ბეს" სიდიდე 10360 (ათი ათას სამას სამოცი) ლარი;

ბიჯის სიდიდე - 5200 ლარი;

მონაწილის ბილეთის ფასი - 50 ლარი;

**ლოტი ?4.** დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. ბაგაში მდებარე 139 გრძივი მეტრის, 600 მმ დიამეტრის (კედლის სისქე 5 მმ) მქონე მეორადი მილი

საწყისი საპრივატიზაციო ფასი - 10 008 (ათი ათას რვა) ლარი;

აუქციონში მონაწილის წინასწარი შენატანის - ბეს" სიდიდე 1000 (ათასი) ლარი;

ბიჯის სიდიდე - 500 ლარი;

მონაწილის ბილეთის ფასი - 50 ლარი;

**ლოტი ?5.** დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. ბულაჩაურში მდებარე 59.2 გრძივი მეტრის, 500 მმ დიამეტრის (კედლის სისქე 8 მმ) მქონე მეორადი მილი

საწყისი საპრივატიზაციო ფასი - 3 492 (სამი ათას ოთხას ოთხმოცდათორმეტი) ლარი და 80 თეთრი;

აუქციონში მონაწილის წინასწარი შენატანის - ბეს" სიდიდე - 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი;

ბიჯის სიდიდე - 175 ლარი;

მონაწილის ბილეთის ფასი - 50 ლარი;

**ლოტი ?6.** დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. წითელსოფელში მდებარე 168 გრძივი მეტრის, 500 მმ დიამეტრის (კედლის სისქე 5 მმ) მქონე მეორადი მილი

საწყისი საპრივატიზაციო ფასი - 8 904 (რვა ათას ცხრაას ოთხი) ლარი;

აუქციონში მონაწილის წინასწარი შენატანის - ბეს" სიდიდე - 900 (ცხრაასი) ლარი;

ბიჯის სიდიდე - 450 ლარი;

მონაწილის ბილეთის ფასი - 50 ლარი;

**ლოტი ?7.** დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. წითელსოფელში მდებარე 39 გრძივი მეტრის, 300 მმ დიამეტრის (კედლის სისქე 3 მმ) მქონე მეორადი მილი

ა) საწყისი საპრივატიზაციო ფასი - 1209 (ათას ორას ცხრა) ლარი.

ბ) აუქციონში მონაწილის წინასწარი შენატანის - ბეს" სიდიდე - 125 ლარი;

გ) ბიჯის სიდიდე - 65 ლარი;

დ) მონაწილის ბილეთის ფასი - 50 ლარი;

**ლოტი ?8.** დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. ბაგიჭალაში მდებარე 528 გრძივი მეტრის, 150 მმ დიამეტრის (კედლის სისქე 3 მმ) მქონე მეორადი მილი

საწყისი საპრივატიზაციო ფასი - 6336 (ექვსი ათას სამას ოცდათექვსმეტი) ლარი;

აუქციონში მონაწილის წინასწარი შენატანის - ბეს" სიდიდე განისაზღვროს 640 ლარი;

ბიჯის სიდიდე - 320 ლარი;

მონაწილის ბილეთის ფასი - 50 ლარი;

**ლოტი ?9.** დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. ბაგიჭალაში მდებარე 283 გრძივი მეტრის, 700 მმ დიამეტრის (კედლის სისქე 8 მმ) მქონე მეორადი მილი

ა) საწყისი საპრივატიზაციო ფასი - 23489 (ოცდასამი ათას ოთხას ოთხმოცდა ცხრა) ლარი;

ბ) აუქციონში მონაწილის წინასწარი შენატანის - ბეს" სიდიდე - 2350 ლარი;

გ) ბიჯის სიდიდე - 1200 ლარი;

დ) მონაწილის ბილეთის ფასი - 50 ლარი;

**ლოტი ?10**. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. ბაგიჭალაში მდებარე 102 გრძივი მეტრის, 500 მმ დიამეტრის (კედლის სისქე 8 მმ) მქონე მეორადი მილი

საწყისი საპრივატიზაციო ფასი - 5202 (ხუთი ათას ორას ორი) ლარი;

აუქციონში მონაწილის წინასწარი შენატანის - ბეს" სიდიდე - 520 ლარი;

ბიჯის სიდიდე - 270 ლარი;

მონაწილის ბილეთის ფასი - 50 ლარი;

**ლოტი ?11.** დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. წითელსოფელში მდებარე 13,854 ტონა დაჭრილი მილი (ჯართი)

საწყისი საპრივატიზაციო ფასი - 1801 (ათას რვაას ერთი) ლარი და 02 თეთრი;

აუქციონში მონაწილის წინასწარი შენატანის - ბეს" სიდიდე - 185 ლარი;

ბიჯის სიდიდე - 100 ლარით;

მონაწილის ბილეთის ფასი - 50 ლარით;

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განცხადებები მიიღება საინფორმაციო ცნობის პრესაში პირველივე გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში, 2008 წლის 2 დეკემბრის 11:00 საათიდან 2008 წლის 31 დეკემბრის 13:00 საათამდე, აუქციონი გაიმართება 2009 წლის 31 დეკემბერს 13:00 საათზე.

აუქციონში მონაწილეობისათვის ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუდმივმოქმედ სააუქციონო კომისიას განცხადებასთან ერთად უნდა წარუდგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

**იურიდიული პირისათვის:**

ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა (რწმუნება), თუ პირი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

სადამფუძნებლო დოკუმენტაციის (წესდების) დამოწმებული ასლი;

ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი საბუთი (დედანი ასლთან ერთად);

ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი ასლთან ერთად);

პირადობის მოწმობის ასლი.

**ფიზიკური პირისათვის:**

ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი საბუთი (დედანი ასლთან ერთად);

ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი ასლთან ერთად);

პირადობის მოწმობის ასლი.

**"ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე:**

მიმღები: დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

საინდენტიფიკაციო კოდი: 229324451

ანგარიში: 33030001

მიმღების ბანკი: საქართველოს სახალხო ბანკის დუშეთის ფილიალი;

ბანკის კოდი: 200101403

გადახდისას უნდა მიეთითოს დანიშნულება

**აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე:**

მიმღები: დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

საინდენტიფიკაციო კოდი: 229324451

ანგარიში: 33030001

მიმღების ბანკი: საქართველოს სახალხო ბანკის დუშეთის ფილიალი;

ბანკის კოდი: 200101403

გადახდისას უნდა მიეთითოს დანიშნულება

დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართეთ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას შემდეგ მისამართზე: ქალაქი დუშეთი, რუსთაველის ქ. ?27, ტელ.: 8(32)995889, 8(246) 21999

## საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ავტომობილის შესასყიდად 4 ნოემბერს გამოცხადებული ტენდერის შედეგები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ავტომობილის შესასყიდად 4 ნოემბერს გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტად გამოცხადდა შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი."

**ცხადდება კონკურსი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის ვაკანტურ ადგილზე.**

**განცხადებების მიღება წარმოებს მიმდინარე წლის 1 დეკემბრიდან 14 დეკემბრის 18 საათამდე.**

მსურველებს შეგიძლიათ მოგვმართოთ განცხადებით შემდეგ მისამართზე: დ. ლენტეხი, თ. მეფის ქ. №34, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში.

საკონტაქტო ტელეფონი: 899-90-85-25, 895-95-65-52

## სახალხო დამცველთან არსებული სამოქალაქო განათლების ცენტრი საქართველოში გაეროს წარმომადგენლობისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით აცხადებს მოსწავლეთა ნაშრომების კონკურსს თემაზე

**"ღირსება და სამართლიანობა ყველასათვის".**

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX-XII კლასის მოსწავლეებს.

ნაშრომებს შეაფასებს კომპეტენტური ჟიური, რომელიც დაკომპლექტდება სახალხო დამცველის აპარატისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებით.

პირველი ადგილის მფლობელი დაჯილდოვდება ციფრული ვიდეოკამერით, მეორე ადგილი - ციფრული ფოტოაპარატით, მესამე ადგილი - მობილური ტელეფონით.

საუკეთესო ათი ნაშრომის ავტორს 10 დეკემბერს მოიწვევენ თბილისში, საზეიმო ცერემონიალზე; ისინი დაჯილდოვდებიან სპეციალური სიგელებითა და წიგნებით; მათი მგზავრობის, ღამისთევისა და კვების ხარჯებს უზრუნველყოფს სახალხო დამცველის აპარატი პროექტის ფარგლებში.

საკონკურსე ნაშრომი უნდა იყოს დაბეჭდილი ან გარკვევით ხელნაწერი და არ უნდა აღემატებოდეს 3 გვერდს.

ტექსტი შეგიძლიათ დაწეროთ ქართულ ან რუსულ ენაზე.

ნაშრომები შეგიძლიათ მოიტანოთ შემდეგ მიისამართზე:

მაჩაბლის ქ.N11, თბილისი. საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი

ან გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: k.gabunia@ombudsman.ge

რეგიონებში ნაშრომების შეგროვებასა და თბილისში მოწოდებას განახორციელებენ ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურს-ცენტრები.

**ნაშრომების ჩაბარების ბოლო ვადაა 2008 წლის 5 დეკემბერი.**

# გარდაბნის მუნიციპალიტეტი

აცხადებს აუქციონს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გაცემაზე (გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 3 ივლისის №47 განკარგულება)

| № | მიწის ნაკვეთის საკადასტრო № | ნაკვეთის მისამართი (ადგილმდებარეობა) | გაცემის წესი | გაკარგვის ფორმა | მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ) | ნორმატიული ფასი (ლარი) | საწყისი ფასი (ლარი) | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 1 | 811034321 | გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. მარტყოფის ტერიტორიაზე, ვაზიანის დასახლებაში შსს საპატრულო პოლიციის „გომბორის საგუშაგოსთან", მობილური კომპანიების „მაგთის" და „ჯეოსელის" ანძების მიმდებარედ | აუქციონი | საკუთრება | 200 | 3.4944 | 700 | |

შენიშვნა: აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან ამ პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის 25%-ზე ნაკლებია.

კონკურსში მონაწილეობისათვის შეტანილი უნდა იქნეს „ბე", მიწის ნაკვეთის საწყისი ფასის 10%-ს ოდენობით გადახდილი „ბე" ჩაითვლება საბოლოო გამოსასყიდ თანხაში.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო თანხა გადაიხადოს აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში 9 საათიდან 18 საათამდე, (ქ.გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ. №127, I სართული) ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 9 საათიდან 14 საათამდე, აუქციონი გაიმართება 15 საათზე, იმ შემთხვევაში, როდესაც ოცდამეათე კალენდარული დღე დაემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ აუქციონი ჩატარდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) „ბე"-ს შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს: ხაზინის ერთიან ანგარიშზე №200122900, სახაზინო შიფრი №300113390. (მიეთითოს გადასახადის დანიშნულება);

გ) მონაწილის ბილეთის ფასის 50 ლარის შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილ უნდა იქნეს: ხაზინის ერთიან ანგარიშზე: 3200122900, სახაზინო შიფრი №300113282;

დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში0;

ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი"-ს დამატებით მიღებული თანხის (ბიჯი განისაზღვრება საკუთრებაში გადაცემისას მიწის ნაკვეთის საწყის ფასზე 5 %-ის დამატებით) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

დამატებითი ცნობების მისაღებად მიმართეთ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. გარდაბანი დ. აღმაშენებლის ქ. №127 პირველი სართული „ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური"

საქმე №2/ბ-417-08

## დაუსწრებელი გადაწყვეტილება
## საქართველოს სახელით

შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო

03 სექტემბერი 2008 წელი ქ. ქუთაისი

**ქუთაისის სააპელაციო სასამართლო**
**სამოქალაქო საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა:**

**თავმჯდომარე, მომხსენებელი:** ირმა პერანიძე
**მოსამართლეები:** ფრიდონ ბასილაია
თამარ სვანიძე

**საქმის განხილვის ფორმა:** ზეპირი მოსმენის გარეშე
**აპელანტი:** ჟანა ზინჩენკო
**მოწინააღმდეგე მხარე:** შპს „ანაგი -2007" დირექტორი, ირაკლი გოგოლიშვილი
**დავის საგანი:** თანხის დაკისრება
**გასაჩივრებული გადაწყვეტილება:** ბათუმის საქალაქო სასამართლოს, 2008 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება
**აპელანტის მოთხოვნა:** გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, გასაჩივრებულ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება

სარეზოლუციო ნაწილი:

სამოქალაქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, 53-ე, 2321-ე 372-ე, 366-ე, 230-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 234-ე-237-ე, 387-ე მუხლის მე-3 ნაწილით 397-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

ჟანა ზინჩენკოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
გაუქმდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს, 2008 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება სამოქალაქო საქმეზე №230, შპს „ანაგი-2007"-ისათვის ჟანა ზინჩენკოს სასარგებლოდ, სარჩელის შეტანის დღიდან 2008 წლის 09 იანვრიდან, ამ გადაწყვეტილების საბოლოო აღსრულების ბოლო დღემდე, ყოველდღიურად 5000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის 0,3 %-ის გადახდაზე სასარჩელო მოთხოვნის დაუკმაყოფილებელ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
ჟანა ზინჩენკოს სარჩელი დაკმაყოფილდეს;
მოპასუხე შპს „ანაგი-2007"-ს, ჟანა ზინჩენკოს სასარგებლოდ დაეკისროს, სარჩელის შეტანის დღიდან 2008 წლის 09 იანვრიდან, ამ გადაწყვეტილების საბოლოო აღსრულების ბოლო დღემდე, ყოველდღიურად 5000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის 0,3 %-ის გადახდა;
სახელმწიფო ბაჟი 150 ლარის ოდენობით გადახდეს შპს „ანაგი-2007"ს და ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე: საქართველოს ეროვნული ბანკი, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი 220101222, ბიუჯეტის შემოსულების ერთიანი ანგარიში 200122900, სახაზინო კოდი 300183150.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი გადაეგზავნოს 05 დღის ვადაში მოწინააღმდეგე მხარეს და განემარტოს, რომ უფლება აქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში შემოიტანოს საჩივარი ამ გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების მოთხოვნით, ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში.

**თავმჯდომარე:** **ირმა პერანიძე**
**მოსამართლეები:** **თამარ სვანიძე**
**ფრიდონ ბასილაია**

# განცხადება
# ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ს/ს „ახალციხის რაიონული საავადმყოფო“ (ქ. ახალციხე, რუსთაველის 105ა) საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს საავადმყოფოს საჭიროებისათვის მედიკამენტების, რეაქტივებისა და ერთჯერადი მოხმარების სამედიცინო მასალის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. ***შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი:***

***ლოტი 1.*** ნარკოტიკული სამკურნალო საშუალებები
***ლოტი 2.*** სპეც კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებები
***ლოტი 3.*** ანტიბიოტიკები, ანტიბაქტერიული და ანტიმიკრობული საშუალებები
***ლოტი 4.*** გადასასხმელები (ელექტროლიტები)
***ლოტი 5.*** პლაზმური ხსნარები
***ლოტი 6.*** ანალგეზიური-სპაზმოლიტური, ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები
***ლოტი 7.*** ჰორმონალური საშუალებები
***ლოტი 8.*** ადრენომიმეტიკები
***ლოტი 9.*** მიორელაქსანტები
***ლოტი 10.*** ვიტამინები
***ლოტი 11.*** დიარეის საწინააღმდეგო საშუალებები
***ლოტი 12*** დიურეზული საშუალებები
***ლოტი 13.*** ამოსახველებელი საშუალებები
***ლოტი 14.*** ანტიკოაგულანტები და კოაგულანტები
***ლოტი 15.*** ადგილობრივი ანესთეზიის საშუალებები
***ლოტი 16.*** ანტიჰისტამინური საშუალებები
***ლოტი 17.*** საგულე საშუალებები
***ლოტი 18.*** ნოოტროპიული საშუალებები
***ლოტი 19.*** ანტიჰიპერტენზიული საშუალებები
***ლოტი 20.*** სხვადასხვა ჯგუფის მედიკამენტები
***ლოტი 21.*** სამედიცინო აირი
***ლოტი 22.*** შესახვევი მასალები
***ლოტი 23.*** სამედიცინო დანიშნულების საგნები
***ლოტი 24.*** საოპერაციო საკერი მასალა
***ლოტი 25.*** სადეზინფექციო საშუალებები
***ლოტი 26.*** სისხლის გადასხმის კაბინეტის მასალა
***ლოტი 27.*** შიდსის ლაბორატორიის მასალა
***ლოტი 28.*** კლინიკო-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის მასალა
***ლოტი 29.*** სახარჯი მასალა
***ლოტი 30.*** სამედიცინო მოხმარების საგნები
***ლოტი 31.*** ცივი სტერილიზაციის ხსნარები
***ლოტი 32.*** ანტირაბიული ვაქცინები

3. ***საქონლის მიწოდების პირობები*** - საქონლის მიწოდება განხორციელდება ყოველთვიურად შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე 2009 წლის იანვრიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე.

4. ***მიწოდების ადგილი:*** ს.ს. „ახალციხის რაიონული საავადმყოეო“. ქ. ახალციხე, რუსთაველის 105˚.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2008 წლის 23 დეკემბრამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ახალციხე, რუსთაველის 105ა. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2008 წლის 23 დეკემბერს 15 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სტენდერო წინადადებების გახსნას).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**6.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

b) იურიდული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

g) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

d) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

e) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**6.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

b) ცნობა რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

b) ინფორმაცია საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი ანგარიშსწორების შესახებ;

გ) ლიცენზია სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების რეალიზაციაზე;

დ) ლიცენზია მედიკამენტებისა და სამკურნალწამლო საშუალებების საბითუმო რეალიზაციაზე (დაურთეთ საჭიროებისშემთხვევაში);

e) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ).

7. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორებისათვის.

8. საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

9. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

10. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები „სახალხო ბანკი“ ახალციხის ფილიალი, ბანკის კოდი N220101466, ანგარიშის N36080662, საიდენტიფიკაციო კოდი N224066891 (სატენდერო მოსაკრებელი) 2008 წლის 2 დეკემბრიდან 23 დეკემბრამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ახალციხე. რუსთაველის 105ა.

11. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ცალკეული ლოტების შესრულების უფლება.

12. პრეტენდენტებს არა აქვთ უფლება ალტერნატიული წინადადების წარმოდგენის.

13. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: დავით მაისურაძე ტელ (8 90) 400210, მარი ჩილინგარაშვილი 8(99) 238 230, ნაირა სეროფიანი 8(93) 340 384 მისამართზე: ქ. ახალციხე, რუსთაველის 105.

სატენდერო კომისია.

---

PREMIERE URGENCE
AIDE HUMANITAIRE INTERNATIONALE

**ტენდერი ზეწრების, პლედებისა და საბნებისა შეძენის შესახებ**

**[ტენდერის რეფ. № TF/PU/GEO/ OFDA/850/2008/001]**

USAID
UNITED STATES AGENCY INTERNATIONAL DEVELOPMENT

**Premiere Urgence**

საერთაშორისო არასამთავრობო ჰუმანიტარული ორგანიზაცია "Premiere Urgence", რომელიც ფუნქციონირებს საფრანგეთის კანონმდებლობის ფარგლებში, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით, აცხადებს ტენდერს ზეწრების, პლედებისა და საბნების შეძენაზე.

საჭირო რაოდენობა შეადგენს დაახლობით 1600 ცალს (თითო სახეობაზე)

ტენდერის გრაფიკი:

- სატენდერო დოკუმენტაციის მიღება: **02.12.2008**
- სატენდერო დოკუმენტაციის ჩაბარება: **05.12.2008**
- ტენდერის გახსნა: 08.12.2008
- კონტრაქტის ხელმოწერის თარიღი: 09.12.2008
- მიწოდების თარიღი: რაც შეიძლება სწრაფად (მაქსიმუმ 5 დღე კონტრაქტის გაფორმების შემდეგ)

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- კომპანიის რეგისტრაციის სერტიფიკატი და წესდების ასლი
- საგადასახადო ინსპექციიდან დოკუმენტი ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ
- საბუთი ბანკიდან დავალიანების არარსებობის შესახებ
- საბუთი, რომელიც ადასტურებს, რომ კანდიდატის ქონება არ არის დაყადაღებული
- საბანკო რეკვიზიტები მოქმედი ანგარიშით აშშ დოლარში და SWIFT კოდი
- ბოლო სამი წლის განმავლობაში განხორციელებული შესაბამისი საქმიანობების ჩამონათვალი და მიღება-ჩაბარების აქტები
- დაინტერესებულმა მხარემ უნდა წარმოადგინოს საბანკო ან სადაზღვევო გარანტია ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში.

**გაითვალისწინეთ, რომ მიმწოდებლებმა უნდა წარდგინონ პროდუქციის ნიმუშები გახსნით სესიაზე**

დაინტერესებულ კომპანიებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო დოკუმენტაცია **2008 წლის 2 დეკემბერს, 12:00 საათიდან 18:00 საათამდე**, "Premiere Urgence"-ის საქართველოს სათაო ოფისში, თბილისში, შემდეგ მისამართზე: დელისის ქ. III, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული, კარები №4. ტელ: (+995 32) 21 02 77, საკონტაქტო პიროვნება: კობა ბუცხრიკიძე, ლოგისტიკის თანაშემწე.

---

# ცვლილება

საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ 2008 წლის 29 ნოემბერს გაზეთში „24 საათი“ სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერის განცხადებაში შევიდეს ცვლილება და სატენდერო დოკუმენტაციის გატანის ვადა განისაზღვროს 2008 წლის 29 ნოემბრიდან 2009 წლის 18 დეკემბრის ჩათვლით.

---

## დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის პედიატრიული სამსახური

### მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ქეთევან ბარაბაძის ხელმძღვანელობით გთავაზობთ:

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით
- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით
- ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

**ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "ენგურჰესი", საფოსტო/მ ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ.90, მე-2 სართული, ენგურჰესის ოფისი. ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. საბერიო აცხადებს ტენდერს სპეც. ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ინდივიდუალური დამცავი საშუალებების (საქონლის) სახელმწიფო შესყიდვაზე 6 (ექვს) ლოტად ქვემოთ ჩამოთვლილი სახეობისა და რაოდენობის მიხედვით.

1. **შესყიდვის ობიექტი:**

| ლოტი № | | საქონლის დასახელება | რაოდენობა | | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| №1 | | **სპეცტანსაცმელი** | განზ. | რაოდ. | გალის რ-ნი დას. საბერიო |
| | 1 | სამხედრო ფორმა | კომპლ. | 10 | |
| | 2 | კომბინიზონი | ცალი | 200 | |
| | 3 | შარვალ-ხალათი | კომპლ. | 537 | |
| | 4 | წყალგაუმტარი კომბინიზონი | ცალი | 50 | |
| | 5 | ხალათი ქალის | ცალი | 40 | |
| | 6 | საწვიმარი ლაბადა | ცალი | 60 | |
| | 7 | ხელთათმანი კომბინიზირებული | წყვილი | 2000 | |
| | 8 | ხელთათმანი რეზინირებული | წყვილი | 2000 | |
| | 9 | ხელთათმანი რეზინის | წყვილი | 500 | |
| | 10 | ხელთათმანი ბრიზენტის | წყვილი | 200 | |
| | 11 | მეხანძრის სპეცტანსაცმელი | კომპლ. | 5 | |
| №2 | | **სპეცფეხსაცმელი** | | | გალის რ-ნი დას. საბერიო |
| | 1 | ბათინკები | წყვილი | 537 | |
| | 2 | რეზინის დაბალყელიანი ჩექმა | წყვილი | 40 | |
| | 3 | რეზინის მაღალყელიანი სამონადირეო ჩექმა | წყვილი | 20 | |
| №3 | | **დამცავი საშუალებები** | | | გალის რ-ნი დას. საბერიო |
| | 1 | დამცავი სათვალე | ცალი | 15 | |
| | 2 | სახის ნიღაბი-ფარი | ცალი | 5 | |
| | 3 | სასიგნალო დროშები | კომპლ. | 15 | |
| | 4 | რესპირატორი | ცალი | 50 | |
| | 5 | დამცავი ქამარი თოკზე | კომპლ. | 50 | |
| | 6 | თოკი კაპრონის ქამრის ჩასაბმელით | მ | 100 | |
| | 7 | სანათი მეშახტის (ან მაგის შემცვლელი) | ცალი | 50 | |
| | 8 | გადასატანი დამიწება | კომპლ. | 5 | |
| | 9 | დმცავი ჩაფხუტი (კასკა) | ცალი | 200 | |
| | 10 | დიელექტრიკული ხელთათმანი | წყვილი | 30 | |
| | 11 | დიელექტიკური საფენი | ცალი | 5 | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| №4 | | **სპეცტანსაცმელი** | | | ქ. ჯვარი (ჯვარზენი) თ/კამხლის დეპარტამენტი |
| | 1 | კომბინიზონი (სპეცტანსაცმელი | ცალი | 120 | |
| | 2 | კომბინიზონი (X.Б) ელ. შედუღებისთვის | ცალი | 5 | |
| | 3 | ქურთუკი თბილი | ცალი | 100 | |
| | 4 | საწვიმარი | ცალი | 5 | |
| | 5 | ხელთათმანი (მუშის) | წყვილი | 2000 | |
| №5 | | **სპეცფეხსაცმელი** | | | ქ. ჯვარი (ჯვარზენი) თ/კამხლის დეპარტამენტი |
| | 1 | რეზინის ჩექმა | წყვილი | 150 | |
| | 2 | გრძელყელიანი რეზინის ჩექმა | წყვილი | 10 | |
| | 3 | ბათინკები | წყვილი | 50 | |
| №6 | | **დამცავი საშუალებები** | | | ქ. ჯვარი (ჯვარზენი) თ/კამხლის დეპარტამენტი |
| | 1 | ჩაფხუტი | ცალი | 100 | |
| | 2 | დიელექტიური ხელთათმანი | წყვილი | 6 | |
| | 3 | დამცავი სათვალე | ცალი | 10 | |
| | 4 | სამონტაჟო ქამარი თოკზე ჩასაბმელი | ცალი | 5 | |
| | 5 | სამონტაჟო თოკი კაპრონის | მ | 200 | |
| | 6 | დიელექტიკური საფენი | ცალი | 10 | |
| | 7 | დიელექტიკური ჩექმა | წყვილი | 3 | |
| | 8 | გასაბერი რეზინის ნავი | ცალი | 2 | |
| | 9 | სამაშველო რგოლი | ცალი | 5 | |
| | 10 | სამაშველო ჟილეტი | ცალი | 10 | |
| | 11 | ხანძარსაწინააღმდეგო სტენდი | კომპლ. | 8 | |

2. საქონლის მიწოდების ვადაა: 45 დღე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი დახურულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2008 წლის 24 დეკემბრის 10 საათიდან, 24 დეკემბრის 14 საათამდე. მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ.90, მე-2 სართული, ენგურჰესის ოფისი. პაკეტი გაიხსნება იმავე დღეს, იგივე მისამართზე დაინტერესებული პირთა თანდასწრებით სატენდერო წინადადებების წარდგენის ვადის დამთავრებისთანავე.

4. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. იურიდიული პირთათვის:
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
დ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღისა და ინკასოს არ არსებობის შესახებ.
ე) შესყიდვაში მონაწილე მსურველი იურიდიული პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები)

5.2. ინდ. მეწარმე (ფიზიკური პირისათვის)
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) შესყიდვაში მონაწილე მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

6. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორას) ლარს.
სატენდერო მოსაკრებლის ჩარიცხვა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

**მიმღები: შპს „ენგურჰესი".**

**სს „პროკრედიტ ბანკის" ქუთაისის ფილიალის**
**ზუგდიდის განყოფილება**
**ს/კოდი 251716371; ა/ა 301467126; ბ/კ 220101929**

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება, ქართულ ენაზე, ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს, შეუძლიათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მომართვის წარმოდგენის შემდეგ 2008 წლის 2 დეკემბრის 10 საათიდან 2008 წლის 23 დეკემბრის 16-საათამდე. მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მე-2 სართული, ენგურჰესის ოფისში.

8. საკვალიფიკაციო მოთხოვნები ეხება სუბკონტრაქტორებსაც, თუ პრეტენდენტი მასთან ერთად ადგენს სატენდერო წინადადებას.

9. იმ პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემები და დოკუმენტაცია, რომელიც არ იქნება შესაბამისობაში სატენდერო განცხადების მოთხოვნებთან, იქნება დისკვალიფიცირებული და არ იქნებიან დაშვებული შერჩევაში.

10. წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი სათანადოდ უფლებამოსილი ან ხელმძღვანელი პირის მიერ. ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

11. ტენდერის საშუალებით გამოვლინდება გამარჯვებული ყველა ლოტზე ცალ-ცალკე.

12. დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებული პირები უნდა დაუკავშირდნენ შპს "ენგურჰესის" შესყიდვების სამსახურს ტ. 8 215 5 22 94 ან 8 215 2 87 65.

სატენდერო კომისია.

# საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისიის განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის 2005 წლის 21 ივნისის N 141 ბრძანებით დამტკიცებული დებულებისა საქართველოს ეროვნული ბანკის ქონების აუქციონის ფორმით რეალიზაციის შესახებ 2008 წლის 10 დეკემბერს ოთხშაბათს საქართველოს ეროვნული ბანკის ბ კორპუსში (დადიანის ქ. 2) საკონფერენციო დარბაზში დღის 12 საათზე ჩატარდება აუქციონი საქართველოს ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

**1. ავტომანქანა (GAZ - 3110 სახელმწიფო ნომერი AOA-989, სარეგისტრაციო ნომერი AE0049121, გ.წ. 2003, ფერი - შავი)**

**საწყისი სააუქციონო ფასი 6300 (ექვსი ათას სამასი) ლარი.**

**2. ავტომანქანა (GAZ - 3110 სახელმწიფო ნომერი SXS-143, სარეგისტრაციო ნომერი Ab0056494 გ.წ. 2002, ფერი -რუხი) საწყისი სააუქციონო ფასი 5600 (ხუთი ათას ექვსასი) ლარი.**
**3. ავტომანქანა (CHEVROLET SUBURBAN, სახ. ნომერი VIV-633, გამოშვების წელი 1999) საწყისი სააუქციონო ფასი 28 500 (ოცდარვა ათას ხუთასი) ლარი.**

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი „ბე-ს" მოცულობა შეადგენს ქონების საწყისი სააუქციონო ფასის 10-%-ს, რომელიც ჩარიცხულ/შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს ეროვნულ ბანკის N 117904101 ანგარიშზე (საიდენტიფიკაციო კოდი 203824148, ბანკის კოდი 220101107). განაცხადი (რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილისა და იმ ობიექტის შესახებ, რომლის შეძენაც მას სურს) და „ბე"-ს შეტანის ქვითარი, აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, იურიდიული პირების მონაწილეობის შემთხვევაში, დამატებით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, წარედგინება სააუქციონო კომისიის მდივანს ქალბატონ ლიანა კვირიკაძეს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა „მონაწილის ბილეთი".

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხადების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ სააუქციონო კომისიის მდივანს ქალბატონ ლიანა კვირიკაძეს, (საკონტაქტო ტელეფონის ნომერი 44-21-41) ელ. ფოსტა lkvirikadze@nbg.ge .

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია.

# განცხადება

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2008 წლის 28 ნოემბრის N 183 ბრძანების შესაბამისად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს სტაჟიორთა ახალი ნაკადის მიღებას.

**კონკურსის პირობები**

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობის უფლება ეძლევა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დამამთავრებელი კურსის სტუდენტს ან აკადემიური უმაღლესი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეს, რომელიც საფუძვლიანად ფლობს მინიმუმ ერთ უცხო ენას, სამომხმარებლო დონეზე ფლობს საოფისე კომპიუტერულ პროგრამებს და ზოგადად ერკვევა საქართველოს საგარეო პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში.

სტაჟიორთა კონკურსის ორგანიზებასა და სტაჟიორთა შერჩევას უზრუნველყოფს სტაჟირების საბჭო.

სტაჟირების საბჭო სტაჟიორთა კონკურსის მონაწილეთა შეფასებას ახდენს კონკურსის შედეგების საფუძველზე. კონკურსი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ტესტირება უნარებში;
- თავისუფალ თემაზე წერითი გამოცდა უცხო ენაზე;
- გასაუბრება

სტაჟირების კანდიდატმა სტაჟირების საბჭოში უნდა წარდგინოს შემდეგი საბუთები:
ა) განცხადება სტაჟირების საბჭოს თავმჯდომარის სახელზე;
ბ) განაცხადი სტაჟირების გავლის შესახებ;
გ) ავტობიოგრაფია;
დ) დიპლომის ასლი ან ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან;
ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
ვ) ერთი ფოტოსურათი (3X4).

საბუთები მიიღება 1 დეკემბრიდან 12 დეკემბრის ჩათვლით, უქმე დღეების გარდა, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე საგარეო საქმეთა სამინისტროში, მისამართზე: ქ. თბილისი, ჩიტაძის ქ. N 4.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს ორი კვირისა.

დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: **www.mfa.gov.ge**. ან მიმართოთ ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჩიტაძის ქ. N 4, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. ტელ: (+99532) 284860; (+99532) 284718;

# განცხადება აუქციონის ჩატარების თაობაზე

**სსიპ „საფინანსო სააგენტო“** 2008 წლის 12 დეკემბერს $12^{00}$ საათზე ატარებს საჯარო აუქციონს სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეულ ქონებაზე. ქონებას წარმოადგენს წიწვოვანი ჯიშის **სამასალე და საშეშე მერქნული რესურსი** (220.5მ³)

აუქციონი ჩატარდება შემდეგი ლოტების მიხედვით:

| ლოტი | დასახელება | ზომის ერთეული | სახეობა | რაოდენობა | ღირებულება–ლარი | ბიჯი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | წიწვოვანი მერქნული რესურსი | მ³ | სამასალე | 41,00 | 3590,00 | 75,00 |
| | | | საშეშე | 24.00 | | |
| 2 | წიწვოვანი მერქნული რესურსი | მ³ | სამასალე | 38,63 | 3270,20 | 75,00 |
| | | | საშეშე | 18.87 | | |
| 3 | წიწვოვანი მერქნული რესურსი | მ³ | სამასალე | 33,00 | 2790,00 | 60,00 |
| | | | საშეშე | 16,00 | | |
| 4 | წიწვოვანი მერქნული რესურსი | მ³ | სამასალე | 33,00 | 2790,00 | 60,00 |
| | | | საშეშე | 16,00 | | |

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა განცხადებით უნდა მიმართონ „საფინანსო სააგენტოს“ 2008 წლის 11 დეკემბრის $17^{00}$ საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი პ. იაშვილის №4 (მეოთხე სართული).

განცხადება უნდა შეიცავდეს:
ა) ინფორმაციას მონაწილის შესახებ;
ბ) ლოტზე (ან ლოტებზე) მითითებას;
გ) საგარანტიო თანხის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს;
დ) პირადობის დამადასტურებელ საბუთს, სათანადო წესით დამოწმებულ მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს იურიდიული ან სხვა ფიზიკური პირის სახელით;

იურიდიულმა პირმა დამატებით უნდა წარმოადგინოს ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

საგარანტიო თანხა, რომლის სიდიდეც შეადგენს აუქციონზე გამოტანილი საქონლის საწყისი ღირებულების 10%-ს, მის მიერ განცხადებაში მითითებული ლოტების შესაბამისად, შეტანილი უნდა იყოს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები: საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საფინანსო სააგენტო“
ბანკი: სს „ბაზისბანკი“
კოდი: 220101956
ანგარიშის №7434110
დანიშნულება: საგარანტიო თანხა, № – ლოტზე.
ან
მიმღები: საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საფინანსო სააგენტო“

ბანკი: სს „თიბისი ბანკი“ მარჯანიშვილის ფილიალი
კოდი: 220101850
ანგარიშის №79936080100001
დანიშნულება: საგარანტიო თანხა, № – ლოტზე.

განცხადება შეიძლება შეტანილი იყოს ერთ ან რამდენიმე ლოტზე.

აუქციონი გაიმართება ქ. თბილისში, პ. იაშვილის ქ. №4, მეოთხე სართული.

სარეალიზაციო ქონება განთავსებულია სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს, ადიგენის სატყეო უბნის №3 სარეინჯეროს ტერიტორიაზე. წინასარეალიზაციო ჩვენება-დათვალიერება გაიმართება მიმდინარე წლის 11 დეკემბრის ჩათვლით ქონების განთავსების ადგილზე საფინანსო სააგენტოსთან შეთანხმებით.

დამატებითი ინფორმაცია აუქციონზე სარეალიზაციო ქონების შესახებ და აუქციონის პირობების თაობაზე მსურველებს შეუძლიათ მიიღონ „საფინანსო სააგენტოში“.

საკონტაქტო პირები: გიორგი ჩხაიძე, ბექან შარაშიძე.

ტელ: 98-93-75, 98-93-76

# სატენდერო განცხადება, რომელიც ეხება ორ გამოკითხვას საქართველოში კორუფციისა და საჯარო მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით

„საქართველოს ანტიკორუფციული სტრატეგიის ხელშეწყობის პროექტის“ (GEPAC) ფარგლებში, საქართველოს მთავრობის დაკვეთით, ევროპის საბჭო (www.coe.int/gepac) დაინტერესებულია ჩატარდეს ორი გამოკითხვა სამოქალაქო საზოგადოებისთვის და საჯარო მოხელეებისათვის, რომელიც შეეხება საქართველოში კორუფციასა და საჯარო სამსახურის ხარისხის შეფასებას.

გამოკითხვის მიზანია უზრუნველყოს საქართველოს მთავრობა და მოსახლეობა ინფორმაციით საჯარო სამსახურების მომსახურების ხარისხისა და ამ სამსახურების კეთილსინდისიერების შესახებ, ასევე მოსახლეობის მიერ ამ საჯარო ინსტიტუტებში კორუფციის აღქმასთან დაკავშირებით.

ორივე გამოკითხვისთვის განკუთვნილი კითხვარი (მიმართვის საფუძველზე განმცხადებელს შეუძლია გაეცნოს), რომელიც შემუშავდა საქართველოს მთავრობასთან ერთად წარმოდგენილი იქნება ევროპის საბჭოს მიერ. გამოკითხვა უნდა ჩატარდეს 2009 წლის თებერვალი/ მარტის თვეებში, რომელმაც უნდა მოიცვას (პირობითად) დაახლოებით 1000 საქართველოს მოქალაქე. ევროპის საბჭოს მიერ დადგენილი შერჩევის პროცედურების შესაბამისად ჩატარდება ტენდერი, რომელიც გამოავლენს სოციოლოგიური გამოკითხვის სააგენტოს.

დეტალური ინფორმაციისათვის და განცხადების სრული ტექსტის მისაღებად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ
GEPAC-ისპროექტის ოფისს
ლევან ხეცურიანი და/ან გივი ქუტიძე
სახელმწიფო კანცელარია (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7 0134)
ტელ/ფაქსი: +995 32 984006 ; ელ.პოსტა levan.khetsuriani@coe.int / givi.kutidze@coe.int

**სრული განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2008 წლის 23 დეკემბერი (20:00)**


# დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის მანუალური თერაპიის და სამკურნალო მასაჟის სპეციალისტი ირაკლი ძიძიგური

**გთავაზობთ:**

**ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერია აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, თამარ მეფის და დავით აღმაშენებლის გამზირის გზაჯვარედინის რეკონსტრუქციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1.**შესყიდვის ობიექტი** - ქ. თბილისში, თამარ მეფის და დავით აღმაშენებლის გამზირის გზაჯვარედინის რეკონსტრუქცია.

***2. შესრულების სავალდებულო ვადა - ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვე.***

3. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 2008 წლის 22 დეკემბრის 11:00 საათიდან 2008 წლის 22 დეკემბრის 16:30 საათამდე, მისამართზე: **ქ.თბილისი, ჟ. შარტავს ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური**.

4 პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

ე) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

დ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ.

**4.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:**

ა) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ბ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიციკაციის და გამოცდილების შესახებ, მ. შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში;

გ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

*შენიშვნა: სამუშაოების შესასრულებლად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-4 მუხლის მიხედვით;*

*ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.*

5.თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე:

**მიმღების დასახელება**: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიში: N200122900, ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174.

**გადახდის დანიშნულება** - სატენდერო მოსაკრებელი, ქ. თბილისში, თამარ მეფის და დავით აღმაშენებლის გამზირის გზაჯვარედინის რეკონსტრუქციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

7.სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 2008 წლის 02 დეკემბრის 11:00 საათიდან 2008 წლის 22 დეკემბრის 11:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ.

8.პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

9.ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (გარანტირება, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

10.შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

11. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე, მარიამ ცენტერაძე, ტელეფონი - (995-32) 37-85-72.

**სატენდერო კომისია**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქალაქ თბილისის მერია აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და ხვამლის ქუჩის გადაკვეთაზე, აგრეთვე თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლის გამზირების გადაკვეთაზე შექნიშნის ობიექტების მონტაჟის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**1**. შესყიდვის ობიექტია ქ. თბილისში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და ხვამლის ქუჩის გადაკვეთაზე, აგრეთვე თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლის გამზირების გადაკვეთაზე შექნიშნების ობიექტების მონტაჟი.

*შენიშვნა: მომსახურების სრული აღწერა მოცემული იქნება ტექნიკურ დავალებაში.*

**2**. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2009 წლის 28 თებერვლამდე.

**3.** სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2008 წლის 2 დეკემბრიდან 2008 წლის 22 დეკემბრის 11.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

**4**. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ანგარიში: 200122900
ბანკის კოდი: 220101222
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174;

**გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ქ. თბილისში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და ხვამლის ქუჩის გადაკვეთაზე, აგრეთვე თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლის გამზირების გადაკვეთაზე შექნიშნის ობიექტების მონტაჟის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.**

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2008 წლის 22 დეკემბრის 11:00 საათიდან 16:15 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

**6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:**

**6.1 იურიდიული პირებისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

**6.2 ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**6.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

ბ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად. განცხადების მე-6 პუნქტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული არაუმეტეს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

**შენიშვნა:** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

**7.** ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (გარანტირება, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

**8.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: სოფიკო ვაჩეიშვილი, ტელ: (995-32) 37-85-68, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

## პაციენტების საყურადღებოდ !

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი გთავაზობთ **ულტრასონოგრაფიის** (ექოსკოპიის) მიმართულებით ბოლო თაობის, 2008 წლის აპარატურას და უახლეს **ექოსკოპიურ** ტექნოლოგიებს, რომელთა გამოყენებით ტარდება **ექოსკოპიური** გამოკვლევები კლინიკური მედიცინის ყველა მიმართულებით.

პაციენტების მიღება წარმოებს წინასწარი ჩაწერით.

მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის
სამედიცინო ცენტრი თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42;**